საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლელო

№233
(12 303)

3 ოქტომბერი ოთხშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი
50 თეთრი

საქართველოს ნაკრები. კლაუს ტოპმიოლერმა შემადგენლობა დაასახელა

# შლაგბაუმი იაშვილს



## ალექსანდრე იაშვილი
## იმას მაინც ვიმსახურებ, დამირეკონდა მითხრან, რომ ნაკრებში არ ვარ გამოძახებული

13 ოქტომბერი. **იტალია-საქართველო**
17 ოქტომბერი. **საქართველო-შოტლანდია**

| | |
|---|---|
| **მეკარეები** | |
| გიორგი ლომაია | (უკლუბოდ) |
| გიორგი მაკარიძე | (დინამო თბილისი) |
| რევაზ თევდორაძე | (მერანი) |
| **მცველები** | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | (ბლექბერნი, ინგლისი) |
| მალხაზ ასათიანი | (ლოკომოტივი, რუსეთი) |
| მათე ღვინიანიძე | (მიუნხენ 1860, გერმანია) |
| გიორგი შაშიაშვილი | (შტურმი, ავსტრია) |
| ილია კანდელაკი | (კარლ ცაისი, გერმანია) |
| ლაშა სალუქვაძე | (რუბინი, რუსეთი) |
| ალექსანდრე კვახაძე | (ვიტ ჯორჯია) |
| **ნახევარმცველები** | |
| დავით მუჯირი | (კრ. სოვეტოვი, რუსეთი) |
| ლევან ცქიტიშვილი | (უკლუბოდ) |
| დავით კვირკველია | (მეტალურგი ზ, უკრაინა) |
| ჯაბა კანკავა | (დნიპრო, უკრაინა) |
| ზურაბ მენთეშაშვილი | (ვენტსპილსი, ლატვია) |
| დავით ბოლქვაძე | (ამერი) |
| გრიგოლ დოლიძე | (ამერი) |
| ლევან ყენია | (ლოკომოტივი თბილისი) |
| **თავდამსხმელები** | |
| გიორგი დემეტრაძე | (არსენალი, უკრაინა) |
| ლაშა ჯაკობია | (მეტალისტი, უკრაინა) |
| დავით სირაძე | (პადერბორნი, გერმანია) |
| ლევან მჭედლიძე | (ემპოლი, იტალია) |
| დიმიტრი ტატანაშვილი | (ამერი) |

დავით თავართქილაძე

საქართველო ღარიბია კარგი, მოწინავე ევროპულ ლიგებში მოთამაშე ფეხბურთელებით. აქამდე, ეს საკამათო არ ყოფილა არავისთვის, მაგრამ ახლა... მოკლედ, გუშინ 13 და 17 ოქტომბერს, შესაბამისად, იტალიასთან და შოტლანდიასთან გასამართი მატჩებისთვის გამოქვეყნდა საქართველოს ეროვნულ ნაკრებში გამოძახებულთა სია, რომელშიც არ არის ბუნდესლიგური "კარლსრუეს" შემტევი ალექსანდრე იაშვილი და ეს ხდება მაშინ, როცა ნაკრებში იძახებენ უთამაშებელ და უგუნდო ფეხბურთელებს. ასეთია კლაუს ტოპმიოლერის მეთოდი, რომელშიც ბევრი რამ, ალბათ, საკამათო და შესაძლოა, ლოგიკურიც იყოს, მაგრამ იაშვილის არგამოძახება მართლაც უცნაურია. ფეხბურთელს, ვისაც ეროვნულ ნაკრებში 38 მატჩი ჩაუტარებია და 12 გოლი გაუტანია, გუშინვე შევეხმიანეთ გერმანიაში და ფაქტზე კომენტარი ვთხოვეთ...

- ამის შესახებ ახლა, შენგან გავიგე და ძალიან გამიკვირდა. თუ ტრავმა არ მაწუხებდა, ნაკრების ოფიციალურ მატჩებზე ყოველთვის მიძახებდნენ. მოკლედ, გაოცებული ვარ.

**- ხომ არ ფიქრობ, რომ ამ შესარჩევში ტოპმიოლერი შენი თამაშით უკმაყოფილოა?**

- მიმდინარე საკვალიფიკაციოში, შოთა არველაძის შემდეგ, ყველაზე მეტი, 3 გოლი გავიტანე...

**- იქნებ, მიზეზი ის არის, რომ ბუნდესლიგაში გოლი ჯერ არ გაგიტანია?**

- არა მგონია, ეს იყოს მიზეზი, რადგან "კარლსრუეში", ფაქტობრივად, მარცხენა ნახევარმცველად ვთამაშობ. ისიც ვთქვათ, რომ "კარლსრუე" ბუნდესლიგაში ახლა მესამე ადგილზეა.

**- უკრაინასთან მატჩის შემდეგ რამე ხომ არ უთქვამს შენთვის ტოპმიოლერს?**

- არა, არაფერი უთქვამს... ვფიქრობ, იმას მაინც ვიმსახურებ, დამირეკონ და მითხრან, რომ ნაკრებში არ ვარ გამოძახებული.

# ყველაფერი ჩვეულებრივად, გარდა ლიონისა

ეს აღარ იყო ის რომა, მაგრამ სამი ქულა მაინც მანჩესტერს დარჩა



UEFA CHAMPIONS LEAGUE

ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. მეორე ტური

16

iRB RUGBY WORLD CUP 2007 FRANCE

13

ინტერვიუ მალხაზ ქეიშვილთან



# ირლანდიასთან ვერ ვირწმუნეთ, ფრანგებთან არ გავრისკეთ

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge





დავით მუჯირი საფრანგეთთან მატჩში




დავით კვირკველია

# მოკვეთილები დააბრუნეს

რუსეთის პრემიერლიგის 25-ე ტურში **დათო მუჯირმა** მოსკოვის "დინამოს" 30 მეტრიდან მშვენიერი გოლი გაუტანა. ამ გოლით სამარის "კრილია სოვეტოვმა" ქულა მოიპოვა (1:1), თავად მუჯირს კი გარჯა დაუფასდა. ტელეკომპანია "რტრ-სპორტმა" ტურის საუკეთესო გოლებში მის მიერ გატანილი ბურთი მეხუთე ადგილზე დაასახელა, "სპორტ-ექსპრესმა" კი - ტურის ათ საუკეთესო ფეხბურთელში შეიყვანა.

ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ დათო **კლაუს ტოპმიოლერმა** ნაკრებში დააბრუნა იტალია-შოტლანდიასთან შეხვედრებისთვის.

ლუქსემბურგთან შეხვედრის შემდეგ გერმანელმა სპეციალისტმა რამდენიმე ფეხბურთელი დასაჯა და უკრაინა-აზერბაიჯანისთვის აღარ გამოიძახა. მიზეზად მათი საქმისადმი ზერელე დამოკიდებულება დაასახელა.

როგორც შევიტყვეთ, მომხდარმა დათოზე ძალიან იმოქმედა და სამი კვირის წინათ თბილისში საგანგებოდ ფედერაციისა და ნაკრების ხელმძღვანელებთან შესახვედრად ჩამოვიდა. მას **ნოდარ ახალკაცისა და კლაუს ტოპმიოლერისთვის** სურდა აეხსნა, რომ ლუქსემბურგთან თამაშში ზერელე დამოკიდებულება არაფერ შუაში იყო, რომ მთელი სეზონის განმავლობაში ვერა და ვერ აეწყო. მიზეზი ტრავმები და სავიზო პრობლემები გახლდათ.

როგორც ჩანს, შეხვედრა გულახდილი იყო, საქმიანიც და ფეხბურთელმა საკუთარ სიმართლეში ახალკაციც დაარწმუნა და ტოპმიოლერიც.

ნაკრებში დააბრუნეს კიდევ ერთი დროებით მოკვეთილი, ზაპოროჟიეს "მეტალურგის" ლიდერი **დავით კვირკველიაც**.

*"ჩვენი ფედერაციიდან კლუბში ოფიციალური მიწვევა გამოაგზავნეს. ლუქსემბურგის შემდეგ ტოპმიოლერმა პირადად ჩემზე თქვა, რომ მოფიქრების საშუალებას მაძლევდა. როგორც ვხედავ, გაუგებრობა წარსულს ჩაბარდა. ჯერ არ მისაუბრია, მაგრამ შეკრებაზე რომ ჩამოვალ, თავისთავად ვისაუბრებთ. ჩემთვის მთავარია, ნაკრებში ვითამაშო და გუნდის დავეხმარო. ყველა გაუგებრობას კი ეშველება."* - გვითხრა კვირკველიამ.

სამაგიეროდ არ არიან **ალექსანდრე იაშვილი, ოთარ ხიზანეიშვილი** ( რომელსაც თურმე დღემდე ტრავმა აწუხებს), **ლადო ბურდული**, ფორმააკრეფილი **ოთარ მარცვალაძე** და რაც მთავარია, მოედანზე დაბრუნებული **გოგიტა გოგუა**. რამენსკოეს "სატურნის" ნახევარმცველი ფარერებთან მატჩის შემდეგ ტოპმიოლერმა ამრევად დაასახელა და მისაფიქრებელი დრო მისცა.

მერე და მერე ვითარება კიდევ უფრო დაიძაბა. ისმოდა ხმები მწვრთნელისა და მოთამაშის დაპირისპირებაზე და გაჩნდა შიში, რომ ამ ნიჭიერ მოთამაშეს ნაკრებიდან საერთოდ დაითხოვდნენ. ცეცხლზე ნავთის დასხმას ჰგავდა გამოქვეყნებული წერილი, სადაც გოგიტა ნაკრებისა და ფედერაციის თავკაცებს უტევდა.

ახლა გოგიტას ნაკრებში დაბრუნების იმედი გაუჩნდა. მან წინასწარ იცოდა, რომ მიწვეული იყო და ერთ-ერთ მეგობართან თქვა კიდეც, ნაკრებს პირდაპირ იტალიურ შეკრებაზე შევუერთდებიო.

სამწუხაროდ, როგორც ჩანს, კონფლიქტი არ ამოწურულა და ნაკრებს საჭირო მოთამაშე ისევ ვერ დაეხმარება.

ჩვენი ნაკრები გენუაში, 8 ოქტომბერს შეიკრიბება და სასტუმრო "გრანდ ოტელში" დაბინავდება და იმავე საღამოს, თბილისის დროით 20 საათზე ივარჯიშებს. მატჩის წინა დღეს კი კლაუს ტოპმიოლერი გუნდს, თბილისის დროით 21 საათზე "ლუიჯი ფერარიზე" ჩაუტარებს წვრთნას. იტალიასთან მატჩის დასრულებისთანავე, ჩვენი გუნდი აპენინებიდან ჩარტერული რეისით სამშობლოში გამოემგზავრება და 17 ოქტომბრის შოტლანდიასთან თამაშისთვის თბილისში გააგრძელებს მზადებას.

**მერაბ მამულაშვილი**

ინტერვიუ ლევან მჭედლიძესთან

# ტოპმიოლერის იმედებს გავამართლებ



ლევან მჭედლიძე

**იტალიასთან** და შოტლანდიასთან მატჩებში კლაუს ტოპმიოლერმა იტალიური "ემპოლის" ფორვარდი ლევან მჭედლიძე გამოიძახა. სხვათა შორის, მჭედლიძეს ტოპმიოლერმა ეროვნულში ივნისში, ლიტვასთან და საფრანგეთთან მატჩებისთვისაც უხმო, მაგრამ მაშინ ლევანი დაშავდა და საოპერაციო შეიქნა.

მჭედლიძე "ემპოლიში" ირიცხება. მართალია უმეტესად დუბლებში უწევს თამაში, მაგრამ ემპოლელები ჩვენებურზე დიდ იმედებს ამყარებენ და უეფაში წარდგენილ განაცხადშიც შეიყვანეს. მას "ციურიხთან" უეფას თასის მატჩშიც უნდა ეთამაშა, მაგრამ ტრავმამ შეუშალა ხელი. გუნდთან ერთად სრული დატვირთვით ვარჯიშს ფორვარდი გასულ კვირაში შეუდგა...

**- ლევან, ზაფხულში მძიმე ოპერაცია გადაიტანე. ახლა როგორ გრძნობ თავს?**

- მკურნალობა უკვე დავასრულე და ახლა კარგად ვარ. მართლაც მძიმე ოპერაცია გადავიტანე. ოპერაცია, იტალიის ნაკრების მთავარმა ექიმმა კასტელაჩიმ პისკოიაში, თავისსავე კლინიკაში გამიკეთა. მუხლის კვირისთავი სარქველიდან ვარდებოდა და გვერდით გამოდიოდა. მართალი გითხრათ, არ ვიცი ამას რა ჰქვია სამედიცინო ენაზე... რამდენიმე კვირის განმავლობაში ტრენაჟორებზე ვიტვირთებოდი. 4-5 დღეა, რაც გუნდთან ერთად სრული დატვირთვით ვვარჯიშობ.

**- თამაში მალე შეგეძლება?**

- როგორც ექიმებმა მითხრეს, კიდევ 4-5 დღეა საჭირო საიმისოდ, რომ კუნთი, რომელიც მუხლის კვირისთავის ძვალს იჭერს, გამაგრდეს. გუნდთან ერთად სრული დატვირთვით ჩვეულებრივ ვვარჯიშობ, მაგრამ ექიმებმა მითხრეს, ამ კვირაში თამაშსა და დიდ დატვირთვებს მაინც მოერიდე, კუნთს გამაგრება აცალე, თორემ კარგად თუ არ მოგირჩა, არსებობს ალბათობა, კიდევ ერთხელ დაგჭირდეს ოპერაციაო. ჩვენი გუნდი "ციურიხთან" საპასუხო მატჩისთვის ხვალ მიემგზავრება შვეიცარიაში, მაგრამ მე აქ, ემპოლიში ვრჩები.

**- ალბათ გეცოდინება ეროვნულ ნაკრებში რომ ხარ გამოძახებული...**

- დიახ, კლუბში ფედერაციიდან უკვე მოვიდა ფაქსი და ეს ამბავი დღეს დილით მახარეს. საკმაოდ ბედნიერი ვარ...

**- "ემპოლიში" როგორ შეხვდნენ ეროვნულ ნაკრებში შენს გამოძახებას?**

- ახლა შედარებით ჩვეულებრივ. აი, პირველად, ივნისში რომ გამომიძახეს აშკარად ეტყობოდათ, რომ გაეხარდათ, თავს ამაყად გრძნობდნენ.

**- კუნთის გასამაგრებლად კიდევ 4-5 დღე მჭირდებაო და გენუაში თამაშზე პრობლემა ხომ არ შეგექმნება?**

- არა, წესით ხელი არ უნდა შემეშალოს. ამ კვირის ბოლოს ექიმები საბოლოო პასუხს მეტყვიან. თამაში 13 ოქტომბერსაა, მანამდე მთელი ათი დღეა. მე კი მხოლოდ 4-5 დღით მირჩიეს დასვენება.

**- კლაუს ტოპმიოლერთან ან ნაკრების რომელიმე მესვეურთან ხომ არ გქონია საუბარი?**

- არა, კლაუს ტოპმიოლერთან ასეთი ურთიერთობა ნამდვილად არ მაქვს. რამდენადაც ვიცი, ჩვენი ნაკრების თავკაცს "ემპოლის" ხელმძღვანელებთან აქვს კავშირები და მისი ყურადღების სფეროში ვიმყოფები. ასე რომ, მან ჩემზე ბევრი რამ იცის.

მწვრთნელის ნდობას აშკარად ვგრძნობ. კარგად ვიცი, ჩემზე დიდ იმედს ამყარებს. ძალიან მინდა ნაკრებში წარმატებული დებიუტი მქონდეს... მინდა, მწვრთნელებისა და საერთოდ, ქართველი გულშემატკივრის იმედები გავამართლო.

**- ემპოლიში და საერთოდ იტალიაში რას ამბობენ 13 ოქტომბრის მატჩზე?**

- თამაშისწინა აჟიოტაჟი ნელ-ნელა იწყება და მალე ძალაშიც შევა. ფაქტი ერთია, მთელი იტალია დონადონისგან მოგებას ითხოვს. იტალია მასპინძელია, მაგრამ იოლი თამაში ნამდვილად არ ელის, მჯერა, რომ ჩვენი გუნდი კარგ თამაშს აჩვენებს.

**დავით ცაბაძე**

U19. ევროპის ჩემპიონატი. I ეტაპი

# ნორვეგია რუსთავში, პოლანდია ბოლნისში

გასულ შემოდგომაზე 17-წლამდელთა შორის ევროპის ჩემპიონატის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ჯგუფის მატჩებს საქართველო მასპინძლობდა. ამჯერად კი 19-წლამდელთა ნაკრებებს შორის ჯგუფურ ტურნირს ვუმასპინძლებთ. ტურნირი 17-24 ოქტომბერს ჩატარდება. **ჰაინც ტოპმიოლერის** გუნდის მეტოქეები ჰოლანდიის, ნორვეგიისა და ლატვიის ნაკრებები იქნებიან. ჯგუფიდან ელიტრაუნდში პირველ და მეორეადგილოსნები გადიან. ჯგუფურ მატჩებს უნგრელი, პოლონელი და მაკედონიელი მსაჯები მოემსახურებიან. მატჩები კი თბილისში, რუსთავსა და ბოლნისში ჩატარდება.

**დავით ცაბაძე**

**12:00 ნორვეგია–ლატვია**

18 ოქტომბერი. რუსთავი. ფოლადი

არბიტრი: მარეკ მიკოლაევსკი (პოლონეთი)
თანამსაჯები: კრჟიშტოფ მურმუსი (პოლონეთი), გიორგი ყრუაშვილი (საქართველო)
მეოთხე მსაჯი: დავით ხარიტონაშვილი (საქართველო)

**15:00 პოლანდია-საქართველო**

18 ოქტომბერი. თბილისი. მიხეილ მესხი.

არბიტრი: იშტვან ვადი (უნგრეთი)
თანამსაჯები: ვენცელ ტოტი (უნგრეთი), მარიან კიროვსკი (მაკედონია)
მეოთხე მსაჯი: ალექსანდარ სტარევი (მაკედონია)

**12:00 პოლანდია–ლატვია**

20 ოქტომბერი. ბოლნისი. თ. სტეფანია.

არბიტრი: იშტვან ვადი (უნგრეთი)
თანამსაჯები: ვენცელ ტოტი (უნგრეთი), გიორგი ყრუაშვილი (საქართველო)
მეოთხე მსაჯი: დავით ხარიტონაშვილი (საქართველო)

**15:00 საქართველო-ნორვეგია**

20 ოქტომბერი. თბილისი. მიხეილ მესხი.

არბიტრი: ალექსანდარ სტარევი (მაკედონია)
თანამსაჯები: მარიან კიროვსკი (მაკედონია), კრჟიშტოფ მურმუსი (პოლონეთი)
მეოთხე მსაჯი: მარეკ მიკოლაევსკი (პოლონეთი)

**15:00 ნორვეგია-პოლანდია**

23 ოქტომბერი. რუსთავი. ფოლადი.

არბიტრი: მარეკ მიკოლაევსკი (პოლონეთი)
თანამსაჯები: კრჟიშტოფ მურმუსი (პოლონეთი), გიორგი ყრუაშვილი (საქართველო)
მეოთხე მსაჯი: დავით ხარიტონაშვილი (საქართველო)

**15:00 ლატვია-საქართველო**

23 ოქტომბერი. თბილისი. მიხეილ მესხი.

არბიტრი: ალექსანდარ სტარევი (მაკედონია)
თანამსაჯები: მარიან კიროვსკი (მაკედონია), ვენცელ ტოტი (უნგრეთი)
მეოთხე მსაჯი: იშტვან ვადი (უნგრეთი)



ჰაინც ტოპმიოლერი

# საქართველოს თასი
დავით ყიფიანის სახელობის თასის ყაზბეგის გათამაშება
ჯგუფური რაუნდი. II ტური
www.pfl.ge


ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

საბოლოო ანგარიში ოდიკაძემ თერთმეტმეტრიანი დარტყმით დააფიქსირა

# ბევრი გოლი და ცოტა ნერვიულობა

## II ჯგუფი

**დინამო-ვიტ ჯორჯია 3:2**

02.10. თბილისი. ეროვნული
500 მაყურებელი

1:0 ფეიქრიშვილი (8), 2:0 ხუციშვილი (24), 2:1 ბერიაშვილი (41), 2:2 ლუქაშვილი (53), 3:2 ოდიკაძე (55 პენ.)

დინამო: ოვონო - ოდიკაძე, ზელიჩი (53. კრშკო), გ. კაშია, შ. კაშია (58. ხმალაძე) - ფეიქრიშვილი, დილმელაშვილი, ფირცხალავა, კობახიძე (76. დობეში) - ხუციშვილი, გონჩაროვი

*სათადარიგოები: გრიშიკაშვილი, თომაშვილი, ვანაძე, გ. ბოლქვაძე*

ვიტ ჯორჯია: მიქაბერიძე - პ. დათუნაიშვილი (56. სახოკია), კაიშაური, ლომაია (46. ადამაძე), ჯაფარიძე - ინჯგია (46. გ. დათუნაიშვილი), რაზმაძე, მელქაძე, კლიმიაშვილი - ლუქაშვილი, ბერიაშვილი

*სათადარიგოები: ბედიაშვილი, მაისაშვილი, გელაშვილი*

გაფრთხილება: მიქაბერიძე (64)

არბიტრი: ო. ხუციძე

**3.** ბორის გონჩაროვის შორეული თავური ასცდა სტუმართა კარს.

**6.** ირაკლი კლიმიაშვილმა კარგი პასი გაუჭრა ვასილ ლუქაშვილს, რომელმაც ბურთი კარგად ვერ დაიმორჩილა და კუთხურს გამორჩა.

**8.** 1:0 - შოთა კაშიამ მარცხნიდან მარჯვენა ფლანგზე გადააწოდა ფეიქრიშვილს, რომელმაც ერთი მეტოქე ჩამოიცილა და კარში დაარტყა - რიკოშეტის შემდეგ მიქაბერიძე სხვა კუთხეში გადახტა, ბურთი კი სხვაში შევარდა.

**17.** კუთხურიდან მოწოდებული ბურთი მიქაბერიძემ ხელებში ვერ შეიმაგრა, შოთა კაშიას მართებდა გატანა, მაგრამ ბურთი მეკარეს დაუმიზნა.

**18.** ლუქაშვილი კარგად გაიჭრა დინამოელთა კარისკენ, კარგი პასიც გაუკეთა პაატა დათუნაიშვილს, რომელმაც ხუთიოდე მეტრიდან ააცილა კარს.

**24.** 2:0 - სანდრო კობახიძემ მარცხნიდან ჩააწოდა, დასწრებაზე მიხეილ ხუციშვილმა იყოჩაღა.

**31.** ლუქაშვილს მარცხენა მახვილი კუთხიდან დიდიე ოვონომ აულო.

**40.** ხუციშვილის პასით გონჩაროვი მეკარესთან პირისპირ გავიდა და არაზუსტად დაარტყა.

**41.** 2:1 - ლუქაშვილის პასით გიორგი ბერიაშვილი აღმოჩნდა კარგ პოზიციაზე, დინამოელთა დაცვას თავგზა აუბნია და ოვონოსაც აულებელი დაურტყა.

**53.** 2:2 - ზაზა სახოკიამ მოხდენილი ფინტით ჩამოიცილა მცველი, ლუქაშვილს ჩაუწოდა, რომელმაც ახლოდან გაიტანა.

**54.** პაატა დათუნაშვილის პასის შემდეგ ბერიაშვილს ვიტელთა დაწინაურება შეეძლო, მაგრამ ძალიან სუსტად დაარტყა.

**53.** 3:2 - "ვიტ ჯორჯია" ხელოვნური თამაშგარის შექმნას შეეცადა, მაგრამ არ გამოვიდა. გონჩაროვი მეკარესთან პირისპირ დარჩა და პენალტიც მოინაგრა, რომელიც უნაკლოდ შეასრულა ოდიკაძემ.

**61.** გონჩაროვის დარტყმული მიქაბერიძემ კუთხურზე მოიგერია.

**69.** ლუქაშვილის თავური ოვონომ გააუვნებლა.

ზოგადად, ხუთგოლიანი თამაშის ნახვა ურიგო არ არის, მაგრამ გუშინ გოლებმა ვერ დაამშვენეს მატჩი - არ იყო დაძაბულობა და ძვალთამტვრევა, რაშიც გუნდები, ნაკლებად, რომ ვინმემ დაძრახოს - თასის გათამაშების ფორმატი ამ ეტაპზე ბევრ საინტერესო თამაშს ნამდვილად ვერ გვპირდება.

"დინამომაც" და "ვიტ ჯორჯიამაც" რამდენიმე საკვანძო ფეხბურთელი სათადარიგოთა სკამზე დასვა. "დინამომ" ტრავმიანობის გამოც მოისაკლისა ხალხი - **ჯორჯ აკირემი და გიორგი მერებაშვილი** მსუბუქად ყოფილან დაშავებულები, ხოლო **ილია სპასოევიჩი** გაციებული გახლდათ.

"დინამო" ოდნავ უკეთესად გამოიყურებოდა მეტოქეზე, შეიძლება ითქვას, ანგარიში ზუსტად ასახავს იმას, რაც მოედანზე ხდებოდა. "დინამოს" ფლანგები ვიტჯორჯიულზე უკეთესი იყო, თუმცა დიდი უპირატესობა არც აქ ჰქონდა **დუშან უჰრინის** გუნდს.

"დინამოც" და "ვიტ ჯორჯიაც" ისეთ ჯგუფში არიან, შემდეგ ეტაპზე გასვლა დიდად არ უნდა გაუჭირდეთ. იქნებ, ამიტომაც იყო გუშინდელი მატჩი არც თუ შლეგი და უშელავათო. აშკარად იგრძნობოდა, რომ ამ თამაშს დიდი ფასი არც ერთი გუნდისთვის არ ჰქონდა.

თუმცა სარგებლის ნახვა ამ თამაშითაც შეიძლებოდა. რამდენიმე ისეთ ფეხბურთელს მიეცა თავის გამოჩენის შანსი, სასტარტო თერთმეტეულში იშვიათად რომ ხვდება. მწვრთნელები ალბათ, თავიანთი გუნდის სუსტ წერტილებსაც შენიშნავდნენ. მაგალითად, "ვიტ ჯორჯიას" ბოლო დროს დაცვაში უჭირს და მესამე გაშვებული გოლიც ამის ნათელი დადასტურება იყო.

"ვიტ ჯორჯიასა" და "დინამოს" დაპირისპირება მართლაც დაპირისპირებაა, თუმცა არა ისეთი, როგორც გუშინ იყო. აი, 19 ოქტომბერს კი ისინი ეროვნული ჩემპიონატის მეცხრე ტურში შეერკინებიან და იმედია, ეს მართლაც დაპირისპირება იქნება.

**დავით თავართქილაძე**

**მალაროელი-ლოკომოტივი** დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 2 | 2 | 0 | 0 | 5-2 | 6 |
| 2. ვიტ ჯორჯია | 2 | 1 | 0 | 1 | 5-3 | 3 |
| 3. მალაროელი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-2 | 0 |
| 4. ლოკომოტივი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-3 | 0 |

# გამგელებული ზესტაფონი
## ფეხბურთიდან ჰოკეიზე გადავედით

## IV ჯგუფი

**ზესტაფონი-მგლები 6:3**

29.09. ზესტაფონი. ცენტრალური
2500 მაყურებელი

1:0 გ. ნოდ. ჭელიძე (14. საჯაიას პასით), 2:0 ბიტოო (16. ფიფიას პასით), 2:1 კუტალია (43), 2:2 ბაკარანძე (55), 3:2 ნ. კვასხვაძე (66. გოცირიძის პასით), 4:2 გოცირიძე (70), 5:2 ფიფია (75. გოცირიძის პასით), 6:2 გ. ნუგ. ჭელიძე (88. გოცირიძის პასით), 6:3 ქირია (89. ვართაგავას პასით)

ზესტაფონი: ჭანტურია (73. რ. კვასხვაძე) - თოდუა, საჯაია, ლონლაძე - ონიანი, კ. ჩხეტიანი, ჟონატასი, გ. ნუგ. ჭელიძე - ფიფია - გ. ნოდ. ჭელიძე (46. გოცირიძე), ბიტოო (46. ნ. კვასხვაძე).

*სათადარიგოები: ლობჟანიძე, ვიეირა, იონანიძე, ხიდეშელი*

მგლები: ივარდავა - ლიპარტია (46. ხუხუა), ნარსია, მაჭავარიანი, ხუბუა - ქომეთიანი (68. ქირია), ვართაგავა, ლ. კუტალია, წურწუმია - ჭკადუა (76. დ. კუტალია), ბაკარანძე

სათადარიგოები. ტაბატაძე, გაბედავა

გაფრთხილება ჭანტურია (56)

მსაჯი: მ. ურუშაძე

**9.** ფიფიამ ჭელიძე გაიყვანა პირისპირ მეკარესთან, მაგრამ კუთხე იყო ძალიან მახვილი და მეკარემ მოიგერია დარტყმული.

**14.** 1:0 - საჯაიამ გრძელი გადაცემით მეკარესთან პირისპირ გაიყვანა გ. ნოდ. ჭელიძე და მასაც არ გასჭირვებია თანაგუნდელთა დაწინაურება.

**16.** 2:0 - ფიფიამ კარგი გადაცემა გაუკეთა ბიტოოს, რომელმაც თავზე გადაუგდო ბურთი ივარდავას.

**32.** ივარდავამ სასწაულებრივად მოიგერია ჟონატასის მიერ ახლოდან დარტყმული.

**43.** 2:1 - კუტალიამ შორეული დარტყმით შეამცირა სხვაობა.

**55.** 2:2 - ბაკარანძემ გაათანაბრა ანგარიში.

**66.** 3:2 - გოცირიძემ გაიყვანა კვასხვაძე პირისპირ და მანაც კიდევ ერთხელ დააწინაურა თავისი გუნდი.

**70.** 4:2 - ბექა გოცირიძემ ორი მცველი მოატყუა, შემობრუნდა, ბურთი აიგდო და მიწაზე დაუშვებლად აულებელი დაურტყა ივარდავას.

**75.** 5:2 - კვასხვაძემ წამოიწყო შეტევა, გადააწოდა გოცირიძეს, რომელმაც თავით დაუგდო ფიფიას.

**78.** ნარსიას დარტყმა მოხვდა ხარიხას

**88.** 6:2 - გოცირიძემ გ. ნუგ. ჭელიძე გაიყვანა პირისპირ და გაატანინა.

**89.** 6:3 - ქირიამ მატჩის საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

სათასო დაპირისპირებებიდან ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო შეხვედრა ზესტაფონში უნდა გამართულიყო. მართლაც, მატჩზე გაცემულმა ავანსებმა გაამართლა - ტრიბუნებზე შეკრებილმა გულშემატკივრებმა საინტერესო, ლაღი და რაც მთავარია, უხვგოლიანი ბურთაობა იხილეს.

ჩემპიონატის მატჩში „ზესტაფონმა" მხოლოდ ბოლო წუთზე შეძლო „მგლების" გატეხვა. ზუგდიდელები ახლაც საბრძოლველად იყვნენ მომართულნი, მცირე ხნით ანერვიულეს კიდეც მეტოქე, მაგრამ თასზე დაგეშილი ზესტაფონელების შესაჩერებლად მათი შემართება საკმარისი არ აღმოჩნდა.

ზემოიმერლები არ მალავენ, რომ მეოთხე ცდაზე თასის მოგებას აპირებენ, რის გამოც თითოეულ მატჩს მობილიზებით ხვდებიან, თუმცა **თემურ მახარაძემ** გუშინ რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი დაასვენა. სანაცვლოდ ძირითადს დაუბრუნდნენ **შალვა ლონლაძე** და **გოგი ფიფია**, **გიორგი ნუგზარის ძე ჭელიძემ** კი მიმდინარე სეზონში სულაც პირველად ითამაშა. დანაკლისი „მგლებსაც" ჰქონდა: სხვადასხვა მიზეზების გამო, ზუგდიდელთა რიგებში არ იყვნენ **კრასოვკი**, **ჭედია** და **ფარულავა**.

მატჩი ლაღად, ორმხრივ შეტევებში დაიწყო. დებიუტში ბურთს „მგლები" აკონტროლებდა, მაგრამ მე-14 და მე-16 წუთებზე „ზესტაფონმა" ორი ბურთი მიართვა მეტოქეს.

მასპინძლებმა საქმე მოთავებულად ჩათვალეს, მოეშვნენ და დაისაჯნენ კიდეც. ტაიმის ბოლოს **კუტალიამ** 30-ოდე მეტრიდან გაიტანა. მეორე ნახევრის დასაწყისში კი სტუმრებმა ანგარიშიც გაათანაბრეს - 55-წუთზე **ქომეთიანის** დარტყმის შემდეგ ბურთი მცველს მოხვდა და **ბაკარანძისკენ** წავიდა, რომელმაც ვარდნაში ორიოდე მეტრიდან გაიტანა. გაშვებულმა გოლმა მასპინძლები ისე გააცოფა, რომ ისინი მთელი ძალებით შეტევაზე გადავიდნენ. კარგად ჩაერთვნენ თამაშში შეცვლაზე შემოსული **ნიკა კვასხვაძე** და **ბექა გოცირიძე**. ამ უკანასკნელმა გუშინ კარიერაში ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა და გოლთან ერთად სამი საგოლე გადაცემაც მიითვალა.

**დავით კოხრეიძე**
ზესტაფონიდან

**კახეთი-დილა** 1:3

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ზესტაფონი | 2 | 2 | 0 | 0 | 10:3 | 6 |
| 2. დილა | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 4 |
| 3. მგლები | 2 | 0 | 1 | 1 | 4:7 | 1 |
| 4. კახეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:7 | 0 |

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
უწყვეტი მომსახურება
ტექნიკური მხარდაჭერა
გარანტირებული ხარისხი
გადახდა სახლიდან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ი. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

## I ჯგუფი

**ამერი-მესხეთი 4:0**

2.10. თბილისი. ამერი
200 მაყურებელი

1:0 დავითნიძე (45), 2:0 დეკანოსიძე (70), 3:0 ცხადაძე (79. შალამბერიძის პასით), 4:0 ცხადაძე (81. ჯელაძის პასით)

ამერი: ქვაჩახია - კაკაშვილი, დავითნიძე, ჩიკვილაძე, ელბაქიძე - ა. ალავიძე (63. შალამბერიძე), მესხი, დეკანოსიძე, ჯელაძე - დავითაშვილი (63. რ. გოცირიძე), ტატანაშვილი (72. ცხადაძე)

*სათადარიგოები: გვენცაძე, დიდავა, დობროვოლსკი, დოლიძე*

მესხეთი: ძამუნაშვილი - ჟვანია, კობესაშვილი (46. ღონღაძე), ნადირაშვილი, ძამსაშვილი - თურმანიძე, ინასარიძე (34. მ. თაყაძე), კევლიშვილი, აფრიამაშვილი, გვირჯიშვილი - ჰ. აკოფიანი (73. გ. სუდაძე)

*სათადარიგოები: სომხიშვილი, კაიდარაშვილი*

გაფრთხილება: ნადირაშვილი (64)

არბიტრი: ა. კრიჭაშვილი

**5.** დავითაშვილი მეკარესთან პირისპირ გავიდა, მაგრამ ძამუნაშვილს ვერ აჯობა.

**28.** ალავიძე-დავითაშვილი-ტატანაშვილის სამსვლიანი კომბინაცია ამ უკანასკნელის დარტყმით დასრულდა, ბურთი "მესხეთის" მეკარემ მოიგერია.

**35.** გვირჯიშვილის ჩაწოდებულს აკოფიანი ვერ შესწვდა, თორემ გოლი გარდაუვალი ჩანდა.

**44.** ჩიკვილაძე მაკრატელათი შეეცადა გატანას და მიზნამდე სულ მცირედი დააკლდა.

**45.** 1:0 - ჯელაძეს მეკარემ აუღო, ტატანაშვილს კვლავ გოლკიპერმა აჯობა ძელის დახმარებით, შეტევა გაგრძელდა და დავითნიძის ეფექტური გოლით დაგვირგვინდა.

**46.** ღონღაძემ აკოფიანი ქვაჩახიასთან პირისპირ გაიყვანა, სომეხმა თავდამსხმელმა მასპინძელთა კიპერს ვერ აჯობა.

**70.** 2:0 - დეკანოსიძემ საჯარიმოს გარედან ბურთი სტუმართა კარის ცხრიანში გაახვია.

**79.** 3:0 - ცხადაძემ შალამბერიძის შორეული გადაცემა დაამუშავა და ანგარიში გამანადგურებელი გახადა.

**81.** 4:0 - იმავე ცხადაძემ ჯელაძის კუთხურს შეაგება თავი.

**89.** ჯელაძე მეკარესთან პირისპირ გავიდა, მაგრამ რიგიანად ვერ დაარტყა.

# ერთი ნაბიჯი მეოთხედფინალამდე

"დინამოსთან" უპრინციპულესი მატჩის წინ ამერელებმა ხასიათიც გამოისწორეს და რაც მთავარია, თამაშის ხარისხით საკუთარ გულშემატკივრებს ოპტიმიზმის საფუძველი მისცეს. მართალია, "მესხეთი" წამყვან ქართულ კლუბთა მარაქას არ განეკუთვნება და თანაც, გლდანში არაოპტიმალური შემადგენლობით ითამაშა, მაგრამ 4:0-ის მოგება ნებისმიერ მეტოქესთან ჩინებული შედეგია. შეგახსენებთ, რამდენიმე დღის წინათ, გლდანელებმა ჩემპიონატში "მერანი" 7:0 გაანადგურეს.

როგორც თასის ჯგუფურ ეტაპს სჩვევია, "ამერი" არცთუ საუკეთესო ძალებით გავიდა მოედანზე. **გიორგი ჩიხრაძის** ფეხბურთელებმა ლაღად, ძალდაუტანებლად ითამაშეს და ერთი ამოსუნთქვით მოიპოვეს სათასო სამი ქულა. მასპინძლები ერთიმეორის მიყოლებით ქმნიდნენ სახიფათო მომენტებს, რაც სეზონის სტარტზე საკმაოდ უჭირდათ. ერთი სიტყვით, გუშინდელმა შეხვედრამ იმის წინაპირობა დაგვანახა, რომ შაბათს, "ამერისა" და "დინამოს" სახით, ერთმანეთის პირისპირ ტოლსწორი მეტოქეები წარდგებიან და ამ მატჩში ნებისმიერ შედეგს უნდა ველოდოთ.

მასპინძელთა სათამაშო და ტერიტორიული უპირატესობა პირველივე წუთებიდან გამოიკვეთა, მაგრამ ახალციხელები მათთვის მეტ-ნაკლები წინააღმდეგობის გაწევას შესვენებამდე მაინც ახერხებდნენ. ურიგო ფეხბურთელი არ ჩანს "მესხეთის" სომეხი შემტევი **ჰაიკ აკოფიანი,** რომელიც დროდადრო თამაშის გამწვავებას ახერხებდა.

გამორჩეულად ლამაზი **გიორგი დავითნიძის** გოლი იყო. პირველი ტაიმისთვის დამატებული დრო მიმდინარეობდა, როცა "ჯორჯო" მოედნის სიღრმიდან დაიძრა, გზად რამდენიმე მეურვე ჩამოიცილა და "მესხეთის" საჯარიმოში შეჭრილმა კაპიტანმა ანგარიში გახსნა.

**ბაჩანა ცხადაძეს** მოედანზე 20 წუთიც არ გაუტარებია, მაგრამ საკუთარი შანსი მაქსიმალურად გამოიყენა. "მესხეთის" კარში გასული ბოლო ორი გოლი "ამერის" ახალგაზრდა ფორვარდის გააზრებულ ქმედებას მოჰყვა.

მის ვერცერთ თანაგუნდელზე აუგს ვერ ვიტყვით. "მესხეთი" მეორე ნახევარში ბევრს ველარაფერს ახერხებდა და ჩიხრაძის შეგირდებს თავის გამოჩენის მაქსიმალური საშუალება ჰქონდათ. შესაძლოა, ამ მატჩმა რამდენიმე იმ ამერელის პოზიციები გაამყაროს, აქამდე ძირითადში მოხვედრა რომ უჭირდათ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

| კახეთი-ღილა | 1:3 |
|---|---|

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ამერი | 2 | 2 | 0 | 0 | 10-1 | 6 |
| 2. მესხეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 1-4 | 3 |
| 3. სპარტაკი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| 4. ტორპედო | 1 | 0 | 0 | 1 | 1-6 | 0 |

## III ჯგუფი

| ოლიმპი-ბორჯომი | 3:1 |
|---|---|
| მერანი-ბათუმი | 0:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მერანი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 3 |
| 2. ბორჯომი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 3 |
| 3. ოლიმპი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| 4. ბათუმი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:2 | 3 |

ლეგიონერები

# ლევან ყენიას ელირსა: ვიზა შალკესა და დიდ ფეხბურთში!

**ლევან ყენია** ერთი წელიწადია ევროპაში გადასვლას იმედოვნებდა. შარშან ამ დროს ესპანეთის პრიმერა დივიზიონის "ლევანტეში" მიიწვიეს, მაგრამ ამ ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტრომ არასრულწლოვან ქართველს ვიზა არ მისცა. მერე უკვე დაიწყო გელზენკირხენის "შალკეს" ეპოპეა. ზამთრიდან მოყოლებული ლევანი წასვლა ელის და ელის.

მოთმინებამ შედეგი გამოიღო. ორიოდე დღის წინათ 16 წლის ქართველ ნახევარმცველს ნანატრი ვიზა მისცეს და ხვალ ლევანი გერმანიაში გაემგზავრება, სადაც "შალკეს" 19-წლამდელთა გუნდთან კონტრაქტს გააფორმებს.

ჯერ მას დუბლებში თამაშის უფლებაც არ გააჩნია. ლევანი ამის გამო ჩასვლისას მხოლოდ ერთწლიან კონტრაქტს გააფორმებს, უფრო ხანგრძლივი, 3-წლიანის გაფორმება კი იმ დროისთვის გადაიდო, სანამ 18 წლის არ შესრულდება.

**მერაბ მამულაშვილი**



ლევან ყენია

# მელქაძის ტრავმა სერიოზული არაა

ყარაღანდის "შახტიორის" თავდამსხმელი **ლევან მელქაძე** "ჟეტისუსთან" ერთი კვირის წინანდელ მატჩში დაშავდა. ტრავმა ყველას სერიოზული ეგონა, რადგან ყარაღანდელთა ქართველმა ლეგიონერმა მოედანი 35-ე წუთზე დატოვა და ექიმების დასკვნას ორი დღე ელოდა. საბედნიეროდ, ლევანი მდგომარეობიდან იოლად გამოძვრა, ძვალი დაზიანებული არ აღმოჩნდა და შაბათს მელქაძემ ისევ გაიბრწყინა - ლიგის აუტსაიდერ "კაისართან" გოლი და საგოლე გადაცემა ჩაიწერა.

**რეზო ძოძუაშვილის** დანიშვნამ მელქაძეზე სასიკეთოდ იმოქმედა. ისეთი ამბავია, მუნჯის მხოლოდ დედას რომ ესმის. გამოცდილმა სპეციალისტმა უნდობლობით დათრგუნული თავდამსხმელის პოტენციალი წინამორბედ ფინელ მწვრთნელზე უკეთ იცოდა და არც შემცდარა - როგორც იქნა, ლევანი ათამაშდა, მეორე სუნთქვა გაეხსნა და ბოლო ტურებში მოედანი უგოლოდ არ დაუტოვებია.

ლევანი ყაზახეთში სეზონს დაასრულებს და შემდეგ გადაწყდება - გააფორმებს "შახტიორთან" ახალ კონტრაქტს თუ კარიერას სხვაგან გააგრძელებს. ეს უკვე მისი გადასაწყვეტია.

სეზონის შემდეგ ხელახლა დალაპარაკება რეზო ძოძუაშვილსა და "შახტიორის" მეპატრონეებსაც მოუწევთ. ქართველს გუნდის ჩაბარებისას, მიზნად სამეულში მოხვედრა დაუსახეს. ჩემპიონატის დასრულებამდე ექვსი ტური დარჩენილი და მეორე ადგილზე მყოფი ყარაღანდელები მესამე-მეოთხეადგილოსან "ტობოლს" და "ირტიშს" სამი და ოთხი ქულით უსწრებენ, თუმცა მეტოქეებს ნაკლები მატჩები აქვთ ჩატარებული და "შახტიორს" უმძიმესი ბრძოლა აქვს გადასატანი მიზნის მისაღწევად.

**მერაბ მამულაშვილი**

ფუტზალი

# შემადგენლობა საფრანგეთისთვის

გუშინდელ ნომერში გაცნობეთ, ფუტზალში საქართველოს ეროვნული ნაკრები საფრანგეთთან ორ გასვლით ამხანაგურ მატჩს რომ ჩაატარებს. შეხვედრები 16 და 17 ოქტომბერს კანსა და ნიცაში გაიმართება. ამ თამაშებისთვის ჩვენი ეროვნული გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **პეტრე თაბუკაშვილმა** ნაკრებში გამოძახებული მოთამაშეების ვინაობები დაასახელა:

**ლ. გაბუჩია, შ. კუბლაშვილი, გ. იოსებიძე, დ. ნეფარიძე, ნ. ოსეფაშვილი, ა. ბოკერია, დ. დარჩია, გ. ბერძიშვილი, ა. ასათიანი.**

დავით **ცაბაძე**



# ქართველ ფეხბურთელთა უმაღლეს დონეზე მომზადება არგენტინაში

## მარადონას სამშობლოში

ქართველ ფეხბურთელებს მოამზადებენ შემდეგი კვალიფიციური სპეციალისტები:

მთავარი მწვრთნელი: ედუარდო ემილიო დელგადო, "ველეს სარსფილდის", "სან ლორენსოსა" და "როსარიო სენტრალის" ყოფილი ფეხბურთელი.

მწვრთნელი: რაულ დე ლა კრუს ჩაპარო, "რივერ პლეიტის" ყოფილი ფეხბურთელი;

მწვრთნელი: ოსკარ ოლივერა, ლა პლატის "გიმნასია და ესგრიმას" ყოფილი ფეხბურთელი;

ფიზმომზადების სპეციალისტი: კარლოს გონსალესი.

16-დან 20 წლამდე ასაკის პერსპექტიულ ფეხბურთელებს, რომელთაც სურთ, ჯერ აიმაღლონ საფეხბურთო დონე, ხოლო შემდეგ გარკვეული პერიოდი ითამაშონ არგენტინის საფეხბურთო გუნდებში, მიმდინარე წლის ოქტომბერში გაემგზავრებიან არგენტინის დედაქალაქ ბუენოს-აირესში, სადაც პროვინციებთან ერთად 300-ზე მეტი საფეხბურთო კლუბი ფუნქციონირებს.

არგენტინაა ერთადერთი ქვეყანა, სადაც ახალგაზრდულ საფეხბურთო გუნდებს შორის, სხვა ქვეყნებთან შედარებით, უფრო მეტი შეჯიბრებები იმართება, რაც ქართველ ფეხბურთელებს საშუალებას მისცემს, გაიუმჯობესონ ტექნიკა და გამოავლინონ თავისი შესაძლებლობები.

მომზადების პერიოდი 6 თვიდან ერთ წლამდეა. მომზადების პერიოდში ფეხბურთელებზე მოხდება დაკვირვება. მომზადების შემდეგ, ისინი მივლენილნი იქნებიან არგენტინის კლუბებში და ითამაშებენ ოფიციალურ თამაშებს.

ფიზიკური, ტექნიკური და ტაქტიკური მომზადების, ავიაბილეთების, ბინის, კვების, შიდა ტრანსპორტის და არგენტინის ვიზის ხარჯებს არგენტინის მხარე არ უზრუნველყოფს და გაღებულ უნდა იქნას მსურველთა, ან მათი სპონსორების მიერ.

დაწვრილებითი ცნობებისთვის მსურველები უნდა გამოცხადნენ არგენტინის წარმომადგენელთან, მისამართზე: ლეონიძის ქ №4 (ყოფილი კიროვის ქ. თავისუფლების მოედანთან, ეროვნული ბანკის მოპირდაპირედ). მიღება იწარმოებს ყოველდღე 13-დან 14 საათამდე არგენტინის წარმომადგენელთან საქართველოში, მხოლოდ წინასწარ ჩაწერით, შემდეგ ტელეფონზე: 899 23-55-20. ტელეფონის საშუალებით დაწვრილებითი ცნობები არ მიიღება! საბუთების გასაფორმებლად და არგენტინის ვიზების მისაღებად მსურველები უნდა გამოცხადდნენ სასწრაფოდ!!!

ლეგიონერი

# შოთა ევროპის საუკეთესოებშია



შოთა არველაძე

უეფას ყოველწლიურმა ჟურნალმა გასული სეზონის შედეგები შეაჯამა და 100 საუკეთესო მოთამაშე დაასახელა. ტოპფეხბურთელებში საქართველოს ნაკრებისა და ესპანეთის "ლევანტეს" თავდამსხმელი **შოთა არველაძეც** აღმოჩნდა.

პოსტსაბჭოური ქვეყნებიდან ასეთი პატივი კიდევ მხოლოდ სამ მოთამაშეს ხვდა წილად - ორი რუსია, მოსკოვის "სპარტაკის" და ეროვნული გუნდის წევრები, **ვლადიმირ ბისტროვი** და **რომან პავლიუჩენკო,** აგრეთვე უკრაინის ნაკრებისა და კიევის "დინამოს" ნახევარმცველი **ოლეგ გუსევი**.

**მერაბ მამულაშვილი**

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

# საქართველოს XIX ჩემპიონატი

## უმაღლესი ლიგა. სექტემბრის ნომინანტები

### მწვრთნელები — დუშან უზრინი (დინამო), თემურ მახარაძე (ზესტაფონი)


დუშან უზრინი


თემურ მახარაძე

გასული თვე უდანაკარგოდ მხოლოდ ორმა გუნდმა განვლო და საუკეთესო მწვრთნელიც ან "დინამოდან" უნდა ყოფილიყო, ანდა "ზესტაფონიდან". არადა, **დუშან უზრინისა** და **თემურ მახარაძის** გუნდებმა სექტემბერში ყველა მატჩში გაიმარჯვეს და სავსებით ლოგიკურიც არის, გათამაშების ცხრილის სათავეში "დინამო" და "ზესტაფონი" რომ არიან. ჰოდა, ალბათ, სამართლიანი არჩევანი გავაკეთეთ და სექტემბრის საუკეთესო მწვრთნელებად დუშან უზრინი და თემურ მახარაძე დავასახელეთ!

საქართველოში ჩამოსვლის დღიდან უზრინმა ყველას "მიგვაჩვია", რომ ძირითად შემადგენლობაში როტაციას მხოლოდ გამოუვალ მდგომარეობაში მიმართავს. ასე დაიწყო ახალი სეზონიც, მაგრამ სექტემბერში გამოცდილმა ჩეხმა სპეციალისტმა ნახევარდაცვაში ძირეული ცვლილებები შეიტანა და "დინამოს" თამაშმაც აშკარად შთამბეჭდავი სახე მიიღო.

აი, თემურ მახარაძეს კი ბევრი კოლეგა, ალბათ, შურის თვალით უცქერს - საქართველოს ჩემპიონატში მოასპარეზე ვერცერთი გუნდი დაიკვეხნის "ზესტაფონის" მსგავსი სათადარიგოთა სკამით. ფაქტობრივად, თემურ მახარაძეს ორი სრულფასოვანი შემადგენლობა ჰყავს და, რაც მთავარია, **გიორგი ქელიძისა** და გაბონელი **ბიტოოს** მოსვლის მერე "ზესტაფონის" შედარებით ყველაზე სუსტი რგოლიც (თავდასხმა) საგრძნობლად გაძლიერდა.

ისე, ამ ნომინაციაში კიდევ ერთი კანდიდატი გვყავდა - "ბორჯომის" მწვრთნელი **ვლადიმერ ხაჩიძე.** "ბორჯომისგან" სიურპრიზებს დიდი ხანია მიჩვეული ვართ, მაგრამ, ვფიქრობთ, ამ გუნდისგან მაინც არ იყო პატარა საქმე ერთმანეთის მიყოლებით "ამერის", "ვიტ ჯორჯიასა" და ამბიციური დებიუტანტის "მესხეთის" ძლევა. სამწუხაროდ, სექტემბრის დასაწყისში "ბორჯომმა" სტუმრად აუტსაიდერი "ბათუმის" დამარცხება ვერ შეძლო, თორემ "დინამოსა" და "ზესტაფონის" მსგავსად, ასპროცენტიანი შედეგი ექნებოდა. ისე, სხვა შემთხვევაში რა უნდა გვექნა, საუკეთესოდ ერთდროულად სამი მწვრთნელი დაგვესახელებინა?...

### სექტემბრის სიმბოლური ნაკრები




### ფეხბურთელები — შოთა გრიგალაშვილი (ბორჯომი), მიხეილ ხუციშვილი (დინამო)


შოთა გრიგალაშვილი


მიხეილ ხუციშვილი

აგვისტოს მსგავსად, ამ ნომინაციაშიც, სექტემბერშიც "ორხელისუფლებიანობაა". ანუ ჩვენ ჩემპიონატში აღარ არის ერთი კონკრეტული ფეხბურთელი, რომელიც ნამეტნავად შთამბეჭდავად ითამაშებს (აი, წინა სეზონში **სანდრო იაშვილი** რომ იყო) და ჩვენც... საუკეთესოს გამოვლენაში "მოგვეხმარება". არ დავმალავთ, ამ ნომინაციაში გამარჯვებულის გამოსავლენად ბევრი ვიფიქრეთ; კანდიდატებიც მრავლად იყო: ჩინებულად ითამაშა "ზესტაფონის" დებიუტანტმა **გიორგი ქელიძემ**; ყველა შეხვედრაში დამაჯერებლად გამოიყურებოდა "ბორჯომის" ნახევარმცველი **გიორგი ნერგაძე**; სულ სხვა თვისებები დავინახეთ დინამოელ **ილია სპასოევიჩში**; იყო კონკრეტული შემთხვევებიც, როცა ერთი ფეხბურთელი თამაშის ბედს წყვეტდა - **გოგა ფიფიასა** ("ზესტაფონი") და **რეზო ჯიქიას** ("ოლიმპი") ვგულისხმობთ; და მაინც, ყველაზე დამაჯერებლად და, რაც მთავარია, სტაბილურად "ბორჯომის" ნახევარმცველი **შოთა გრიგალაშვილი** და "დინამოს" მოიერიშე **მიხეილ ხუციშვილი** თამაშობდნენ. გრიგალაშვილს "დინამოში" საქმეები რატომ ვერ აეწყო, ამაზე დღეს არ ვისაუბრებთ. როგორც იტყვიან, ყველა მწვრთნელს თავის ხედვა აქვს, მაგრამ ამ ნიჭიერ ნახევარმცველს ბევრი რომ შეუძლია, უკვე წელიწადია "ბორჯომში" ამტკიცებს. ნურც ის დაგვავიწყდება, რომ გრიგალაშვილი საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ერთ-ერთი გამოკვეთილი ლიდერია (დინამოელ **გიორგი მერებაშვილთან** ერთად). სექტემბერში გრიგალაშვილს თითქმის ყველა მატჩში გოლი გაჰქონდა (თანაც, რა მეტოქეებთან) და თანაგუნდელებთან (უპირველესად - გიორგი ნერგაძესთან და **შოთა ჯიქიასთან**) ერთად ლომის წილიც შეიტანა "ბორჯომის" ასეთ წარმატებულ ასპარეზობაში.

გრიგალაშვილისგან განსხვავებით, **მიხეილ ხუციშვილზე** ახალგაზრდააო, ვერავინ იტყვის. ეროვნულ ჩემპიონატში დებიუტი სულაც ათი წლის წინათ ჰქონდა. "კლასიკური" ათი ნომრის პოზიციაზე თამაშით დაგვამახსოვრა თავი - დღეს რომ საერთოდ იშვიათობას წარმოადგენს. "მერანი" იყო, "ლოკომოტივი" თუ "დინამო", ყველგან საკუთარი ხელწერა ჰქონდა - თამაშის სადავეების მართვა, პასის მაღალი კულტურა და ტექნიკის დემონსტრირება. ერთი ეგ არის, სისწრაფით ვერ გამოირჩეოდა და სტაბილურადაც ვერსად დაიმკვიდრა ადგილი. მერე საზღვარგარეთ სცადა კარიერის გაგრძელება და ყველას მივიწყებული რომ ჰყავდა, შარშან მეორე წრეში "სიონში" გამოჩნდა. "გამოჩნდა" ის სიტყვა არ არის - ხუციშვილმა უდიდესი წვლილი შეიტანა ბოლნისური კლუბის გაჩემპიონებაში. მისი და **კოკა მიკუჩაძის** "ტანდემი" ხომ, საერთოდ შეუჩერებელი იყო მეტოქეთათვის. ხუციშვილი "სიონის" ერთ-ერთი უპირობო ლიდერი იყო, მაგრამ მომდევნო სეზონს უკვე სხვა გუნდში შეხვდა. ეს სხვა კი "დინამო" იყო, გუნდი, საიდანაც გაიცნო გულშემატკივარმა ათი წლის წინათ ფეხბურთელი-ხუციშვილი. წინა სეზონში უმეტესწილად შეცვლებზე უწევდა თამაში, ასე დაიწყო ახლაც, მაგრამ სექტემბრის დასაწყისიდან უკვე ძირითადში დაიმკვიდრა ადგილი და დღევანდელი "დინამო" მის გარეშე წარმოუდგენლადაც მიგვაჩნია. გრიგალაშვილის არ იყოს, ხუციშვილიც თამაშიდან უგოლოდ არ გადიოდა და არც ის არის შემთხვევითი, ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირთა სიაში თანაგუნდელ **აკირემთან** ერთად პირველ-მეორე ადგილებს რომ იყოფს.

### აღმოჩენა — ილია სპასოევიჩი



წინა სეზონში ჩერნოგორიელი ფორვარდის "დინამოში" გამოჩენას ბევრი არაერთგვაროვნად შეხვდა. ერთის მხრივ, ხეირიანად ვერც დავადგინეთ, თუ რას წარმოადგენდა ახალგაზრდა, ათლეტური აღნაგობის ფორვარდი: თამაში ეპიზოდურად უწევდა და ისიც შეცვლებზე. მაგრამ "რაღაც" რომ შეეძლო, "ოქროს მატჩად" მონათლულ "ოლიმპი"-"დინამოს" გადამწყვეტ შეხვედრაშიც გამოჩნდა. გახსოვთ, ალბათ, თუ რა "ცეცხლი დაანთო" შეცვლაზე შემოსულმა სპასოევიჩმა; და ის ეპიზოდიც, როდესაც მატჩის მინურულს უძლიერესი დარტყმით "დინამოს" კინაღამ ჩემპიონობა მოუპოვა (რუსთაველებმა საშვილიშვილოდ არ უნდა დაივიწყონ **დავით ჭიჭველიშვილის** თავგანწირული თამაში)...

წინა სეზონში სპასოევიჩს თავის პოზიციაზე **სანდრო იაშვილის** სახით ისეთი კონკურენტი ჰყავდა, ძირითადში მოხვედრაზე ვერც უნდა ეფიქრა. იაშვილის წასვლის მერე "დინამოში" არანაკლებ ჩინებული ცენტრფორვარდი - **ჯორჯ აკირემი** მოვიდა და სპასოევიჩი ამ შემთხვევაშიც "გვერდზე" დარჩა. მით უმეტეს, რომ **დუშან უზრინი** უპირატესობას ყოველთვის ერთი გამოკვეთილი თავდამსხმელით თამაშს ანიჭებს. ასე იყო აგვისტოშიც და აი, სექტემბერში სპასოევიჩი "დინამოს" ძირითადის უცვლელ წევრად მოგვევლინა. ერთხელ შემოვიდა ბიჭი შეცვლაზე - გოლი გაიტანა, მეორედაც იგივე გააკეთა და "სიონთან" მატჩიდან მოყოლებული, უკვე ძირითადშია. თანაც, ამპლუაშეცვლილი - ჩერნოგორიელი ცენტრფორვარდი ბევრისთვის მოულოდნელად ჩინებულად ათამაშდა მარჯვენა გარემარბის პოზიციაზე. გოლებიც გააქვს, საგოლე პასიც რამდენიმე დაუგროვდა და, რაც მთავარია, ახალ პოზიციაზე ისე დამაჯერებლად ათამაშდა, რომ მის კონკურენტებს- **გიორგი ფეიქრიშვილსა** და **დავით ოდიკაძეს** ძირითადში ადგილი "წაართვა".

გვერდი მოამზადა გია ტუხაშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. მეორე ტურის წინ

# ფლორესს მოურინიო ერჩივნა...

## ვალენსია რევანშისთვის ემზადება, ლაციო უდიდესი მოტივაციით...

### A ჯგუფი

#### ლივერპული-მარსელი

პირველი ტურის შემდეგ, A ჯგუფს მარსელის "ოლიმპიკი" ლიდერობს, რომელმაც ორი კვირის წინათ საკუთარ "ველოდრომზე" "ბეშიქთაში" 2:0 დაამარცხა. აღსანიშნავია, რომ ეს გახლდათ ფრანგული კლუბის პირველი გამარჯვება ბოლო კვირების განმავლობაში - საფრანგეთის ჩემპიონატში "მარსელმა" ბოლო ოთხ ტურში მხოლოდ 1 ქულა მოიპოვა და ყველასთვის მოულოდნელად, სატურნირო ცხრილის ქვედა ზონაშია. "ოლიმპიკი" ამჯერად ლივერპულში ჩადის და გუნდის მთავარი მწვრთნელი **ალბერტ ემონი** არ მალავს, რომ "ენფილდზე" ფრეც დააკმაყოფილებს. "ლივერპულმა" კი, რომელიც პრემიერლიგაში ჯერაც დაუმარცხებელია და მოწინავე ოთხეულში შედის, ჩემპიონთა ლიგის პირველი მატჩი ფრედ დაასრულა (1:1 პორტუსთან) და ახლა მხოლოდ მოგებაზე იფიქრებს.

*"მარსელი" სახიფათო მეტოქეა, რომელსაც ნებისმიერი გრანდის დასჯა შეუძლია. ჩვენ ჩვენი თამაში უნდა ვითამაშოთ და თუ ამას შევძლებთ, დარწმუნებული ვარ, რომ ფრანგები "ენფილდიდან" ხელცარიელები გაბრუნდებიან,"* - აცხადებს მერსისაიდელთა დამრიგებელი **რაფა ბენიტესი**.

სავარაუდო შემადგენლობები:

**ლივერპული:** რეინა, ფაბიო აურელიო, კარაგერი, ჰიიპია, არბელოა, მასკერანო, სისოკო, ჯერარდი, რიისე, კუიტი, ტორესი.

**მარსელი:** მანდანდა, ტაივო, ჟ. როდრიგესი, ბონარი, ფატი, ზენდენი, კანა, ნასრი, ზიანი, ჯ. სისე, ნიანგი.

**მსაჯი:** კონრად პლაუტცი (ავსტრია).

#### ბეშიქთაში-პორტუ

ჯგუფის მეორე შეხვედრაში, პირველი ტურის შემდეგ ბოლო ადგილზე მყოფი "ბეშიქთაში" იმ "პორტუს" მასპინძლობს, რომელმაც ორი კვირის წინათ "ლივერპულს" "დრაგაოზე" ქულა დაატოვებინა. გასულ უქმეებზე "ბეშიქთაშმა" თურქეთის ჩემპიონატში პირველი მარცხი განიცადა (დერბიში, "გალათასარაისთან") და ეს გუნდი ფანების თვალში რეაბილიტაციას დღევანდელ შეხვედრაში ეცდება. **ერთუგრულ საგლამის** შეგირდებს აუცილებლად სამი ქულა სჭირდებათ იმისთვის, რომ ნაადრევად არ იქცნენ ჯგუფის აუტსაიდერებად. თურქები ყველაზე მეტად "პორტუს" არგენტინელ ფორვარდ **ლისანდრო ლოპესს** უფრთხიან, რომელმაც გასულ უქმეებზეც იხეირა (დუბლი "ბოავიშტასთან"). **ჟესუალდო ფერეირას** შეგირდები შესანიშნავ ფორმაში არიან, რასაც თუნდაც ის ფაქტი მოწმობს, რომ პორტუგალიის ჩემპიონატში "პორტუს" 6 თამაშში 6 მოგება აქვს.

სავარაუდო შემადგენლობები:

**ბეშიქთაში:** არიქანი, ქურთულუში, იბრაჰიმი, ზანი, დიატა, ტელო, ქორაი ავჩი, თორამანი, იოზქანი, ნობრე, ბობო.

**პორტუ:** ჰელტონი, ბრუნო ალვეში, ჟოაო პაოლო, ბოსინგვა, ფუჩილე, ლუჩო გონსალესი, პაულო ასუნსაო, რაულ მეირელეში, კუარეშმა, ლისანდრო ლოპესი, სექტიუი.

**მსაჯი:** პეტერ ვინკი (ჰოლანდია).

### B ჯგუფი

#### ვალენსია-ჩელსი

ორი კვირის წინათ, "ჩელსიმ" საკუთარ "სტემფორდ ბრიჯზე", ყველასთვის მოულოდნელად, "რუსენბორგს" ვერ მოუგო (1:1), რასაც მოგვიანებით **ჟოზე მოურინიოს** პოსტიდან გათავისუფლება მოჰყვა. მას მერე ლონდონურ კლუბში, რბილად რომ ვთქვათ, ქაოსია. ფანებს დროებითი მწვრთნელი **ავრაამ გრანტი** არ მოსწონთ, მაგრამ **რომან აბრამოვიჩს** ეს არ აინტერესებს. ლონდონელები პრემიერლიგაში უკვე მე-8 ადგილზე არიან, თავი ვერც ჩემპიონთა ლიგაში გამოიჩინეს და შესაბამისად, ერთობ არასახარბიელო მდგომარეობაში იმყოფებიან. ამას ისიც ემატება, რომ "არისტოკრატებს" არაერთი წამყვანი ფეხბურთელი ჰყავთ ტრავმირებული. ცნობილია, რომ დღეს "ჩელსის" კაპიტანი **ჯონ ტერი** ვერ დაეხმარება. როგორც იცით, ლაზარეთშია **ფრენკ ლემპარდიც**. ტრავმირებული იყო **დიდიე დროგბაც**, მაგრამ ამ უკანასკნელმა "ფულჰემთან" ითამაშა, თუმცა იმ შეხვედრაში მოედნიდან გააძევეს. ფაქტია, რომ დროგბა დღეს აუცილებლად ითამაშებს.

რაც შეეხება "ვალენსიას" - "ღამურებს" სამი ქულა აქვთ და ძალიან კმაყოფილები არიან. **კიკე სანჩეს ფლორესის** შეგირდებმა პირველ ტურში "შალკეს" გელზენკირხენში მოუგეს და თუ დღეს "ჩელსის" დამარცხებასაც მოახერხებენ, არა მხოლოდ ჯგუფიდან გასვლისკენ, არამედ პირველი ადგილის დაკავებისკენაც უდიდეს ნაბიჯს გადადგამენ. ფლორესს **სანტიაგო კანისარესი** გამოუჯანმრთელდა, რაც იმას ნიშნავს, რომ გერმანელი **ტიმო ჰილდებრანდი** სათადარიგოთა სკამზე გადაინაცვლებს.

შარშან ეს გუნდები ერთმანეთს მეოთხედფინალში გადაეყარნენ. ლონდონური დაპირისპირება ფრედ 1:1 დასრულდა (გოლები: **სილვა**, დროგბა), "მესტალიაზე" კი "ჩელსიმ" 2:1 გაიმარჯვა და ნახევარფინალში გავიდა. იმ შეხვედრაში ლონდონელთაგან გამარჯვების გოლი **ესიენმა** 90-ე წუთზე გაიტანა. "ღამურები" რევანშისთვის ემზადებიან.

"ვალენსიის" დამრიგებელმა მატჩისწინაპრესკონფერენციაზე მეტად საინტერესო განცხადება გააკეთა: *"ჩემი პირადი მოსაზრება თუ გაინტერესებთ, მერჩივნა, რომ "ჩელსის" თავკაცი მოურინიო ყოფილიყო, რადგან ამ კაცის წინაალმდეგ ბრძოლა პირადად ჩემთვის უფრო საინტერესო იქნებოდა. გრანტს არ ვაკნინებ, უბრალოდ, ვფიქრობ, ყველა დამეთანხმება, რომ მოურინიო ნებისმიერი მწვრთნელისთვის გაცილებით სერიოზული მეტოქეა."*

სავარაუდო შემადგენლობები:

**ვალენსია:** კანისარესი, მიგელი, ალბიოლი, ელგერა, მორეტი, მარჩენა, ბარახა, დავიდ სილვა, ანგულო, არიზმენდი, ვილია.

**ჩელსი:** პ. ჩეხი, ბელეტი, ალექსი, ბენ ჰაიმი, ე. კოული, ჯ. კოული, მაკელელე, სიდუელი, კალუ, დროგბა, შევჩენკო.

**მსაჯი:** რობერტო როზეტი (იტალია).

#### რუსენბორგი-შალკე

"შალკე" წნეხის ქვეშაა მოქცეული - საკუთარ მოედანზე "ვალენსიასთან" წაგების შემდეგ, გელზენკირხენელები ვალდებულები არიან, რომ ტრონდჰეიმიდან სამი ქულა წაიღონ, მაგრამ ისიც ცხადია, რომ "რუსენბორგის" დამარცხება გაუჭირდებათ. *"ბუნდესლიგაში მოგებათა სერია გვაქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ გუნდი თავდაჯერებულია. სწორედ ასეთი თავდაჯერებით უნდა ვითამაშოთ ტრონდჰეიმშიც. ამ გუნდმა "ჩელსის" ქულა წაართვა და ჩვენც ვიცით, რომ სამი ქულის მოპოვება რთული იქნება, მაგრამ მე სხვა შედეგი ვერ დამაკმაყოფილებს. ზეწოლის ქვეშ ვართ, რადგან პირველი თამაში წავაგეთ, მაგრამ ახლა უნდა მოვიგოთ,"* - აცხადებს "ხუმარების" დამრიგებელი **მირკო სლომკა**.

*"თუ ვინმეს ჰგონია, რომ "რუსენბორგის" დამარცხება უფრო იოლი იქნება, ვიდრე "ჰერტასი" ან "დუისბურგის", ძალიან ცდება,"* - თანაგუნდელებს აფრთხილებს კაპიტანი **მარსელო ბორდონი**, - *"ჩემპიონთა ლიგა სულ სხვა კალიბრია. ამ ტურნირზე თითოეული შანსი უნდა გამოიყენო."* ამ სიტყვებით ბორდონი თავდამსხმელებს მესიჯს უგზავნის, რადგან **კევინ კურანი** და **ჯერალდ ასამოა** ბოლო დროს ბევრ მომენტს ანიავებენ. ბორდონს მცირე ტრავმა კი აწუხებს, მაგრამ დღეს ითამაშებს. სამაგიეროდ, "შალკეს" ტრავმის გამო მარცხენა მცველი **კრისტიან პანდერი** გამოაკლდა. როცა ეს უკანასკნელი არ თამაშობს, მას ხსენებულ პოზიციაზე **ლევან კობიაშვილი** ცვლის ხოლმე, მაგრამ რაკი ქართველიც ტრავმირებულია, სლომკა იძულებულია, რომ დღეს ახალგაზრდა და გამოუცდელი **ბენედიქტ ჰიოვედესი** ათამაშოს, რომელიც გერმანიის 20-წლამდელთა ნაკრების წევრია. მართალია, ამ უკანასკნელს "შალკეს" ძირითად შემადგენლობაში ჯერ არ უთამაშია, მაგრამ სლომკა ამბობს, "ბენეს" ვენდობი და მჯერა, რომ იმედებს არ გამიცრუებსო. სიმართლე ითქვას, მირკოს სხვა გზა მაინც არა აქვს - დარჩენილი მცველებიდან ყველაზე გამოცდილი მაინც ჰიოვედესია. ტრავმირებულია და ვერ ითამაშებს **ჰალილ ალთინთოფიც**, სამაგიეროდ მწყობრში ჩადგა ასამოა.

"რუსენბორგმა" პირველ ტურში გმირობა ჩაიდინა და ნორვეგიული კლუბი "შალკესთანაც" თავისას შეეცდება. **კნუტ ტიორუმის** ბიჭები ქვეყნის ჩემპიონები ველარ ხდებიან, რაც იმას ნიშნავს, რომ გუნდს აქცენტი ჩემპიონთა ლიგაზე აქვს გადატანილი.

სავარაუდო შემადგენლობები:

**რუსენბორგი:** ჰირშფელდი, შტრანდი, ბასმა, კოპინენი, დორსინი, ტეტეი, რიზეტი, საპარა, ივერსენი, ი. კონე, ტრაორე.

**შალკე:** ნოიერი, რაფინია, ვესტერმანი, ბორდონი, ჰიოვედესი, ფ. ერნსტი, ჯონსი, ბაირამოვიჩი, რაკიტიჩი, ასამოა, კურანი.

**მსაჯი:** გრჟეგორ გილევსკი (პოლონეთი).



კიკე სანჩეს ფლორესი



ავრაამ გრანტი

### C ჯგუფი

#### ლაციო-რეალი

რომის "ოლიმპიკოზე" "ლაციო" "რეალს" მასპინძლობს. რომაულ კლუბს სერია A-ში პრობლემები აქვს - ლაციალემ ვერა და ვერ ააწყო თამაში და ფრეები დასჩემდა (სულ 4). "სამეფო გუნდი" კი პრიმერადივიზიონის ლიდერია და თამაშს თამაშზე იგებს, მაგრამ ბოლო შეხვედრაში "რეალს" მოგება გაუჭირდა. **ბერნდ შუსტერის** ყოფილმა კლუბმა "ხეტაფემ" მადრიდულ გრანდს ბევრი პრობლემა შეუქმნა და "რეალმაც" ის თამაში მხოლოდ 1:0 მოიგო. რომაელები იმედოვნებენ, რომ ესპანურ გიგანტს იტალიის დედაქალაქშიც გაუჭირდება. ჯგუფის ფავორიტთან თამაშს ლაციალეს თავკაცი **დელიო როსი** ოპტიმისტური განწყობით ხვდება: *"რეალთან" თამაში ჩვენთვის უდიდესი პატივია. რასაკვირველია, ამ შეხვედრისთვის განსაკუთრებული მოტივაციით ვემზადებით,"* - განაცხადა მან წინასამატჩო პრესკონფერენციაზე.

შუსტერს **რუუდ ვან ნისტელროი** გამოუჯანმრთელდა და ჰოლანდიელი "ლაციოსთან" თამაშს მოახერხებს. სამაგიეროდ, კითხვის ნიშნის ქვეშაა **ფაბიო კანავაროსა** და **რობინიოს** ასპარეზობა. ეს მოთამაშეები "ხეტაფესთან" დაშავდნენ და გუშინ საღამომდე უცნობი იყო, მოახერხებდნენ თუ არა დღეს საღამომდე მწყობრში ჩადგომას.

სავარაუდო შემადგენლობები:

**ლაციო:** მუსლერა, ბეჰრამი, კრიბარი, სტენდარდო, კოლაროვი, მანფრედინი, ბარონიო, მუდინგაი, მუტარელი, მაკინვა, როკი.

**რეალი:** კასილიასი, მიგელ ტორესი, სერხიო რამოსი, კანავარო, მარსელო, რობინიო, გახო, სნეიდერი, რობენი, ვან ნისტელროი, რაული.

**მსაჯი:** ფრანკ დე ბლეეკერი (ბელგია).

#### ვერდერი-ოლიმპიაკოსი

"ვერდერმა" პირველ ტურში "რეალთან" წააგო (1:2), რაც იმას ნიშნავს, რომ **თომას შააფის** გუნდს "ოლიმპიაკოსთან" მხოლოდ მოგება აძლევს ხელს. სტატისტიკა ბრემენული კლუბისკენაა: ბერძნულ გრანდს ჩემპიონთა ლიგაში ჩატარებული ბოლო 31 გასვლითი მატჩიდან 24 წაგებული აქვს და მხოლოდ 7-ში მიაღწია ფრეს (არცერთი მოგება). გაირკვა, რომ ვერ ითამაშებს **ტიმ ვიზე**, რომელიც "არმინიასთან" დაშავდა. მას დღეს სათადარიგო მეკარე **კრისტიან ფანდერი** შეცვლის. უდიდესი კითხვის ნიშნის ქვეშაა ფორვარდ **ბოუბაკარ სანოგოს** თამაშიც. ამ უკანასკნელმაც "არმინიასთან" მიიღო ტრავმა. მისი შეცვლა **მარკუს როზენბერგს** ძალუძს. ხანგრძლივი იძულებითი პაუზის შემდეგ, ვარჯიში განაახლა **ტორსტენ ფრინგსმა** და გამორიცხული არაა, რომ დღეს იასპარეზოს. *"სრული დატვირთვით ვვარჯიშობ, რაც იმას ნიშნავს, რომ 90 წუთის განმავლობაში თამაში შემიძლია. თუმცა მწვრთნელმა უკეთ იცის, ღირს თუ არა გარისკვა. მიმაჩნია, რომ ეს რისკი არ იქნება, მაგრამ შესაძლოა, შააფი სხვაგვარად ფიქრობდეს,"* - განუცხადა ფრინგსმა "კიკერს". მასთან ერთად, შესაძლოა, "ვერდერს" დღეს ლაზარეთიდან **ტიმ ბოროვსკიც** დაუბრუნდეს. სამაგიეროდ, ტრავმა აქვს **პეტერ ნიმაიერს**.

სავარაუდო შემადგენლობები:

**ვერდერი:** ფანდერი, პასანენი, მერტეზაკერი, ნალდო, ტოშიჩი, დ. იენსენი, კ. ფრიტცი, ვრანიეში (ან ფრინგსი), დიეგო, სანოგო (ან როზენბერგი), უგო ალმეიდა.

**ოლიმპიაკოსი:** ნიკოპოლიდისი, ტოროსიდისი, ანცასი, მი. ჟევლაკოვი, დომი, პაცაცოგლუ, კრისტიან რაულ ლედესმა, სტოლტიდისი, გალეტი, პ. ჯორჯევიჩი, ლუა ლუა.

**მსაჯი:** კლაუს ბო ლარსენი (დანია).

### D ჯგუფი

#### სელტიკი-მილანი

დონეცკში განცდილი მარცხის შემდეგ, გლაზგოს "სელტიკი" წნეხის ქვეშაა, მაგრამ შოტლანდიურ გიგანტს მეორე ტურში ურთულესი მეტოქე ჰყავს - ჩემპიონთა ლიგის მოქმედი გამარჯვებული "მილანი". "როსონერის" სერია A-ში სერიოზული პრობლემები აქვს - **კარლო ანჩელოტის** სამწყსომ 6 თამაშში მხოლოდ 7 ქულას მოუყარა თავი, რაც "მილანისთვის", რბილად რომ ვთქვათ, ძალიან ცუდი შედეგია. შესაბამისად, **კაკა** და კომპანია თავიანთ გულშემატკივრებს მხოლოდ "სელტიკის" დამარცხებით თუ გამოუკეთებენ ხასიათს. გლაზგოური კლუბი, რომელიც შოტლანდიის ჩემპიონატის სატურნირო ცხრილს "რეინჯერსთან" ერთად ლიდერობს, ევროტურნირებზე გასვლით მატჩებში სუსტად გამოიყურება ხოლმე. შესაბამისად, თუ "სელტიკს" ჯგუფიდან გასვლა უნდა, სამივე საშინაო თამაში უნდა მოიგოს.

**კახა კალაძის** ტრავმაზე ჩვენი გაზეთი გუშინდელ ნომერშიც გაუწყებდათ, მაგრამ კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრების კაპიტანი ტრავმირებულია. მას დაცვის ცენტრში **დანიელე ბონერა** შეცვლის. ტრავმა ჯერ არ მოუშუშებია **მარეკ იანკულოვსკისაც**, რომელსაც დაცვის მარცხენა ფლანგზე ისევ ვეტერანი **ჯუზეპე ფავალი** შეცვლის. სამაგიეროდ, "მილანს" გლაზგოში **დიდა** გაჰყვა. ბრაზილიელმა მეკარემ ტრავმა თითქმის მოუშუშა და დიდი შანსია, რომ დღეს იასპარეზოს. რამდენიმე დღის წინათ ანჩელოტიმ თქვა, დიდას, ალბათ, კიდევ ერთი კვირა დასჭირდებაო, მაგრამ რაკი განაცხადშია, ე.ი. თამაშიც შეუძლია და უნდა ვივარაუდოთ, რომ "სელტიკთან" "როსონერის" კარს არა **კალაჩი**, არამედ სწორედ ბრაზილიელი კიპერი დაიცავს.

სავარაუდო შემადგენლობები:

**სელტიკი:** ბორუცი, კოლდუელი, მაკმანუსი, დუმბე, ნეილორი, მაკგიდი, დონატი, ჰარტლი, ს. ბრაუნი, მაკდონალდი, ჟურავსკი.

**მილანი:** დიდა, კაფუ, ნესტა, ბონერა, ფავალი, გატუზო, პირლო, ამბროზინი, ზეედორფი, კაკა, ფ. ინძაგი.

**მსაჯი:** მარკუს მერკი (გერმანია).

#### ბენფიკა-შახტარი

ლისაბონის "ესტადიო და ლუშზე", პირველ ტურში მილანში დამარცხებული "ბენფიკა" დონეცკის "შახტარს" მიიღებს, გუნდს, რომელმაც ორი კვირის წინათ "სელტიკი" დაამარცხა. პორტუგალიელთათვის ამ მატჩის მოგება აუცილებლობას წარმოადგენს, რადგან "ბენფიკა" მხოლოდ ასე თუ გაიზრდის პლეიოფში გასვლის შანსებს.

სავარაუდო შემადგენლობები:

**ბენფიკა:** კუიმი, ლეო, ლუიზაო, ნელსონი, ედკარლოსი, პერეირა, კაცურანისი, დი მარია, რუი კოშტა, კ. როდრიგესი, ნუნუ გომეში.

**შახტარი:** პიატოვი, კუჩერი, რატი, დულიაი, ჩიგრინსკი, ლევანდოვსკი, ფერნანდინიო, სრნა, ვილიანი, ბრანდაო, ლუის ადრიანო.

**მსაჯი:** ვოლფგანგ შტარკი (გერმანია).

ეროვნული ბიბლიოთეკა



იუვენტუსის დილემა

# დელ პიეროსთან ერთად თუ დელ პიეროს გარეშე?

## იუვეს სპორტული დირექტორი: შეიძლება, ალექსი დავკარგოთ...

"შეთანხმება ახლოვდება", "ჩვენ აუცილებლად გამოვნახავთ კომპრომისს" - ბოლო ხანებში ეს სიტყვები პერიოდულად გვესმოდა "იუვენტუსის" ამა თუ იმ ხელმძღვანელისგან. **ალესანდრო დელ პიეროსთან** ახალ კონტრაქტზე შეთანხმების პირველი მცდელობა აგვისტოში იყო და მაშინ ეს ვერ მოხერხდა, მაგრამ ვერ მოხერხდა იმ იმედით, რომ მხარეები მოგვიანებით კიდევ დაუბრუნდებოდნენ ამ საკითხს და სადღაც იანვრისთვის მოლაპარაკება წარმატებით დასრულდებოდა. თუმცა "იუვენტუსის" სპორტული დირექტორის **ალესიო სეკოს** გუშინდელი სატელევიზიო კომენტარი სიტუაციას თავდაყირა აყენებს:

*"მოლაპარაკებები ძალიან რთულად მიმდინარეობს. კლუბი ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რათა კომპრომისული ვარიანტი გამოინახოს. არ ღირს საუბარი იმაზე, თუ რას ნიშნავს დელ პიერო "იუვენტუსისთვის". მაგრამ ჩვენ ვრისკავთ, რომ შეიძლება, კაპიტანი დავკარგოთ".*

კაცმა რომ თქვას, სეკოს სიტყვებში ახალი არც არაფერია, იმის გათვალისწინებით, რაც ზემოთ ვთქვით. მოლაპარაკებათა პირველი რაუნდის ჩაშლა უკვე იყო ნიშანი იმისა, რომ მხარეები ამ ვითარებამდე მივიდოდნენ. ალექსიცა და კლუბიც თანახმანი არიან, ხელშეკრულება 2010 წლამდე გაგრძელდეს, მაგრამ პრობლემის თავი და თავი ფინანსებშია. "იუვენტუსის" უფროსობას სურს, დელ პიეროს ხელფასი 30 პროცენტით შეუმციროს, კაპიტანი კი წლიურად 4.5 მილიონ ევროს ითხოვს. არგუმენტები ორივე მხარეს აქვს. კლუბი თვლის, რომ ჯერ ერთი - დელ პიერო უკვე იმ ასაკშია, როცა მისთვის ამხელა ანაზღაურების დანიშვნა გაუმართლებელია, და მეორეც - სერია B-ში ერთწლიანი მივლინებით "ბებერი ქალბატონის" ჯიბე გვარიანად შეთხელდა. ფეხბურთელის სასარგებლოდ მეტყველებს მისი დამსახურებები და, რაც მთავარია, უდიდესი პოპულარობა გულშემატკივართა შორის. "იუვენტუსის" მესვეურებმა უნდა იცოდნენ, რომ დელ პიეროს ამ ფორმით დაკარგვას ფანები მათ არ აპატიებენ. ისიც უნდა ითქვას, რომ თავად ახალმა ხელმძღვანელობამ ქომაგებში ჯერაც ვერ მოიპოვა ის პოპულარობა, რაც მათ წინამორბედებს ჰქონდათ.

**ლუჩანო მოჯის** ეპოქისადმი ნოსტალგია კვლავ არსებობს და დღევანდელი უფროსებისთვის ეს სახუმარო ამბავი სულაც არ გახლავთ. ცხადია, მოჯის დროს დელ პიეროსთან დაკავშირებით ამგვარი პრობლემა არ გაჩნდებოდა. დღეს კი ფაქტია, რომ პრეზიდენტ **ჯოვანი კობოლი ჯილის** მმართველობა ხშირად აწყდება მსგავს პრობლემებს და სიტუაცია ხშირად კონფლიქტამდეც მიჰყავს. გავიხსენოთ, რომ თითქმის მთელი გასული სეზონის განმავლობაში **ჯანლუიჯი ბუფონი** თავის მომავალზე პრესაში მსჯელობდა და არა დირექტორებთან შეხვედრებზე. მერე იყო ხმაურიანი დემარშები **მაურო კამორანეზისა** და **დავიდ ტრეზეგეს** მხრიდან. ეს უკანასკნელი, ფაქტობრივად, წასულიც იყო გუნდიდან და მხოლოდ ჩემპიონატის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე მოახერხა ხელმძღვანელობასთან საერთო ენის გამონახვა. ანალოგიური რამ ხდებოდა **პაველ ნედვედის** თავსაც. ანუ, ის ფაქტი, რომ დიდი ფიგურები "იუვენტუსში" დარჩნენ, ბევრწილად ეს მათი კეთილი ნება იყო და არა "იუვეს" თავკაცთა დამსახურება.

მიმომხილველები თვლიან, რომ სახეზეა სისტემური პრობლემა, რასაც "დელ პიეროს საქმე" კიდევ უფრო ალრმავებს. გულშემატკივრები იხსენებენ 1999 წელს, როცა წინა ხელმძღვანელობამ დელ პიეროს იმ სიტუაციაში გაუგრძელა კონტრაქტი, როცა ფეხბურთელს ტრავმის გამო, მთელი 8 თვე არ უთამაშია. მოჯიმ მაშინ სხვაგვარად გათვალა. მან ახალ კონტრაქტში ჩადო კომერციული დაინტერესება, რასაც აზიის ბაზარზე დელ პიეროს პოპულარობა განაპირობებდა. მოჯიმ შექმნა ახალი ბრენდი, რომელმაც წარმატებით იმუშავა...

არ არის გამორიცხული, რომ "იუვენტუსის" დღევანდელ მესვეურთა სიჯიუტე დელ პიეროს შემცვლელს უკავშირდებოდეს. პრესაში დაიწერა, რომ გამოჩნდა ახალი ვარსკვლავი, რომელმაც, შეიძლება, ლეგენდარული კაპიტნის რეალური ალტერნატივა გახდეს. საუბარია **სებასტიან ჯოვინკოზე**, რომელიც "იუვეს" საკუთრებაა, ხოლო არენდის წესით ახლა "ემპოლიში" თამაშობს. კვირას, მან სერია A-ში თავისი პირველი გოლიც გაიტანა "პალერმოს" კარში. მოდით, ვთქვათ, რომ ჯოვინკოს, ან ზოგადად, დელ პიეროს ალტერნატივაზე მუშაობა, კლუბის მხრიდან პერსპექტივაზე გათვლილი ნაბიჯია. ანუ,



დელ პიეროს ტურინული მომავალი კითხვის ნიშნის ქვეშაა

თავისი სიმართლე "იუვენტუსსაც" აქვს, ოლონდ იმ შემთხვევაში, თუ საკითხს პროფესიული კუთხით მივუდგებით.

სიტყვამ მოიტანა და, ამ დღეებში ჯოვინკოზე აზრი Raiuno-ზე ექსპერტად მომუშავე **ფაბიო კაპელოსაც** ჰკითხეს. აი, რა თქვა დიდმა მაესტრომ გადაცემა La Domenica Sportiva-ში: *"ჯოვინკო მრავალმხრივი მოთამაშეა. ამ ახალგაზრდას ბრწყინვალე ტექნიკა და დრიბლინგი აქვს. გამიგია, რომ ბევრი მას ლიონელ მესისაც ადარებს. მე მგონი, არ ღირს მსგავსი შედარების გაკეთება, უბრალოდ, ეს არაკორექტულია. მესი ფიზიკურად უფრო ძლიერი და ამტანია, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით".*

დავუბრუნდეთ დელ პიეროს. "გაძეტა დელო სპორტის" ვებგვერდმა ალექსის მომავალთან დაკავშირებით გამოკითხვა მოაწყო. მხოლოდ ქომაგთა 13 პროცენტი თვლის, რომ "იუვენტუსმა" დელ პიეროს კონტრაქტი არ უნდა გაუგრძელოს, იმ მოტივით, რომ ფეხბურთელმა თავისი შესაძლებლობები უკვე ამოწურა. გამოკითხულთა ნახევარზე მეტმა კი, პირიქით, აუცილებლობად მიიჩნია ხელშეკრულების გახანგრძლივება, და მეტიც - კარიერის დასრულების შემდეგ, დელ პიეროს დანიშვნა ერთ-ერთ ხელმძღვანელ თანამდებობაზე. აქ, გვახსენდება დღევანდელი პრეზიდენტის კობოლი ჯილის სამი-ოთხი თვის წინანდელი განცხადება - ჩემს მემკვიდრედ მხოლოდ ალექსი წარმომიდგენიაო. ესე იგი, კლუბი არ აპირებს, ფეხბურთელს საბოლოოდ ჰკრას ხელი, რაკი მას "იუვენტუსის" დიდი ოჯახის განუყრელ წევრად თვლის...

ალექსის მომავალზე გუშინ კიდევ ერთი ინფორმაცია გავრცელდა. დონეცკის "შახტარმა" ბოლო ერთ კვირაში მეორედ შეახსენა თავი დელ პიეროს და უკრაინაში გადაბარგების სანაცვლოდ, ჯამაგირის სახით წლიურად 5 მილიონი ევრო ალუთქვა. ანუ მთელი ნახევარი მილიონით მეტი იმაზე, რასაც ალექსი "იუვენტუსისგან" ითხოვს.

კრიზისის კვალდაკვალ

# გალიანი: მილანი ფენიქსივით აღდგება

## კონფლიქტი? კატანიასთან მატჩის შემდეგ მილანის გასახდელიდან ხმაურიანი კამათი ისმოდა. ანჩელოტი რონალდოს მალე დაიბრუნებსო...

იტალიურ პრესაში მთავარ თემად "მილანის" კრიზისი რჩება. გუნდმა ვერ მოიგო ზედიზედ 5 მატჩი და აქედან, 3 საკუთარ მოედანზე. ექსპერტ-მიმომხილველებს ძნელად წარმოუდგენიათ, რომ "როსონერი" ამ სეზონში სკუდეტოსთვის იბრძოლებს. რა თქმა უნდა, კრიზისი დაიძლევა და "მილანიც" ძველებურად ათამაშდება, მაგრამ ამასობაში ძვირფასი ქულები დაიკარგა. **კარლო ანჩელოტი** ჩავარდნას ერთობ ორიგინალურად ხსნის - ჩვენი კონკურენტები მეტისმეტად ჩაკეტილ, ღრმა დაცვით ფეხბურთს თამაშობენ და გოლების გატანა ამიტომაც გვიჭირსო, "მეორე სართულზე" ეფექტურად მოთამაშე ფორვარდები გვაკლიაო და ასე შემდეგ. მაგრამ ეს მინიმუმ მწვრთნელისა და სატრანსფერო პოლიტიკის ბრალია. და ესეც ვიკითხოთ: განა იტალიაში ოდესმე სხვანაირ ფეხბურთს თამაშობდნენ?

...დღეს "მილანი" ჩემპიონთა ლიგაში "სელტიკთან" გასვლით მატჩს ატარებს. კლუბის ვიცე-პრეზიდენტი **ადრიანო გალიანი** ქომაგებს ჰპირდება, რომ ამ თამაშში ისინი ნამდვილ "მილანს" ნახავენ, რომ მცირე წარუმატებლობის შემდეგ გუნდი ფენიქსივით აღდგება და რომ ხმები კლუბში პანიკის თაობაზე ჭორია და მეტი არაფერი. აი, რა უთხრა მან კიდევ "გაძეტა დელო სპორტს":

*"მინდა, ერთი რამ შევახსენო იმ ხალხს, ვისაც მოკლე მეხსიერება აქვს. 2004, 2005 და 2006 წლებში ჩვენ ჩემპიონთა ლიგაში ბოლომდე ვიბრძოდით. იმასაც შეგახსენებთ, რომ სულ რაღაც ერთი თვის წინათ "მილანმა" ევროპის სუპერთასიც მოიგო. ამიტომაც ვერ ვხვდები, რატომაა ხალხი ჩვენზე ასე გაბრაზებული. არ არის მართალი, თითქოს სკუდეტოზე შეგნებულად ვთქვით უარი. ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ჩვენ სამჯერ ვიყავით ახლოს ჩემპიონობასთან. ისევე, როგორც ჩემპიონთა ლიგაში, წარმატებით გამოსვლა შეგვიძლია სერია A-შიც. სულ მცირე, ოთხეულში მაინც უნდა მოვხვდეთ. რაც შეეხება "სელტიკს", ეს არის ფიზიკურად ძლიერი გუნდი, რომელსაც ჰყავს დიდებული ფანები და აქვს ლამაზი სტადიონი. ჩვენ ვითამაშებთ ჭეშმარიტად საფეხბურთო გარემოში, დაველოდოთ და ვნახოთ, რა მოხდება. მაგრამ ახლა შემიძლია ვთქვა, რომ "მილანი" ფენიქსივით აღდგება, თანაც ძალიან მალე".*

ამავე დროს, გალიანიმ უარჰყო პრესაში გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს "კატანიასთან" მატჩის შემდეგ ანჩელოტის, **კლარენს ზეედორფსა** და **კაკას** შორის სერიოზული კონფლიქტი მოხდა. თუმცა კომენტარიდან ვიგებთ, რომ არც მთლად უამისობა ყოფილა: *"ვიცი, რაც მედიაში დაიწერა და ითქვა. აქ არანაირ კონფლიქტზე არ შეიძლება იყოს საუბარი, უბრალოდ, "კატანიასთან" მატჩის შემდეგ, გასახდელში იყო გარკვეული აზრთა გაცვლა-გამოცვლა, თუნდაც ხმაურიანი, მაგრამ ეს არის დიდი პრობლემა. მსგავსი რამ ყველა გუნდში ხდება".*

დაბოლოს, **რონალდოს** თაობაზეც. გალიანის განმარტებით, "ფენომენი" უკვე გამოჯანმრთელდა, თავს კარგად გრძნობს, ვარჯიშობს და მალე მოედანსაც დაუბრუნდება.



ადრიანო გალიანი



რობი კინმა თრილერში ერთი გოლით გამოიჩინა თავი

**ტოტენჰემი-ასტონ ვილა 4:4**

ორშაბათს პრემიერლიგის მერვე ტურის ბოლო შეხვედრა გაიმართა. "ტოტენჰემმა" 125 წლისთავის აღსანიშნავად საგანგებოდ შეკერილი მაისურები ჩაიცვა, მაგრამ ფანებს წვეულება კინალამ ჯოჯოხეთად ექცათ. მატჩის 59-ე წუთზე ტაბლოზე 1:4 ენთო. "ასტონ ვილა" იუბილარ მასპინძლებს ამასხარავებდა. 59-ე წუთის შემდეგ ბირმინგემელებმა უკანა პლანზე გადაინაცვლეს. "ტოტენჰემმა" ნამდვილი თრილერი მოაწყო, თუმცა მოდით, ყველაფერს თანმიმდევრულად მივყვეთ.

ინგლისი. პრემიერლიგა

# თრილერი დაბადების დღეს

**დიმიტარ ბერბატოვმა** "მამლები" მე-20 წუთზე დააწინაურა. მასპინძლების უპირატესობამ მხოლოდ ორ წუთს გასტანა. **პოლ რობინსონმა** მიუტევებელი შეცდომა დაუშვა და **მარტინ ლაურსენს** ანგარიში გაათანაბრებინა. 11 წუთში რობინსონი ისევ შეცდა, ამით ისევ ლაურსენმა ისარგებლა და თავისიანები წინ გაიყვანა. შესვენებამდე **გაბრიელ აგბონლაორმა** მესამედ აიღო ლონდონელების კარი, ხოლო როცა მეორე ტაიმის დასაწყისში **კრეიგ გარდნერმა** მეოთხე გოლი გაიტანა, ყველაზე ოპტიმისტი გულშემატკივარიც კი ვერ იფიქრებდა, რომ "მამლებს" კიდევ რამის გაკეთება შეეძლოთ. სინამდვილეში, "ტოტენჰემმა" თამაში სწორედ მაშინ დაიწყო. **პასკალ შიმბონდამ** და **რობი კინმა** (პენალტით) სხვაობა მინიმუმამდე დაიყვანეს. მსაჯისგან დამატებულ მეოთხე წუთზე **იუნეს კაბულმა** მეოთხე გოლი გაიტანა და სტადიონი სიხარულის მორევში გადაუშვა.

საინტერესოა, რა უხაროდათ ტოტენჰემელებს? არა გვგონია, თამაშის წინ "ვილასთან" ფრე ვინმეს განსაკუთრებულ წარმატებად ჩაეთვალა. ამ ერთი ქულის მოპოვების შემდეგ ლონდონელები ბოლოდან მესამე საფეხურზე, სხვაგვარად რომ ვთქვათ, გასავარდნ ზონაში დარჩნენ და ჯერჯერობით, კრიზისის დაძლევის გზასაც ვერ პოულობენ. **მარტინ იოლი** ისევ დათხოვნის კანდიდატია და ფაქტობრივად, ჩემოდნებზე მჯდარი აგრძელებს გუნდის დამოძლვრას. ნამატჩევს ჰოლანდიელმა სპეციალისტმა თქვა, რომ მისი შეგირდები ძალიან ბევრ ინდივიდუალურ შეცდომას უშვებენ, რის გამოც გუნდი იაფფასიანი გოლებით ისჯება. იოლის აზრით, პრობლემაა ისიც, რომ "ტოტენჰემს" ლიდერიც არ ჰყავს. "მამლების" ხელმძღვანელობას, მორიგი განიავებული ქულების გამო, კომენტარი არ გაუკეთებიათ.

მოსალოდნელი დანიშვნა

# ძოლა ჩელსიში ბრუნდება?

**ჯანფრანკო ძოლა**, შეიძლება, "სტემფორდ ბრიჯზე" დაბრუნდეს. "დეილი ექსპრესის" ცნობით, **რომან აბრამოვიჩი** "ჩელსის" კრიზისიდან გამოყვანის გზებს ეძებს. მას მარჩელო ლიპის მიწვევა სურს. ძოლას კი ლიპის თანაშემწედ ამზადებს. **აბრაამ გრანტის** პოზიციები სუსტია. მან "ჩელსი" სამ თამაშში გაიყვანა და მხოლოდ ლიგის თასზე მოიგო. გრანტი არც ფეხბურთელებს ეხატებათ გულზე და არც გულშემატკივრებს. ბატონ აბრაამს დათხოვნა არ ასცდება, თუ დღეს ლონდონელები "ვალენსიასთან" წააგებენ, ხოლო მომავალ უქმეებზე "ბოლტონთანაც" ვერაფერს გახდებიან. ძოლას უეფას პროფესიული სამწვრთნელო ლიცენზია ჯერ არ აქვს. ის დამოუკიდებლად ვერ იმუშავებს. ლიპის ასისტენტობაში კი ეს ხელს ვერ შეუშლის - რა თქმა უნდა, თუ "არისტოკრატებმა" მსოფლიოს ჩემპიონ მწვრთნელზე შეაჩერეს არჩევანი.



ჯანფრანკო ძოლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბარსელონა

# მესის დაცვა გამოუყვეს

## კრუიფი რონალდინიოს კატალონიურ კარიერას ძირს უთხრის

**ლეო მესის** დაფასება აქამდეც არ აკლდა, მაგრამ ახალი სეზონის დაწყების შემდეგ არგენტინელი ფორვარდის თაყვანისმცემელთა რიცხვი ერთიორად გაიზარდა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ახლა ის პლანეტის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მოთამაშეა. "ბარსელონის" ხელმძღვანელობამ აღმოაჩინა, რომ მესის ავტოგრაფებისა და მასთან სამახსოვრო ფოტოს გადაღების მსურველთა რიცხვი მინიმუმ გაოთხმაგდა. ლეო სადაც არ უნდა გამოჩნდეს, მოსვენებას არსად აძლევენ და ასობით ავტოგრაფსა თუ ფოტოს სთხოვენ. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ხალხისთვის ამის გაკეთება სავალდებულო გახდა.

გასაკვირი არ არის, რომ "ბარსელონის" შეფებისთვის ეს გარემოება სერიოზული შეშფოთების მიზეზი შეიქნა. **ჟოან ლაპორტას** პირადი ინიციატივით დირექტორთა საბჭოზე მესისთვის პირადი დაცვის გამოყოფის საკითხი დადგა. აღსანიშნავია, რომ კატალონიური გრანდის ჩინოსნებმა აღნიშნულ საკითხზე მხოლოდ 5 წუთით იმსჯელეს. მათ ერთსულოვნად გადაწყვიტეს, რომ სამხრეთამერიკელს მშვიდი ცხოვრებისთვის კლუბის დახმარება სჭირდება. ამიერიდან, ლეო ქუჩაში დაცვის თანხლებით ივლის. აქამდე მსგავსი პრივილეგიით მხოლოდ **რონალდინიო, სამუელ ეტოო** და **ტიერი ანრი** სარგებლობდნენ. ლაპორტა გახარებულია, რომ ხელმძღვანელობის მიერ გადადგმულმა ნაბიჯმა პირველი შედეგი უკვე გამოიღო. შტუტგარტში გასაფრენად აეროპორტში მისულ მესის ასობით ადამიანი შემოეხვია. რომ არა საგანგებოდ დაქირავებული მცველების ოპერატიული და პროფესიული გარჯა, არგენტინელი თვითმფრინავამდე, ალბათ, ვერ მიაღწევდა. პირადმა მცველებმა გულშემატკივრები დელიკატურად თავიდან მოიშორეს და კლიენტს დერეფანი გაუხსნეს. როგორც ჩანს, ლეოსთვის ასეთი ცხოვრება ძალიან უჩვეულოა. მანამდე ის ცდილობდა უარი არავისთვის ეთქვა და ავტოგრაფების დარიგებას უდიდეს დროს ახმარდა ხოლმე. ამჯერად ინჩასები თითქმის სრულიად ხელმოცარულები დარჩნენ. "ბარსას" ფორვარდი მეტისმეტად უხერხულად გრძნობდა თავს. ქომაგებს ის ბოდიშს უხდიდა.

დაცვის სამსახურის დიდი მცდელობის მიუხედავად, კატალონიური გრანდის ვარსკვლავის ავტოგრაფები რამდენიმე ადამიანმა მაინც მოიპოვა. ლეომ **დიეგო მილიტოსთან** ერთად აეროპორტის ერთ-ერთ კაფეში საუზმის მირთმევა გადაწყვიტა. ამ შემთხვევაში მცველები უძლურნი აღმოჩნდნენ, რადგან ისინი თავად მესიმ გააჩერა. ოკეანისგაღმელმა კაფის თანამშრომლებსა და კლიენტებს ავტოგრაფებიც მისცა და მათთან ერთად სურათებიც უხვად გადაიღო. თურმე ამ ყველაფერს ჟოან ლაპორტა შეესწრო და ფეხბურთელს ხუმრობით უთხრა, დაცვისთვის ხელფასების გადასახდელად რა ტყუილად გვახარჯინებ ფულსო.

ესპანელი ჟურნალისტები დაინტერესდნენ, თუ ვინ შეიძლება გახდეს შემდეგი, რომელსაც ლაპორტა პირად მცველებს მიუჩენს. პოპულარული ბევრია, მაგრამ საზოგადოებაში განსაკუთრებული სიყვარულით მხოლოდ რამდენიმე მათგანი სარგებლობს. როგორც ირკვევა, რონალდინიოს, ეტოოს, ანრისა და მესის შემდეგ ინჩასები ყველაზე მეტად **ჯოვანი დოს სანტოსს** ელტვიან. მართალია, ის ჯერ მხოლოდ 18 წლისაა და "ბარსასთვის" განსაკუთრებული არაფერი გაუკეთებია, მაგრამ მექსიკელში ხალხი უდიდეს ნიჭსა და პერსპექტივას ხედავს. ამიტომ, გამორიცხული არ არის, დაცვა მასაც დასჭირდეს.

ამასობაში, **იოჰან კრუიფმა** რონალდინიოსთვის კიდევ ერთხელ მოიცალა. შეგახსენებთ, ერთი კვირის წინ ლეგენდარულმა ჰოლანდიელმა ბრაზილიელი ვარსკვლავი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა. მისი თქმით, გაუჩო წარსულზე ძალიან ბევრს ფიქრობს და მომავალზე ზრუნვას წინა წლებში მიღწეული წარმატებებით კეკლუცობას ამჯობინებს. ბრაზილიელმა სუპერვარსკვლავმა თავდასხმა უპასუხოდ არ დატოვა და "ელ მუნდო დეპორტივოსთვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, თავად კრუიფი ცხოვრობს წარსულით. ცნობილია, რომ მფრინავ ჰოლანდიელს მოჭარბებული ამპარტავნება მსგავსი შეურაცხყოფის მოთმენის საშუალებას არ აძლევს. ამიტომ, ბატონმა კრუიფმა კატალონიურ "ლა ბანგუარდიაში" მისთვის გამოყოფილი სვეტი ისევ და ისევ რონალდინიოს გასაკრიტიკებლად გამოიყენა:

*"სეზონი ძალიან ხანგრძლივია. როგორც წესი, ის ადრეულ შემოდგომაზე, ან სულაც ზაფხულის მიწურულს იწყება და მაისის ბოლოს სრულდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყველა შეხვედრას მხოლოდ 11 კაცი ვერ ჩაატარებს. არ არსებობს გუნდი, რომლის მწვრთნელსაც როტაციების განხორციელება არ უხდება. რონალდინიო მზად უნდა იყოს, რომ სეზონის მსვლელობისას ძირითად შემადგენლობაში სხვისთვის მოუწევს ადგილის დათმობა. ჩემთვის გაუგებარია, ის პანიკა და სკანდალი, რომელიც მან წამოიწყო. ბრაზილიელმა "ელ მუნდო დეპორტივოს" ინტერვიუში აბსტრაქტულ შეთქმულებებსა და მის წინააღმდეგ მიმდინარე მიზანმიმართულ ბრძოლაზე ისაუბრა. განა სასაცილო არ არის?! ჩემი აზრით, თუ რონალდინიო სასურველ ფიზიკურ კონდიციას მიაღწევს, აუცილებლად უნდა ათამაშონ. კარგად მომზადებული გაუჩო, რა თქმა უნდა, ერთ-ერთი საუკეთესოა მთელ მსოფლიოში, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ხშირად მას ვარჯიში ეზარება. რაიკაარდმა ამ დღეებში კარგი ფაქტი აღმოაჩინა. ის დარწმუნდა, რომ რონალდინიოსა და ეტოოს გარეშე დარჩენილ "ბარსელონას" ფანტასტიკური ფეხბურთის თამაში შეუძლია. ყოველ შემთხვევაში, წინა შეხვედრებში გუნდმა ყველა მოწინააღმდეგეს კუდით ქვა ასროლინა. დარწმუნებული გახლავართ, ამ ფაქტიდან რონალდინიო საჭირო დასკვნას გამოიტანდა. ახლა უკვე მშვენივრად ხვდება, რომ "ბარსელონა" მხოლოდ მასზე სულაც არ არის დამოკიდებული. ბიჭებს შეუძლიათ, ურთულესი შეხვედრები ბრაზილიელის გარეშეც მოიგონ, ამასთან დიდი ანგარიშითაც კი. მოკლედ, რონალდინიო უნდა შეეგუოს იმ აზრს, რომ ყოველთვის 11 კაცში ვერ მოხვდება".*

კრუიფისგან განსხვავებით გაუჩოს მიმართ **ფრანკ რაიკაარდი** და **ჩიკი ბეგირისტაინი** ლმობიერები და კეთილგანწყობილები აღმოჩნდნენ. თავდაპირველად თქვენს სამსჯავროზე მთავარი მწვრთნელის მოსაზრებას გამოვიტანთ:

*"რონალდინიოს გამოჯანმრთელებით ზოგი პრობლემების გამწვავებას ელის. ნება მიბოძეთ, ეს შეხედულება არ გავიზიარო. მისი დაბრუნება პრობლემა კი არა, უდიდესი ფუფუნებაა. განა ბევრი გინახავთ, ვისაც ისეთივე საფეხბურთო ნიჭი აქვს, როგორიც გაუჩოს? დარწმუნებული გახლავართ, ის ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ სკეპტიკოსებს ხმა ჩააკმენდინოს. ჩემს შეგირდს ყოველმხრივ დავეხმარები, რათა მან შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოამჟღავნოს. იმედია, სპეკულაციებს წერტილი დაესმება. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ სამხრეთამერიკელის საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს. ხელმძღვანელობა მას უსიტყვოდ ენდობა. დაზუსტებით ვიცი, რომ ჟოან ლაპორტა ტრანსფერს არ განიხილავს. მიხარია, რომ თავად ფეხბურთელიც "ბარსელონაში" დარჩენის სურვილს გამოთქვამს. ვფიქრობ, "ელ მუნდო დეპორტივოს" ინტერვიუ ყველამ წაიკითხა. გულშემატკივრები ძალიან ბედნიერები უნდა იყვნენ, რადგან რონალდინიომ გარკვევით განაცხადა, რომ მას არც "ჩელსი" აინტერესებს და არც "მილანის" წინადადება ხიბლავს. ამ დიდებულ ადამიანს მხოლოდ და მხოლოდ "ბარსელონაში" დარჩენა და რაც მთავარია, ტიტულების მოპოვება სურს".*

შტუტგარტში გამგზავრებამდე ჩიკი ბეგირისტაინმა საგანგებო პრესკონფერენცია გამართა. გენერალურმა დირექტორმა მთელი დრო რონალდინიოზე საუბარს მოანდომა:



მესი და რონალდინიო

*"როცა გაუჩო კარგ ფორმაშია ყოველთვის ფანტასტიკურად თამაშობს. ამის არდანახვა დიდი უსინდისობაა. სამწუხაროდ, ბრაზილიელის მიმართ საზოგადოება უსამართლოდ იქცეოდა. მოდით, ვიქნები 100 პროცენტით გულწრფელი და ვიტყვი, რომ რონალდინიოს ყველამ ერთად ძალიან ვატკინეთ გული. თითქოს მას პირზე დუჟმორეულები ვესაუბრებოდით სახეში ნერწყვს ვაფრქვევდით. ბუნებრივია, ამ დონის ფეხბურთელი ასეთ მოპყრობას არ იმსახურებდა. აშკარად შევცდით. ყველაზე ნაკლები შეცდომა მაინც "ბარსელონის" დირექტორატმა დაუშვა. სხვა საკითხია, როგორ მუშაობდა მადრიდული პრესა. იქაური ჟურნალისტები ყველაფერს აკეთებდნენ იმისთვის, რომ "ბარსაში" ფართო მასშტაბის მქონე ხანძარი დაენთოთ. საუბედუროდ, ჩვენ ყველაფერი არ გავაკეთეთ, რათა ასე არ მომხდარიყო. შეგიძლიათ, წინა დღეების გაზეთები გადაშალოთ და აღმოაჩენთ, რომ სრულიად უსაფუძვლო და ცილისმწამებლური სტატიები იბეჭდებოდა. რას არ ამბობდნენ, ბეგირისტაინი "ჩელსისთან" მოლაპარაკებებს შეუდგაო. მსგავსი რამ აზრადაც არ მომსვლია. მიუხედავად ამისა, მადრიდელ ჟურნალისტებს არც კი უფიქრიათ, ინფორმაცია ჩვენი კლუბის პრესსამსახურში გადაემოწმებინათ. აქვე ვიტყვი, რომ რონალდინიოსადმი უდიდესი პატივისცემის მიუხედავად, მწვრთნელის კომპეტენციაში არ ჩავერევი. ყველაფერი ისე იქნება, როგორც რაიკაარდი გადაწყვეტს. სენიორ ფრანკი ძირითად შემადგენლობას, რა თქმა უნდა, მხოლოდ საუკეთესოდ მომზადებული მოთამაშეებით დააკომპლექტებს. ჩემი აზრით, მთავარი ის კი არ არის, თუ ვინ ითამაშებს, არამედ ის, როგორ იასპარეზებს გუნდი. ამავდროულად, მიმაჩნია, რომ "ბარსელონა" მხოლოდ მაშინ გამოავლენს შესაძლებლობების მაქსიმუმს, თუ მისი ვარსკვლავები მწყობრში იქნებიან. ახლა მთავარია, მშვიდად მუშაობის შესაძლებლობა მოგვეცეს. აჟიოტაჟი და ჭორების ტალღა, რა თქმა უნდა, სიკეთეს ვერ მოგვიტანს. აბსოლუტურად ყველას ვთხოვ, გამოგონილ ისტორიებს საზოგადოებას ნუ მიანვდიან. "ბარსელონა" არასოდეს ყოფილა ჩაკეტილი. დაინტერესებულ პირებს ნებისმიერ დროს შეეძლებათ, პრესსამსახურს მიმართონ და მათთვის საჭირო ინფორმაცია მოიპოვო. "ბარსა" ტრანსპარენტული გუნდია".*



სამირ ნასრი რაფა ბენიტესის ერთ-ერთი ფავორიტია

ლივერპული. ტრანსფერები

# ჯერარდი ტრაგედიას გადაურჩა

## ორი თინეიჯერი და სამირ ნასრი ბენიტესის სამიზნეში

**სტივ ჯერარდმა** 10 წლის ბიჭუნას მანქანა დააჯახა. "ლივერპულისა" და ინგლისის ნაკრების ნახევარმცველი ისევ შოკშია. უსიამოვნო ინციდენტი ლივერპულის გარეუბან ბერკდეილში, ფეხბურთელის სახლთან ახლოს მოხდა. ჯერარდის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სტივს მანქანა დაბალი სიჩქარით მიჰყავდა. მოულოდნელად გზაზე ბიჭმა გადაირბინა. ჯერარდმა დამუხრუჭება მოასწრო, მაგრამ შეჯახება თავიდან ვერ აიცილა. საბედნიეროდ, ბავშვმა მხოლოდ ფეხი იტკინა. ის სასწრაფოდ საავადმყოფოში გადაიყვანეს. სტივი საათში ერთხელ რეკავს ბავშვის მშობლებთან და მის ამბებს გებულობს. ჩემპიონთა ლიგის მატჩის შემდეგ "ლივერპულის" კაპიტანი საჩუქრებს იყიდის და ბიჭუნას საავადმყოფოში ეწვევა. ბავშვის მკურნალობის ხარჯებსაც მთლიანად ის აანაზღაურებს.

ამ სამწუხარო ისტორიის შემდეგ "ლივერპულის" ჩვეული საფეხბურთო ამბები მიმოვიხილოთ. მერსისაიდელებმა მადრიდის "რეალის" სარეზერვო გუნდიდან ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი ფეხბურთელი წაიყვანეს. ამ ბიჭს **ხერარდო ბრუნო** ჰქვია. ის არგენტინელია და 16 წელი ორიოდე თვის წინ შეუსრულდა. ბრუნო **რაფა ბენიტესის** მთავარმა სკაუტმა **პაკო დე გრასიამ** აღმოაჩინა. სენიორ გრასია, ბენიტესის მსგავსად, ადრე სამეფო კლუბში მუშაობდა. ხერარდო ბრუნო "ლივერპულში" მომდევნო ოთხ სეზონს გაატარებს.

"ეშმაკებმა" კიდევ ორ თინეიჯერს დაადგეს თვალი. ერთი ჰემილტონის აკადემიის მოსწავლე **ჯეიმს მაკარტია**. ეს შოტლანდიელი ბიჭუნაც 16 წლისაა. ერთი წლის წინ მაკარტი "ლივერპულში" სინჯებზე მიიწვიეს და ძალიან მოეწონათ. ახლა კი პირველი პროფესიული კონტრაქტი გაუმზადეს. მეორე სავარაუდო ახალწვეულია "ბარნლის" 16 წლის თავდამსხმელი **ჯონ კოფი**. მისი შეძენა "მანჩესტერ იუნაიტედსაც" სურს. კოფის ოჯახის წევრები "ლივერპულის" ფანები არიან. ამიტომ ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, რომელ ვარიანტს მიანიჭებენ უპირატესობას. "ბარნლი" სანაცვლოდ 1.5 მილიონ გირვანქას ითხოვს.

და კიდევ, ფრანგული სააგენტოების ცნობით, ბენიტესმა საფრანგეთის ნაკრებისა და "მარსელის" ნახევარმცველ **სამირ ნასრისაც** დაადგა თვალი. 20 წლის ფეხბურთელს "ახალ ზიდანს" უწოდებენ. ნასრი "არსენალს", "რეალს" და "ინტერსაც" სურთ. ვარაუდობენ, რომ ის გაისად ზაფხულში გაიყიდება. ფეხბურთელი დაახლოებით 15 მილიონ გირვანქადაა შეფასებული. "ლივერპულს" "მარსელთან" კარგი ურთიერთობები აქვს. გასულ ზაფხულს მერსისაიდელებმა ფრანგებს **ჯიბრილ სისე** 9 მილიონ ევროდ დაუთმეს. "რეალისა" და "ინტერის" უპირატესობებზე საუბარი ზედმეტად მიგვაჩნია. "არსენალის" სასარგებლოდ კი ფრანგი მწვრთნელი და ტრანსფერებისათვის აღთქმული 100 მილიონი გირვანქა მეტყველებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსალოდნელი დანიშვნა

# ვიალი ქუინზ პარკში

## გადაწყვეტილება თითქმის მიღებულია, ბრიატორე და ეკლსტოუნი საფეხბურთო პროექტს იტალიელთან ერთად დაიწყებენ...



ხუთწლიანი განშორების შემდეგ ჯანლუკა ლონდონში ბრუნდება

**ჯანლუკა ვიალი** "ქუინზ პარკ რეინჯერსის" მთავარ მწვრთნელად ინიშნება. ამ ინფორმაციას "დეილი მეილი" ავრცელებს. ორშაბათს კლუბმა კარისაკენ მიუთითა **ჯონ გრეგორის**. გულშემატკივარს ეს სპეციალისტი "ასტონ ვილიდან" ემახსოვრება. ვიალის დანიშვნაზე საუბარი დაახლოებით ათი დღის წინ დაიწყო. ბოლოსწინა ტურში "უოტფორდთან" მატჩს (1:1) იტალიელი სპეციალისტიც დაესწრო, თუმცა ჟურნალისტებს მასთან გასაუბრების საშუალება არ მიეცათ. ოფიციალური ინფორმაციით, ვიალი მხოლოდ და მხოლოდ საპატიო სტუმარი იყო. ის ლონდონში "ქუინზ პარკის" ერთ-ერთი მომავალი ბოსის, **ფლავიო ბრიატორეს** მიწვევით იმყოფებოდა. "უოტფორდთან" თამაშის შემდეგ გავრცელდა ცნობა, რომ გრეგორის პოსტის შესანარჩუნებლად ერთი მატჩი ჰქონდა. გასულ უქმეებზე "ქუინზ პარკმა" "ვესტ ბრომვიჩთან" 1:5 წააგო. ამიტომ მოხდა ის, რაც არავის გაჰკვირვებია. "რეინჯერსის" დამრიგებლის პოსტი გათავისუფლდა და იქ ვიალის ელოდებიან.

ლონდონი ჯანლუკასთვის თითქმის მშობლიური ქალაქია. ის "ჩელსიში" 1996 წელს გადავიდა და 1999 წლამდე 58 თამაშში 21 გოლი შეაგდო. 1998 წელს ის "არისტოკრატების" მოთამაშე-მწვრთნელად დაინიშნა. 1999 წელს სრულფასოვანი სამწვრთნელო კონტრაქტი გააფორმა და გუნდში კიდევ ერთი სეზონი დაყო. საერთო ჯამში, მწვრთნელის რანგში გატარებული არასრული სამი სეზონის განმავლობაში მან ხუთი ტიტული მოიპოვა. 2001 წელს ის "უოტფორდში" დაინიშნა, საიდანაც 2002 წელს დაითხოვეს. მას შემდეგ ვიალის მწვრთნელად აღარ უმუშავია. უოტფორდელები მომდევნო წლებში თავსდატეხილ პრობლემებს ჯანლუკას უკავშირებდნენ. მან გუნდს ვერც შედეგი მოუტანა, ტრანსფერებშიც მილიონები დახარჯვინა და კონტრაქტის გაწყვეტის სანაცვლოდ იმხელა კომპენსაცია გამოსძალა, რომ საბრალო "უოტფორდმა" კინაღამ არსებობა შეწყვიტა.

და მაინც, ფლავიო ბრიატორესა და **ბერნი ეკლსტოუნს** ამბიციური საფეხბურთო პროექტის გასახორციელებლად სწორედ ვიალისთან თანამშრომლობა სურთ. ინგლისურმა საბუქმეიქერო კანტორებმა ამ მწვრთნელზე ფსონების მიღება შეწყვიტეს. საქმეში ჩახედული ადამიანები ამბობენ, რომ საკითხი გადაწყვეტილია და რომ ხუთწლიანი შესვენების შემდეგ ვიალი ინგლისურ ფეხბურთში ბრუნდება.

## თინეიჯერ მეკარეთა დუელი სიტიში

გასულ უქმეებზე "მანჩესტერ სიტიმ" "ნიუკასლს" 3:1 სძლია. მასპინძელთა კარის დაცვა ინგლისის ახალგაზრდული ნაკრების მეკარე **ჯო ჰარტს** ანდეს. **კასპერ შმაიხელის** სკამზე დასმა ბევრისათვის მოულოდნელი იყო. **სვენ გორან ერიქსონმა** არ დაიზარა და მიმომხილველებს საკუთარი გადაწყვეტილების მიზეზი გაანდო. მწვრთნელი არ უარყოფს, რომ შმაიხელი საიმედო მეკარეა. გოლკიპერის დამაჯერებელი თამაში რომ არა, "სიტი" წარმატებებს ვერ მიაღწევდა, მაგრამ კასპერს მამამისამდე ძალიან ბევრი უკლია. მაღალ ბურთები მის აქილევსის ქუსლად რჩება. ჯორდებს ძირითადში **მარკ ვიდუკა** ჰყავდათ. ავსტრალიელი თავდამსხმელი სწორედ მაღალი ბურთების ოსტატია. შეუძლებელია, **სემ ელერდაისს** არ სცოდნოდა, რომ შმაიხელს გამოსვლაზე თამაში უჭირს. ამიტომ ვიდუკა "სიტის" უთვალავ პრობლემას შეუქმნიდა. სვენმა ამიტომაც დადო ფსონი ჰარტზე და არ შემცდარა. პირველ წუთებში ჯო შესამჩნევად ნერვიულობდა, მაგრამ შემდეგ დამშვიდდა და საიმედოდ ათამაშდა. ჯო ჰარტი ერიქსონის წინამორბედმა **სტიუარტ პირსმა** "შრუსბერიდან" 800 ათას გირვანქად შეიძინა. შმაიხელი-უმცროსი ამბობს, რომ ძირითადში დაბრუნებას შეეცდება. ჯო ჰარტს კი თავის უმთავრეს კონკურენტს და ამავე დროს, უახლოეს მეგობარს უწოდებს.

## ყველაზე ცუდი და კარგი სტადიონები ევროპაში

ბრიტანულმა ორგანიზაციამ, რომელსაც "დრაივერს ჯონასი" ჰქვია, ევროპულ სტადიონებზე სეზონური აბონემენტების მფლობელები გამოკითხა. გამოკითხვის მიზანი იყო ბებერი კონტინენტის საუკეთესო და ყველაზე ცუდი საფეხბურთო არენის გამოვლენა. შედეგების შეჯამების შემდეგ ადგილები ასე განაწილდა. ატმოსფეროს თვალსაზრისით ევროპის საუკეთესო სტადიონი ლივერპულის "ენფილდ როუდია". მომდევნო ადგილებზე გლაზგოს "სელტიკ პარკი", პორტსმუთის "ფრეტონ პარკი", ბარსელონის "კამპ ნოუ" და ნიუკასლის "სენტ ჯეიმს პარკი" გავიდნენ. კომფორტის თვალსაზრისით (სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, საერთო ხედი) პირველობა არავის დაუთმო მანჩესტერის "ოლდ ტრეფორდმა". ლონდონის "ემირიტს სთედიუმმა" ყველას შეთავაზებული სამზარეულოთი აჯობა. გულშემატკივრებმა თქვეს, რომ ყველაზე უგემური საჭმელებით "ოლდ ტრეფორდზე" უმასპინძლდებიან. ცუდი საკვები ყოფილა გლაზგოს "აიბროქსზეც". უსაფრთხოების თვალსაზრისით კი ყველაზე სავალალო მდგომარეობა რომის "ოლიმპიკოს" და სტამბოლის "ალი სამი იენს" აქვთ.

## ვენგერი: ხუთი წლის შემდეგ კიდევ ხუთი წელი

"არსენალს" **არსენ ვენგერი** არა და არ ეთმობა. აღმასრულებელი დირექტორი **კიტ ედელმანი** ამბობს, რომ ფრანგ მწვრთნელს 2015 წელსაც "მეთოფეების" მთავარი მწვრთნელის რანგში ხედავენ: *"ჩვენი საკადრო პოლიტიკა მარტივია: ვენგერის შემდეგ მწვრთნელად ისევ ვენგერი გვესახება. მასთან 2011 წლამდე გავაფორმეთ კონტრაქტი. იქამდე ძალიან დიდი დროა, მაგრამ უკვე ვფიქრობთ, 2010 წელი რომ დადგება, არსენს მორიგი ხუთწლიანი ხელშეკრულება შევთავაზოთ. მგონი, შევძლებთ, რომ თანამშრომლობის გაგრძელებაზე დავიყოლიოთ."*

## კლოზეს სამი კვირა

**მიროსლავ კლოზე** დაშავდა. ამის გამო, გერმანიის ნაკრებისა და "ბაიერნის" ფორვარდს მნიშვნელოვანი თამაშები გაუცდება. ის ვერ დაეხმარება ბუნდესგუნდს ჩეხეთთან და ირლანდიასთან საოქტომბრო შესარჩევ შეხვედრებში. მიუნხენური კლუბის ვებგვერდზე გამოქვეყნდა **ოტმარ ჰიტცფელდის** მცირე კომენტარი, რომელშიც ნათქვამია, რომ სრულად გამოჯანმრთელებისთვის კლოზეს დაახლოებით სამი კვირა დასჭირდება. ეს სერიოზული დანაკლისია არამარტო ნაკრებისთვის, არამედ კლუბისთვისაც, რომლის შემადგენლობაშიც მას მიმდინარე ჩემპიონატში უკვე 8 გოლი აქვს გატანილი.

კრიზისი

# ლევანტეს იტალიელი ჩაიბარებსო

## კლუბის ერთ-ერთი ბოსი ცემას გადაურჩა...

ბოლო ტურში "ლევანტემ" "ბარსელონასთან" 1:4 წააგო. ანგარიში არავის გაჰკვირვებია. ვალენსიელები პრიმერა დივიზიონის უიმედო აუტსაიდერები არიან. ამიტომ მთავარი მწვრთნელი **აბელ რესინო** დათხოვნის უპირველესი კანდიდატია. ესპანური სააგენტოების ცნობით, დირექტორატმა მისი შემცვლელის ძებნა უკვე დაიწყო. განიხილება სამი იტალიელი სპეციალისტის კანდიდატურა. "ლევანტეს" **ჯანი დე ბიაზის**, **მარიო ბერეტას** ან **ალბერტო მალეზანის** მიწვევა სურს. დე ბიაზიმ დაადასტურა, რომ ესპანეთიდან დაურეკეს, თუმცა დეტალების გამხელისაგან თავი შეიკავა. ვრცელდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ "ლევანტეს" პრეზიდენტ **პედრო ვილიაროელს** კლუბის გაყიდვა სურს. ბოლო დღეებში მას რამდენიმე საქმიანი შეხვედრა ჰქონდა. ვილიაროელი 15 მილიონ გირვანქას ითხოვს. დაინტერესებული პირების ვინაობა და წარმომავლობა უცნობია.

და კიდევ ერთი ინფორმაცია შეჭირვებული ესპანური კლუბის ბანაკიდან: "ლევანტეს" ვიცე-პრეზიდენტი ცემას გადაურჩა. "ბარსელონასთან" ნამატჩევს **მიგელ ანხელ რუისს** სასოწარკვეთილ ინჩასებთან უსიამოვნება შეემთხვა. საფინალო სასტვენს ფანების სტვენა და კრიტიკული შეძახილების კასკადი მოჰყვა. ამით განრისხებულმა რუისმა უხამსი სიტყვებით შეიგინა. ხალხი გინებას როგორ მოითმენდა? ამიტომ სიტუაცია უკიდურესად დაიძაბა. ფანებმა ვიცე-პრეზიდენტისკენ გაიწიეს. სამართალდამცველების დროული ჩარევა რომ არა, ბატონი მიგელ ანხელი სტადიონიდან, სახლის ნაცვლად, საავადმყოფოში ამოყოფდა თავს.




რეალი

# შედეგი კარგია, თამაში არა

## შუსტერი ნახევარდაცვას აკრიტიკებს

მადრიდის "რეალი" მიმდინარე სეზონში იმ ფეხბურთს ვერ აჩვენებს, რისთვისაც ხელმძღვანელობამ **ფაბიო კაპელო** გაათავისუფლა და მის ნაცვლად **ბერნდ შუსტერი** დანიშნა. საზოგადოება შეთანხმებულია, რომ თამაშის ხარისხი მოლოდინს ვერ ამართლებს... თუმცა შედეგის თვალსაზრისით გერმანელ სპეციალისტს ვერავინ ვერაფერს დაუწუნებს. მადრიდულ გიგანტს პრიმერა დივიზიონში ასეთი წარმატებული სტარტი 1991-92 წლების სეზონის შემდეგ არ ჰქონია. ექვსი ტურის შემდეგ შუსტერის ბიჭების მონაგარი ხუთი გამარჯვება და ერთი ფრეა. ცნობისთვის მოგახსენებთ, რომ გასული სეზონის ამავე მონაკვეთში კაპელოს გუნდს უკვე შვიდი ქულა ჰქონდა დაკარგული. გარდა ამისა, "რეალი" ახლოსაა იმ მიზანთან, რომ 21-ე საუკუნეში ყველაზე ხანგრძლივი წაუგებელი სერია გამოაცხოს. დედაქალაქელები 13 აპრილის შემდეგ ერთხელაც არ დამარცხებულან. თუ ისინი მომავალ კვირას მორიგ პრიმერადივიზიონულ დაპირისპირებასაც არ დათმობენ, ზედიზედ მეთოთხმეტე წაუგებელ ორთაბრძოლას მოუყრიან თავს და 2002 წლის 19 ოქტომბრიდან 2003 წლის 16 თებერვლამდე ნაჩვენებ შედეგს გააუმჯობესებენ. მიუხედავად ასეთი შთამბეჭდავი მონაგარისა, სამეფო კლუბის გულშემატკივართა დიდი ნაწილი შუსტერის მუშაობით მაინც უკმაყოფილოა. ისინი აცხადებენ, გერმანელი სანახაობრივი ფეხბურთისთვის მოიწვიეს, მაგრამ ჯერ ლამაზ თამაშს ვერ ვხედავთო. მათ იმის აღნიშვნაც არ ავიწყდებათ, რომ შედეგს კაპელომაც მიაღწია. მოგეხსენებათ, იტალიელმა მწვრთნელმა პრობლემებით წელშიგატეხილი გუნდი ერთ სეზონში ესპანეთის ჩემპიონად აქცია.

დღესდღეობით, ლამის ერთადერთი რგოლი, რომელიც "რეალის" მწვრთნელს აკმაყოფილებს, დაცვაა. ბოლო ტურში მადრიდელებმა "ხეტაფე" მინიმალური ანგარიშით დაამარცხეს. სამეფო კლუბს შთამბეჭდავად ისევ არ უთამაშია. სამაგიეროდ, დაგეგმილი სამი ქულა მოიპოვა და ცხრილის სათავეში პოზიციები გაიმყარა. გერმანელი სპეციალისტი წაუგებელ სერიას უკანა ხაზის საიმედო მოქმედებებით ხსნის. ნახევარმცველების მუშაობა კი არ აკმაყოფილებს: *"მცველებმა უკლებლივ ყველა მატჩში მაღალ დონეზე ისპარეზეს. მათ თამაშს სენსაციურსაც კი დავარქმევდი. ისინი გუნდის მხსნელები არიან. რაც შეეხება ოთხ ფეხბურთელს, რომლებიც მცველების წინ დგანან, რამდენჯერმე აღვნიშნე, რომ მათი საქმისადმი დამოკიდებულება არ მომწონს. მეტოქე ყველაზე მეტ პრობლემას მოედნის ცენტრში გვიქმნის. არადა, მოწინააღმდეგე სწორედ ნახევარდაცვამ უნდა შეაჩეროს. კანავარო და სერხიო რამოსი რომ არა, არცკი ვიცი, სად ვიქნებოდით."* შუსტერი აღიარებს, რომ ჯერჯერობით მხოლოდ შედეგებია დამაკმაყოფილებელი, მაგრამ არა თამაში. მწვრთნელს იმედი აქვს, რომ თამაშის ხარისხიც თანდათან გაუმჯობესდება. იქამდე "რეალი" კვლავაც პრაგმატულად ისპარეზებს, მაქსიმალური რაოდენობით დააგროვებს ქულებს და პირველი ადგილის შენარჩუნებას ეცდება. ამ ეტაპზე ქულები ლამაზ თამაშზე ბევრად მნიშვნელოვანიაო, ამბობს შუსტერი.

საინტერესო კომენტარი გააკეთა სამეფო კლუბის კარის დარაჯმა **იკერ კასილიასმა**: *"რეალში" საუცხოო ატმოსფეროა, რადიკალურად განსხვავებული იმისაგან, რაც აქ ერთი წლის წინ იყო. ამ გუნდს კაპელოს "რეალთან" საერთო არაფერი აქვს. დღეს იზოლირებული ან პრივილეგირებული ფეხბურთელები აღარ გვყავს. ყველამ იცის, რა უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ ძირითადში მოხვდეს. თუ პრობლემები გვექმნება, ეს იმიტომ, რომ "რეალი" ახლა ყალიბდება. გუნდი პროგრესირებს. ვფიქრობ, ოქტომბრის შემდეგ სულ სხვა "რეალს" იხილავთ."*

### რეალი საკუთარი თვითმფრინავით იფრენს

ამასობაში, "რეალის" პრეზიდენტმა საკუთარ კლუბს ფანტასტიკური საჩუქარი გაუკეთა. **რამონ კალდერონმა** კომპანია Swiftair-ისგან 139 ადგილიანი თვითმფრინავი შეიძინა. ამიერიდან, სამეფო კლუბი მხოლოდ ამ ლაინერით იფრენს. პრეზიდენტმა გუშინ მადრიდის "ბარახას" აეროპორტის ერთ-ერთ ტერმინალში შენაძენის ოფიციალური პრეზენტაცია გამართა. საზოგადოებას ის დირექტორატის წევრებთან, ფეხბურთელებთან და სამწვრთნელო შტაბთან ერთად წარუდგა. საქმეში უკეთ გარკვევის მიზნით სენიორ კალდერონის განცხადებას გაგაცნობთ: *"კერძო თვითმფრინავი, ჩვენს პრესტიჟს კიდევ უფრო გაზრდის. ამიერიდან მოგზაურობა შეუდარებლად უფრო იაფი დაგვიჯდება. სულ სხვა საქმეა, როცა სხვა ქალაქებში საკუთარი ლაინერით ჩაფრინდები. მჯერა, ეს საქმე სასიკეთოდ წაგვადგება. ფეხბურთელები კომფორტულად იმგზავრებენ, რაც მატჩების მოგებაში დაგვეხმარება. ნათქვამია, ყველა გზა რომში მიდისო. სიმბოლურია, რომ ეს თვითმფრინავი პირველ რეისს სწორედ რომისკენ შეასრულებს. დიდი იმედი მაქვს, რომ "ლაციოს" დავამარცხებთ. ვისურვებდი, ამ სეზონში უკანასკნელი რეისი მოსკოვიდან მადრიდისკენ შევასრულოთ. რა თქმა უნდა, ყველაზე მეტად ის მსურს, რომ რუსეთიდან ჩვენი ხომალდით ჩემპიონთა თასი წამოვიღოთ."*

"რეალის" ხელმძღვანელობამ თვითმფრინავს ერთბაშად ორი სახელი შეურჩია ლა საეტა (ისარი) და **ალფრედო დი სტეფანო**. ტექნიკოსებმა სალონის დიზაინი და ტექნიკური ასპექტები სერიოზული შრომისა და დაკვირვების შედეგად შეარჩიეს. სავარძლებს შორის დაშორება 92 სანტიმეტრი იქნება. ეს კი იმის გარანტიაა, რომ მოთამაშეები ფეხებს ფართოდ გაშლიან და ფრენისგან არ გადაიღლებიან. ჩვეულებრივ თვითმფრინავებში სავარძლების დაშორება 73 სანტიმეტრს არ აღემატება. აღსანიშნავია, რომ სალონში ყველგან "რეალის" სიმბოლოებია ამოტვიფრული. ფსიქოლოგებს მიაჩნიათ, რომ ეს ფაქტი ფეხბურთელებს კონცენტრირებაში დაეხმარება. გარე დიზაინი კი შესაძლოა ვინმეს ბანალურად მოეჩვენოს. თეთრ თვითმფრინავზე იასამნისფრად უზარმაზარი ასოებით Real Madrid-ი აწერია.

დასასრულს იმასაც მოგახსენებთ, რომ ამ ხომალდით, არა მარტო ფეხბურთელები, არამედ "რეალის" საკალათბურთო გუნდიც იფრენს ხოლმე. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მათი ფრენის თარიღები ერთმანეთს დაემთხვევა, პრიორიტეტი, რა თქმა უნდა, საფეხბურთო კოლექტივს მიენიჭება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პეკინი 2008

ინტერვიუ ლერი ხაბელოვთან

# შვიდი მედალი ძალიან კარგია, ლიცენზიები კი გვაკლია




საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პირველი ვიცე პრეზიდენტი ლერი ხაბელოვი

სალიცენზიო ტურნირებისთვის ბრძოლამ ეკვატორი გადალახა - ჩვენთვის სტრატეგიულად მიჩნეულ სახეობებში მსოფლიო პირველობები უკვე დამთავრდა, შედეგი კი 17 ლიცენზიაა. შეგახსენებთ მათ მფლობელებს: ნინო სალუქვაძე (ტყვიის სროლა), ხათუნა ნარიმანიძე და ქრისტინე ესებუა (მშვილდოსნობა), ილია გიორგაძე (სპორტული ტანვარჯიში), ირაკლი ცირეკიძე, ნესტორ ხერგიანი, ლაშა გუჯეჯიანი, დავით ქევხიშვილი და ლომერ ჟორჟოლიანი (ყველა - ძიუდო), რამაზ ნოზაძე, დავით ბედინაძე და ბადრი ხასაია (ანტიკური ჭიდაობა), ოთარ თუშიშვილი და გელა სალირაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა). ამას ძალოსნობაში მოპოვებული სამი საგზურიც უნდა დავუმატოთ, თუმცა ჯერ ფედერაციას მათი მფლობელები არ დაუსახელებია. არსებითად, ძიუდოსა და ჭიდაობებშიც საგზურებს ფედერაცია იღებს და არა კონკრეტული პიროვნება, მაგრამ როგორც წესი, ოლიმპიადაზე ლიცენზიების მომპოვებელი ფალავნები მიჰყავთ. თეორიულად დასაშვებია, რომ თამაშებამდე დარჩენილ დროში მათ კონკურენტებმა აჯობონ, მაგრამ, პრაქტიკულად, ასე არასოდეს ხდება.

წლეულს, ორიოდ სახეობაში ისევ დარჩა სალიცენზიო მსოფლიო პირველობები, თუმცა საუკეთესო შემთხვევაშიც კი ისინი საერთო სურათს დიდად ვერ შეცვლიან. ამიტომ, უპრიანი გვგონია შემაჯამებელი საუბარი საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პირველ ვიცე-პრეზიდენტ **ლერი ხაბელოვთან**, რომელიც თავად ესწრებოდა ძიუდოსა და ჭიდაობებში გამართულ მსოფლიო პირველობებს.

**ბატონო ლერი, სადღეისოდ მოპოვებულია 17 ლიცენზია. როგორ აფასებთ ამ მაჩვენებელს?**

- ამ ეტაპზე ყველაზე მეტ ლიცენზიას საჭიდაო სახეობებისგან ველოდით. ძიუდომ 5 საგზური მოიპოვა, რაც ნაკრებებისთვის საუკეთესო მაჩვენებელია. ამდენივე ლიცენზია მიიღეს მოჭიდავეებმაც, მაგრამ მათგან გაცილებით მეტს - 10-12-ს ველოდით. აქ ლაპარაკი არაა მედლებზე - "ანტიკურში" ამ მხრივ მართლაც ჩინებული შედეგია, მაგრამ ლიცენზიებს კი მეტს ველოდით.

უკვე მოპოვებულია 17 საგზური. ოქტომბერში სალიცენზიო მსოფლიო ჩემპიონატი კრივშიც ტარდება, მოგვიანებით - ბატუტზე ხტომაში. ორივესგან თითო ლიცენზიას ველოდებით ანუ ჯამში 19 დაგვიგროვდება, ეს კი დაგეგმილზე ნაკლებია. ამ ეტაპზე დაახლოებით 25 ლიცენზიას ვგეგმავდით. ცხადია, კმაყოფილი არა ვართ, თუმცა ისევ ვიმეორებ - ეს მხოლოდ ლიცენზიებს ეხება და არა მსოფლიო ჩემპიონატების მედლებს. ოლიმპიადაზეც ამდენი მედალი რომ იყოს, ხმას არ ამოვიღებთ - 3 ოქრო, 1 ვერცხლი, 3 ბრინჯაო!

**- წინა ოლიმპიადაზე 36 მონაწილე გვყავდა. როგორ ფიქრობთ, ავალთ იგივე მაჩვენებელზე?**

- მოჭიდავეთა მსოფლიო ჩემპიონატების დამთავრების შემდეგ ჩვენ გავიარეთ კონსულტაციები ფედერაციებთან, კიდევ ერთხელ გადავხედეთ რეალობას, შესაძლებლობებს და ვფიქრობთ, პეკინშიც იგივე რაოდენობის გუნდი გვეყოლება.

**- სამწუხაროდ, ამ ოლიმპიადაზეც მთავარ იმედად საჭიდაო სახეობები გვრჩება და მათი ცალ-ცალკე დახასიათება ღირს. დავიწყოთ ძიუდოისტთა ნაკრებით, რომელიც წლეულს ჩინებულ სეზონს ატარებს.**

- თუ წინა წლების მაჩვენებლებს გადავხედავთ, შოთა ხაბარელი გეგმაზომიერად მიდის. ნაკრები დიდ შედეგს ყოველთვის იქ აჩვენებს, სადაც საჭიროა. ასე იყო ოლიმპიადაზე და ასე გახლდათ ახლაც, ბრაზილიაში ჩატარებულ მსოფლიო პირველობაზე. ხაბარელმა ყველაზე კვალიფიციურად დააყენა პროფესიული საკითხები გუნდში.

**- თქვენი აზრით, მოჭიდავეთა შედარებით უფერული გამოსვლა რამ განაპირობა? აქ უფრო თავისუფალს ვგულისხმობთ და არა ანტიკურს.**

- მიმაჩნია, რომ მოჭიდავეებს განწყობა აკლდათ. ძიუდოისტებს სწორედ ეს განწყობა ეტყობოდათ - ყველა მზად იყო საბრძოლველად, შედეგის საჩვენებლად. ეს მართლაც მნიშვნელოვანი მომენტია. მთავარია, გუნდი განაწყო ბრძოლისთვის.

"ანტიკოსთა" ნაკრები ყველაზე წარმატებულ გუნდად მიმაჩნია, თუმცა იქ რეზერვიც ძალზე დიდია. ამჯერად რამდენიმე ძლიერი მოჭიდავე დარჩა უმედლოდ და ულიცენზიოდ და ისინი აუცილებლად მოიპოვებენ ლიცენზიებს. საჭიროა, ყველა სათანადოდ მოვამზადოთ ოლიმპიადისთვის, რადგან ეს ტურნირი, უპირველესად, ნერვების თამაშია.

"თავისუფალთა" ნაკრებს აშკარად აკლდა ბრძოლისუნარიანობა და შემართება. ერთი, ოთარ თუშიშვილმა იბრძოლა მედლისთვის და დაიმსახურა კიდეც. მეტ-ნაკლებად იბრძოლა გელა სალირაშვილმაც და ლიცენზია მოიპოვა, მაგრამ სხვებს შემართება აკლდათ. ვფიქრობ, სპორტსმენი უფრო მეტად უნდა იყოს მომზადებული ფსიქოლოგიურად და წილისყრასა და ამგვარებს ყურადღება უნდა მიაქციოს. ძლიერს თუ არ მოუგე, ისეთი წილისყრა არასოდეს იქნება, სულ სუსტები შეგხვდნენ. მიმაჩნია, რომ მწვრთნელებმა ამაზე საგანგებოდ უნდა იმუშაონ და მეტი ინიციატივით გამოვიდნენ, თორემ დღეს სავარჯიშო პირობებზე საწუწუნო არა აქვთ. მზადების ციკლს ოლიმპიური ფონდი და ოლიმპიური კომიტეტი პირნათლად აფინანსებდა და ვერც იმას იტყვიან, რომ სათანადო კადრები არა ჰყავთ - მსოფლიო ჩემპიონები ულიცენზიოდ დარჩნენ.

**- არავის კომპეტენციას არ ვაყენებ ეჭვქვეშ. მით უფრო, ჭიდაობებში ბოლო წლებში ნამდვილად თვალსაჩინო წარმატებებია, მაგრამ რეფორმები ყველგან ხდება და იქნებ, სიახლეები აქაც იყოს საჭირო. მაგალითად, რუსეთის გუნდებში მთავარი მწვრთნელის გარდა, კიდევ სამი მწვრთნელია მიმაგრებული - 55-60; 66-74-84 და 96-120 კილოგრამ წონებზე. თანაც, ყველა მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი. მწვრთნელთა შტაბი ჩვენთანაც მოქმედებს, მაგრამ აქ ლაპარაკია უფლებების დაკანონებაზე, გამოცდილი ვეტერანების ნაკრების მუშაობაში უფრო მასობრივად ჩაბმაზე. ეს მთავარ მწვრთნელებსაც გაუადვილებს საქმეს.**

- ეს მოდელი ყოფილი საბჭოთა კავშირის დროს მოქმედებდა და რუსებმა დღესაც შეინარჩუნეს. გეთანხმებით - საინტერესო მოდელია. გამოცდილი ხალხი რაც მეტად ჩაერთვება მზადებაში, აჯობებს. განწყობა ჩვენი სპორტსმენებისთვის სუსტი წერტილია, ვეტერანები კი ამაშიც დაეხმარებოდნენ. მათი გამოცდილება ახალგაზრდებს ძალიან წაადგებათ.

**- რატომღაც მოჭიდავეთა ნაკრებების მზადებაში სამეცნიერო ჯგუფიც ნაკლებადაა ჩართული. გურამ რატიშვილი ადრე კი მუშაობდა მათთან, მაგრამ დღეს - არა. მართალია, იქ არიან ექიმები, მაგრამ ლაპარაკია ფიზიოლოგიურ კვლევაზე და არა ფარმაკოლოგიაზე. ეს ჯგუფი ძალზე ნაყოფიერად მუშაობს ძიუდოისტებთან და შედეგიც თვალსაჩინოა. მიმაჩნია, რომ ამ ჯგუფის გამოყენება მთლიანად ქართული სპორტისთვის შეიძლება - მათი დახმარება სხვა გუნდებსაც ძალიან წაადგებათ.**

- ეს ჯგუფი გურამ რატიშვილის ხელმძღვანელობით მართლაც სისტემატურად მუშაობს ძიუდოისტთა გუნდთან - ყოველ შეკრებაზე თან დაჰყვება. ადრე მართლაც მუშაობდა მოჭიდავეებთანაც, მაგრამ მერე რატომღაც შეწყდა ეს ურთიერთობა. მზადების პროცესში ამ ჯგუფის ჩართვაზე ინიციატივით გამოვალთ, მაგრამ მთავარი მაინც მწვრთნელების სურვილია. ჩვენ მაქსიმალურად დავეხმარებით. სხვათა შორის, "ანტიკოსთა" თავკაცი ბეგი დარჩია თვითონაც ძალიანაა დაინტერესებული ამგვარი საკითხებით, უცხოეთშიც დადის შეკრებებზე, აკვირდება სხვა გუნდებს და ინფორმაციებს აგროვებს.

**- ბოლო წლებში ძალოსანთა ნაკრებიც სტრატეგიულ სახეობად მიიჩნეოდა, მაგრამ ახლახან დამთავრებულმა მსოფლიო პირველობამ ეს იმედები სერიოზულად შეგვირყია...**

- ეს ახალგაზრდული გუნდია და წლეულს მათგან შედეგებს არც ველოდით, მაგრამ გვჯერა, ოლიმპიადაზე მედალი იქნება. ამაში თავიდანვე გვარწმუნებდა ვანო გრიქუროვი და ჩვენ ახლაც გვჯერა მისი. უბრალოდ, საწყენია, რომ შარშანდელი მაჩვენებლები გააუარესეს და დაგეგმილი 4-ის ნაცვლად მხოლოდ 3 საგზური მოიპოვეს. არადა, შარშანდელი მაჩვენებლებით, სწორედ ოთხს ვილებდით. თან, რამდენიმე სპორტსმენმა ბევრად გააუარესა შარშანდელი მაჩვენებელი, გიორგი ასანიძემ კი საწყისი წონა ვერ დაძლია. მაგრამ სპორტში მოულოდნელობები ხდება, რასაც წინასწარ ვერ გათვლი. მთავარია, გუნდმა დასახული მიზანი შეასრულოს და ოლიმპიადაზე იასპარეზოს წარმატებით.

**- სამწუხაროდ, სხვა სახეობებში კვლავაც სტატისტებად ვრჩებით... თუ ხედავთ წინსვლას მათ განვითარებაში, ან მომავალში თუ გეიმედებათ პროგრესისა?**

- რასაც ვაკვირდები, კრივი იგივე დონეზეა, სხვები კი უკან წავიდნენ. ალბათ, ეს ძირითადად მაინც ბაზების უქონლობის ბრალია. იგივე საჭიდაო სახეობებში წარმატებები თუა, ბაზებითს და ინვენტარით უზრუნველყოფილნიც არიან. დღეს ყოველ რეგიონშია ლეიბებით აღჭურვილი დარბაზები, სხვა სახეობებში კი ბაზების ნაკლებობაა. სამწუხაროდ, ჩვენ ყველაფერს უკუღმა ვაკეთებთ - შედეგს თუ ვაჩვენებთ, მერე ვაშენებთ ბაზას, მაგრამ ის შედეგი საიდან უნდა მოვიდეს? ეს ძალზე ცუდი მიდგომაა. ამას სკოლების გაუქმებაც ემატება. უფასო რომ იყო ვარჯიში, მაშინ არ დადიოდნენ და ახლა ფასიან სექციებში ვინ ივლის?

**- დასასრულ, ოლიმპიური ფონდის ბიუჯეტზეც ვთქვათ - აქამდე მოპოვებული წარმატებები ხომ ძირითადად მისი დამსახურებაა, რადგან მთელ ციკლში აფინანსებდით ამ ნაკრების მზადებასა და მონაწილეობას ევროპისა თუ მსოფლიო ჩემპიონატებში. გაისად ოლიმპიადაა და დატვირთვაც იზრდება.**

- ჩვენი წლევანდელი ბიუჯეტი ორმილიონნახევარი ლარია. აქედან სპორტულ ღონისძიებებზე 1 104 000 ლარია გათვალისწინებული. უკვე გახარჯულია 1 012 000, მაგრამ დარჩენილია კრივის მსოფლიო პირველობა აშშ-ში და ბატუტისტებისა - კანადაში. პრაქტიკულად, ამით წლევანდელი სეზონიც დამთავრდა, გაისად კი ჩვენი ბიუჯეტი მთლიანად ოლიმპიადისთვის მზადებაზე იქნება მიმართული. გაისად ევროპის პირველობებს არ დავაფინანსებთ და მთელ თანხებს თამაშებისთვის მზადებაზე მივმართავთ, რადგან ეს ძალზე შრომატევადი პროცესია. პლუს, მზადებას ეკიპირება და სხვა სამუშაოებიც ემატება, რასაც ასევე ჩვენ ვაგვარებთ.

**ირაკლი თავაძე**

## თვის მოვლენები

სექტემბერი

**1. ჩოგბურთი:** ოქსანა კალაშნიკოვამ წყვილებში კანადის ახალგაზრდული ღია პირველობა მოიგო.

**2. კალათბურთი:** საქართველოს ნაკრებმა B დივიზიონის ბოლო ჯგუფური მატჩი 77:76 მოიგო ფინეთის ნაკრების წინააღმდეგ და მეორე ადგილი დაიკავა.

**6. ტანვარჯიში:** მსოფლიოს ჩემპიონატზე ილია გიორგაძემ 42-ე ადგილი დაიკავა და პეკინის ოლიმპიადის ლიცენზია მოიპოვა.

**7. ფეხბურთი:** საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა 2:1 დაამარცხა ყაზახეთის ნაკრები.

**8. ფეხბურთი:** საქართველოს ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მატჩში უკრაინის ნაკრებთან საშინაო მატჩი 1:1 დაასრულა.

**8. ჩოგბურთი.** ოქსანა კალაშნიკოვამ ამერიკის ღია პირველობის ახალგაზრდულ ტურნირში ერთეულებში ნახევარფინალში, წყვილებში კი ფინალში წააგო.

**11. რაგბი:** მსოფლიოს თასის პირველ მატჩში საქართველოს ნაკრები არგენტინასთან 3:33 დამარცხდა.

**11. ფეხბურთი:** საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ესპანეთში 0:4 წააგო.

**12. ფეხბურთი:** საქართველოს ნაკრები ბაქოში აზერბაიჯანის ნაკრებს 1:1 დაუზავდა.

**13. ძიუდო:** ლაშა გუჯეჯიანმა მსოფლიო ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, ლომერ ჟორჟოლიანი კი - მეხუთე ადგილზე გავიდა. ოლიმპიადის ლიცენზიები ორივემ დაიმსახურა.

**14. ძიუდო:** ირაკლი ცირეკიძე გახდა პირველი მსოფლიო ჩემპიონი ძიუდოისტი დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში.

**15. რაგბი:** საქართველოს ნაკრები ტოლ-სწორად ეთამაშა ირლანდიას - 10:14.

**17. ძიუდო:** დავით ქევხიშვილი მსოფლიო ჩემპიონატზე მეხუთე ადგილზე გავიდა და პეკინის ლიცენზია მოიპოვა.

**17. ძიუდო:** ნესტორ ხერგიანმა მსოფლიო ჩემპიონატზე ვერცხლის მედალი მოიპოვა.

**17. ანტიკური ჭიდაობა:** დავით ბედინაძემ ბაქოში მსოფლიო ჩემპიონატზე გაიმარჯვა.

**18. ანტიკური ჭიდაობა:** რამაზ ნოზაძე მსოფლიო ჩემპიონი გახდა, ხოლო ბადრი ხასაიამ ბრინჯაოს მედალი მოიგო.

**19. მხატვრული ტანვარჯიში:** ქართველებმა საბერძნეთში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატზე წარუმატებლად იასპარეზეს და ოლიმპიადის საგზურები ვერ მოიპოვეს.

**20. თავისუფალი ჭიდაობა:** ოთარ თუშიშვილი ბრინჯაოს პრიზიორი გახდა, ხოლო გელა სალირაშვილმა ოლიმპიადის ლიცენზია მოიპოვა.

**22. ძალოსნობა:** ქართველმა ძალოსნებმა ტაილანდში მსოფლიო ჩემპიონატზე სამი ოლიმპიური ლიცენზია დაიმსახურა.

**23. ფეხბურთი:** 17-წლამდელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის პირველი შესარჩევი მატჩი ბულგარეთში ხორვატიასთან 0:4 წააგო.

**23. სუმო:** კოკაიმ სექტემბრის ბაშო უარყოფითი ბალანსით 7-8 დაასრულა.

**26. რაგბი:** საქართველოს ნაკრებმა მსოფლიო თასზე ისტორიული გამარჯვება მოიპოვა, ნამიბია 30:0 დაამარცხა.

**30. რაგბი:** საქართველოს ნაკრებმა მსოფლიო თასზე ასპარეზობა საფრანგეთთან 7:64 მარცხით დაასრულა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



კალათბურთი

# სანიკიძე კიოლნში



ვიქტორ სანიკიძე

საქართველოს ნაკრების ფორვარდი **ვიქტორ სანიკიძე** გუშინ, ღამით, გერმანიაში გაფრინდა. იგი მომავალ სეზონს "კიოლნ-99"-ში გაატარებს. ჩვენს გაზეთში ერთი კვირის წინ ვიქტორის ინტერვიუ დაიბეჭდა, რომელშიც კალათბურთელი ესპანური "ესტუდიანტესის" დატოვებას ვარაუდობდა - ისეთ გუნდში გადავალ, სადაც მეტი სათამაშო დრო მექნებაო. თუმცა მომავალი კლუბის სახელი არ დაუსახელებია. როგორც ჩანს, ერთ კვირაში მისმა მენეჯერმა სასურველი კლუბი უპოვა და ვიქტორიც კონტრაქტის გაფორმებაზე მას შემდეგ დათანხმდა, რაც კიოლნელებისგან საკმარისი სათამაშო დროის გამოყოფის გარანტია მიიღო.

*"კლუბის ოფიციალურ წარმომადგენელს ტელეფონით ვესაუბრე. მას შარშანელი ამბავი მოვუთხრე - ესპანეთში ჩასვლა ვიზის გამო დამიგვიანდა და სათამაშო დროც შემიზღუდეს-მეთქი. გერმანელები დამპირდნენ, რომ ნუთების პრობლემა არ მექნება და ამიტომაც თამამად დავთანხმდი "კიოლნი-99"-ში გადასვლაზე"*, - გვითხრა ვიქტორ სანიკიძემ გერმანიაში წასვლამდე რამდენიმე საათით ადრე.

იგი ახალგაზრდაა და ახლა მისთვის მთავარი სათამაშო დროა, მაგრამ არც კლუბის მიზნებია მეორეხარისხოვანი. იმას რა სჯობს, როცა ჩვენიანი ძლიერ გუნდში მყარად იკიდებს ფეხს. ვიქტორმა "კიოლნის" მიზნებზეც ისაუბრა:

*"კლუბის მენეჯერთან საუბრისას შევიტყვე, რომ ახალგ ზარდული გუნდი კეთდება და მთავარი პერსპექტიული კალათბურთელებისთვის ხელშეწყობა იქნება, თუმცა, როგორც ყველა ახალგაზრდა გუნდს, "კიოლნსაც" ექნება გერმანიის ჩემპიონატში წარმატებით თამაშის ამბიცია. მით უმეტეს, რომ ამ კლუბს ხანმოკლე, მაგრამ ღირსეული ისტორია აქვს".*

სანიკიძის ნათქვამს განვაგრძობთ და გეტყვით, რომ "კიოლნი 99" 1999 წელს შეიქმნა. 2001 წლიდან გერმანიის ბუნდესლიგის მუდმივი წევრია. მას შემდეგ ორჯერ (2002 და 2005 წლებში) ფლობდა ბრინჯაოს მედალს. ხოლო 2006 წელს გერმანიის ჩემპიონატი მოიგო. "კიოლნი" თასის სამგზის გამარჯვებულია - 2004, 2005 და 2007 წლებში. გასულ სეზონში ვიქტორის მომავალი კლუბი თავის ისტორიაში პირველად ევროლიგაზე ასპარეზობდა და პირველ ჯგუფურ ეტაპზე 14-დან 2 მატჩის მოგება მოახერხა.

მომავალ სეზონში "კიოლნი 99" პრესტიჟულობით რიგით მეორე ევროტურნირზე, ულების თასის გათამაშებაში იასპარეზებს. B ჯგუფში გერმანელების მეტოქენი იქნებიან: "შალონი" (საფრანგეთი), "ბეშიქთაში" (თურქეთი), "ვენტსპილსი" (ლატვია), "რაბოტნიჩკი" (საბერძნეთი) და "ოვარენსე" (პორტუგალია).

ორიოდე სიტყვით სანიკიძის მომავალ თანაკლუბელებზეც. მას "კიოლნში" დახვდება გერმანიის ნაკრების ყოფილი წევრი **მისან ნიკაგბატსე**, რომელიც წარმოშობით ნიგერიელია. მთავარი დამრტყმელი ტრიო ამერიკულია: **იმანუელ მაკელროი, დერეკ რაივიო** და **კერტის სამპტერი**.

ვიქტორ სანიკიძე 2003 წელს ამერიკის "გლობეს" კოლეჯიდან ფრანგულ "დიჟონში" გადავიდა, საიდანაც 2006 წელს ესპანურ "ესტუდიანტესში" მოხვდა.

ვაჟა სიმონიშვილი

საქართველოს ჩემპიონატი. წარდგენა

# ვითა და დინამო

**თავდაპირველად სიახლეზე - შეიცვალა 4 ოქტომბერს დაგეგმილი დუდუ დადიანის მემორიალის პირველი დღის მატჩების განრიგი. ნაცვლად "ვითა"-"დინამოსი" ტურნირს "აზოტი"-"მაკაბის" შეხვედრა გახსნის. იგი 14 საათზე დაიწყება. "ვითა" და "დინამო" კი ერთმანეთს 16 საათზე დაუპირისპირდება. მოდით, დღეს ამ უკანასკნელთა შესახებ ვისაუბროთ.**

## ვითა

გუნდიდან წამსვლელ-მომსვლელებზე საუბარი ფაქტობრივი შეცდომა იქნება, რადგან "ვითადან" არავინ წასულა. იგი 7-წლიანი შესვენების შემდეგ ამ ზაფხულს აღდგა და მწვრთნელ ზურაბ ტომარაძეს დიდი შრომა დასჭირდა სასურველი კალათბურთელების შემოსაკრებად.

გავეცნოთ "ვითას" ამჟამინდელ შემადგენლობას. უკანა ხაზი: **გიორგი მარხვაშვილი** (თსუ), **ნიკოლოზ ნოზაძე** (დინამო), **ირაკლი ძიძიგური** (სტუ), **დავით გასიტაშვილი** (მაკაბი), **ბუბა ბერიშვილი** (თსუ); ფორვარდები: **ვლადიმერ ბეჟანიშვილი** (აზოტი), **მიხეილ ბერიშვილი** (თსუ), **გიორგი მარკოიშვილი** (აზოტი), **დავით გვიმრაძე** (დინამო); ცენტრები: **დავით ბერძენიშვილი** (აზოტი), **ლუკა ნოზაძე** (სტუ), **გოჩა კორძაძე** (სტუ), **გიორგი ცერცვაძე** (აკადემია); მთავარი მწვრთნელი: **ზურაბ ტომარაძე**; ასისტენტები: **მიხეილ კობეშავიძე, თემურ აბულაძე**.

ქართულ კალათბურთში კარგად ჩახედული მკითხველი დაგვეთანხმება, რომ ურიგო კოლექტივი არ არის, მაგრამ ვერც იმას ვიტყვით, რომ სხვებზე უკეთესი შემადგენლობაა. თუმცა, თანაბრადაა დაბალანსებული და თუ წინა სეზონის სათადარიგოებმა დავით ბერძენიშვილმა და გიორგი მარხვაშვილმა სასტარტო შემადგენლობაში კარგად მოიკიდეს ფეხი, ბერიშვილ-მარკოიშვილ-ბეჟანიშვილთან ერთად ერთ-ერთ საუკეთესო ხუთეულს შეადგენენ.

მწვრთნელის, ზურაბ ტომარაძის თქმით, გუნდი ახალ სეზონს ზემოთ ნახსენები შემადგენლობით დაიწყებს. შუა ჩემპიონატში კი ლეგიონერებით გაძლიერება არ არის გამორიცხული.

## დინამო

ჩვენი აზრით, დადიანის მემორიალზე ყველაზე შეთამაშებული გუნდი "დინამო" იქნება, რადგან მასში ძირითადი ბირთვია შენარჩუნებული: **ლექსო ლაფანაშვილი, გიორგი გულისაბედაშვილი, ზურაბ ბადრიძე, ნოდარ სიგუა, ოთარ ფაიქრიძე, ნიკა წერეთელი და ვახტანგ ბოლქვაძე.**

გუნდს წინა ხაზის ორი ლიდერი გამოაკლდა - **დავით გვიმრაძე** და **ლადო სუხიშვილი**. სამაგიეროდ მათ ჩაენაცვლნენ **რეზო ათანელიშვილი** და **გულივერ ახალკაცი**. პირველი შარშან ირანის I ლიგაში თამაშობდა, გულივერი სტუ-ს ღირსებას იცავდა. "დინამოში" კიდევ ერთი ტექნიკოსია, ისიც მეფარე - ლაშა დევიძე. მათ გარდა **ზაზა ცაგარეიშვილმა** ტანმაღალი **გიორგი ყველაშვილი** დაიმატა, რომელიც შარშან რუსეთის "ნალჩიკის" ღირსებას იცავდა. განაცხადშია გამოცდილი გამთამაშებელი **არჩილ ჟღენტიც**, რომელიც წელიწადია მოედანზე არ გამოსულა და კარიერის დასრულება ჰქონდა გადაწყვეტილი. არჩილი მწვრთნელსაც დაეხმარება და გამთამაშებლებსაც - მოთამაშე-მწვრთნელის ფუნქციებს შეითავსებს.

ახლა შემადგენლობას გავეცნოთ:

უკანა ხაზი: **ლექსო ლაფანაშვილი, გიორგი გულისაბედაშვილი, ზურაბ ბადრიძე, არჩილ ჟღენტი, გიორგი კუჭავა, ნოდარ სიგუა**; ფორვარდები: **ოთარ ფაიქრიძე, ნიკოლოზ წერეთელი, ვახტანგ ბოლქვაძე, დავით მაისურაძე, გიორგი ყველაშვილი, ლაშა დევიძე**; ცენტრები: **რევაზ ათანელიშვილი, გულივერ ახალკაცი**; მთავარი მწვრთნელი: **ზაზა ცაგარეიშვილი**.

ხვალ დუდუ დადიანის მემორიალისადმი მიძღვნილ პრესკონფერენციასა და "ავიამშენი"-"მაკაბის" წყვილზე ვისაუბრებთ, ზეგ კი რუსთავში ახალი სეზონი მემორიალით გაიხსნება.

ვაჟა სიმონიშვილი




ფარიკაობა

# ჯერ მომცელიძე, ახლა ელბაქიძე

გუშინ სანკტ პეტერბურგში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატში ქართველი დაშნით მოფარიკავეები ჩაერთვნენ. ჯგუფურ სტადიაზე მათ, საერთო ჯამში, ხმლით მოფარიკავეებზე უკეთ იასპარეზეს. ქართული კვარტეტიდან მოუგებელს ბილიკი არავის დაუტოვებია. მე-6 პულში **ანზორ ალბრეხტმა** ორი ორთაბრძოლა მოიგო (ებრაელთან და თურქთან) და ოთხი დათმო (კორეელთან, იაპონელთან, ვენესუელელთან და ამერიკელთან). მეშვიდე პულში კი მინისენსაცია მოახდინა **დავით ელბაქიძემ**. მან ექვსიდან ოთხი ორთაბრძოლა მოიგო (მალაიზიელთან, ავსტრიელთან, ლუქსემბურგელთან და ჩეხთან). მან მხოლოდ რუს და ამერიკელ მოფარიკავეებთან წააგო. მერვე პულში **გიორგი ნაცვლიშვილმა** ორი ბრძოლა მოიგო (ბელგიელთან და ყირგიზთან) და ოთხი წააგო (ესტონელთან, ნორვეგიელთან, ბელარუსთან და ჩინელთან). მე-12 პულშიც ორი შეხვედრა მოიგო **დავით არველაძემ** (ეგვიპტელთან და ლატვიელთან) და ოთხი წააგო (სერბთან, ინდონეზიელთან, ფრანგთან და კუბელთან). დავით ელბაქიძემ 55-ე ადგილი დაიკავა, დავით არველაძემ კი 101-ე, ორივემ მიიღო პლეიოფის საგზური, სხვები კი გავარდნენ. ფლეი-ოფის პირველ, საკვალიფიკაციო წრეში დავით ელბაქიძემ სამხრეთაფრიკელი **ანდრის მაკდონალდი** დაამარცხა - 15:7, ხოლო დავით არველაძემ ირანელ **ჰამედ სედალათისთან** წააგო - 8:15. ფლეი-ოფის ძირითად ბადეში მხოლოდ ელბაქიძე დარჩა.

გუშინ ბრძოლა დაასრულა ხმლით მოფარიკავე **მიხეილ მომცელიძემ**, რომელმაც პულში ბრწყინვალედ იფარიკავა. მან საკვალიფიკაციო წრეც მოუგო ბერძენ **იასონ დურაკოსს** 15:11 და ფლეი-ოფის ძირითად ბადეში გავიდა. იქ მას მე-17 ნომრად განთესილი ძლიერი **ფრანგი ვენსან ანსტეტი** ელოდა. სამწუხაროდ, მომცელიძემ სენსაცია ველარ მოახდინა - 10:15 და მსოფლიო ჩემპიონატი მისთვის დასრულდა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ჩოგბურთი

# პირველი მოგება ნანტში

ფრანგულ ნანტში სტარტი აიღო 25-ათასიანმა ტურნირმა, რომელშიც მეოთხე ნომრად ქართველი **მაკა ჩახნაშვილი** განთესეს. გუშინ პირველ წრეში ჩვენი პირველი ჩოგნის მეტოქე 18 წლის რუმინელი **ალექსანდრა დულგერუ** (253) იყო. სამსეტიანი ბრძოლა ჩახნაშვილმა მოიგო - 7:6 (8), 1:6, 6:4. მერვედფინალში მაკას მეტოქე 21 წლის ბრიტანელი **მელანი საუზი** (234) იქნება, ისინი ერთმანეთს პირველად ეთამაშებიან. ამავე ტურნირის წყვილთა თანრიგში მაკა ჩახნაშვილი უკრაინელ **იულია ბეიგელციმერთან** (187) ერთად პირველ ნომრად არის განთესილი.

# ერთი ნაბიჯი ათეულამდე

ზუსტად ერთი საფეხური აშორებს საქართველოს საუკეთესო ახალგაზრდა ჩოგბურთელ **ოქსანა კალაშნიკოვას** მსოფლიო რეიტინგის მოწინავე ათეულში შესვლამდე. ოქსანა 695 ქულით 18-წლამდელ ჩოგბურთელებში მსოფლიოში მე-11 ადგილზეა. გოგონებში ათასეულში კიდევ ორი ჩვენებურია: **ეკა გორგოძე** (611) და **ანა ჯიქია** (783). ბიჭებში 237 ქულით 144-ე ადგილზეა **ლაზარე კუხალაშვილი**, რომელიც ივლისის მერე არსად გამოჩენილა. **ნიკოლოზ ბასილაშვილს** 111 ქულა აქვს და რეიტინგში 359-ეა. ათასეულში არიან: **ნიკოლოზ ქურდაძე** (433), **გიორგი ხმიადაშვილი** (594) და **რევაზ ოსაძე** (622).

# სალომე ტროაში

21 წლის **სალომე დევიძე** (564) ამერიკის ქალაქ ტროაში საერთაშორისო ტურნირის (50 ათასი დოლარი) ძირითად ბადეში გასვლას ლამობს. სალომემ ორი ბარიერი უკვე დაძლია და ახლა ფინალურ საკვალიფიკაციო წრეში მოგება სჭირდება. პირველ წრეში მე-4 ნომრად განთესილმა დევიძემ იტალიელი **ჯადა-ჯოვანა დორტონა** დაამარცხა - 6:0, 6:3. მეორე წრეშიც დევიძემ იოლად იმარჯვა, ამჯერად მან ამერიკელი **დანიელ მილსი** დაამარცხა - 6:2, 6:3. ფინალურ საკვალიფიაციო წრეში ქართველი ჩოგბურთელი მეხუთე ნომრად განთესილ ამერიკელ **კიმბერლი კაუტსს** (574) შეხვდება. წლეულს ისინი ალენთაუნის ტურნირში შეხვდნენ, სადაც კაუტსმა ორ სეტში იმარჯვა. დევიძე ამერიკელ **ალექსანდრა მიულერთან** ერთად წყვილთა თანრიგის ძირითად ბადეშია.



სალომე დევიძე

ნიკოლოზ ნეფარიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტი რეგიონებში

# სპორტსკოლების გადარჩენის მაგალითს ზესტაფონი იძლევა

საქართველოში ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლებისადმი იმ დამოკიდებულების ფონზე, რამაც გაოცებიდან იძულებით შეგუებამდე მიგვიყვანა, ვერც კი წარმოვიდგენდი კიდევ სადმე თუ გასაკვირველად სასიამოვნო ფაქტის მოწმე გავხდებოდით. არადა გავხდით, უნებლიეთ, მოულოდნელად...

ზესტაფონში ერთ საქველმოქმედო ღონისძიებაზე ვიყავით მიწვეული "ვარინკობის" ტრადიციულ დღესასწაულამდე ერთი დღით ადრე. თეატრი ქალაქის ცენტრშია, რკინიგზის სადგურის წინ. იქვე, მართლაც რომ ორიოდე ნაბიჯზეა რაიონის ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლა, რომლის შენობა, კარგად მახსოვს, დაახლოებით ამ 50 წლის წინათ აიგო. ახლა, იქით გახედვაც არ მინდოდა, უკვე ზემოთ ხსენებულ ფონზე, გამონაკლისს ნამდვილად არ მოველოდი. ვხედავ, სპორტული ჩანთით ჯერ რამდენიმე მოზარდმა ჩაიარა, მერე ჯგუფ-ჯგუფად...

- სად მიდიხართ? ვეკითხები. აგერ, ვარჯიშზე - იყო პასუხი. სპორტსკოლაში? - ვცდილობ დავაზუსტო. დიახ!..

მივყევი. შესასვლელთან, რამდენიმე მამაკაცი ერთმანეთში, როგორც იმერეთში იტყვიან, მუსაიფობდა.

მათთვის უცხო ვიყავი მეგონა, მაგრამ ვეტერან მუშაკებს შორიდანვე ვუცნივარ. დირექტორმა, შუახნის კაცმა, **დავით ხუსკივაძემ** თავად მომაგონა ტაშკენტი და მოსწავლეთა XV საკავშირო სპარტაკიადა, სადაც ის ძიუდოში ჩემპიონი გახდა. ერთად ვიხსენებთ წარსულში ცნობილ ზესტაფონელ სპორტსმენებს, ფალავნებს - **მიხეილ სალაძეს** (ბ/რ), **გიორგი გაჩეჩილაძეს** (ძიუდო, ქართული ჭიდაობა), **ნიკოლოზ წაქაძეს** (სამბო), **ავთანდილ კიკნაძეს** (ფარიკაობა), **პაატა სამუშიას** (სამბო), **თემურ ლეჟავას** (ბ/რ), **ჯემალ ზაქარიაძეს** (ხელბურთი), ფეხბურთელებს - **გურამ პეტრიაშვილს, დოდიკ ხუნდაძეს, ზაურ ჩუბინიძეს, გურამ ნიშნიანიძეს,** მკლავჭიდელ **ზაურ ცხადაძეს,** სპორტის სხვა სახეობების წარმომადგენლებს.

დირექტორს მაგიდაზე უდევს წიგნი "ზესტაფონის სპორტის ისტორია" (ავტორები **გიორგი აბაშიძე** და **ბუდუ ბარამიძე**). რაიონში, როგორც სტატისტიკა გვამცნობს, აღზრდილია მსოფლიოს და ევროპის 16 ჩემპიონი და პრიზიორი; სსრკ ჩემპიონი და პრიზიორი - 15. ფეხბურთისადმი მიძღვნილ თავში, საერთოდ, 60-მდე ზესტაფონელი ფეხბურთელია მოხსენიებული, მათ შორის ლეგენდარული მსახიობი **სერგო ზაქარიაძე.** "იგი ნათამაშებია არა მარტო ზესტაფონის გუნდში, არამედ თბილისის "დინამოში", ზესტაფონელ ფეხბურთელებთან **ჟორა ჭუმბურიძესთან** და **შოთა** კიკნაძესთან ერთად" - ვკითხულობთ წიგნში.

უკვე 60-იანი წლების სპორტსმენთა შემდეგი თაობა რაიონში ზემოხსენებულ სპორტულ სკოლაშია დაოსტატებული. საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი **ჯონდო ჯანიაშვილი** (ძიუდო) ბავშვებთან დღესაც შემართებით მუშაობს თავისივე ნამონაფარ მწვრთნელებთან ერთად. ფარიკაობაში დამსახურებული მწვრთნელი **ომარ აბაშიძე** კი სკოლის სასწავლო ნაწილს ხელმძღვანელობს და წუხს, რომ ფარიკაობის საამაყო ტრადიციები რაიონში კარგა ხნის წინათ მიეცა დავიწყებას, თუმცა მისი აღორძინების იმედი არ დაუკარგავს.

... თვალგასახარად გარემონტებულ სკოლის შენობას მასპინძლებთან ერთად ვათვალიერებთ. ყველაფერი მაღალ დონეზეა, საშხაპეში ცხელი წყალიც მოდის, სისუფთავეა ყველგან. ამასობაში საჭიდაო დარბაზის მარცხნივ ხალიჩაზე და მარჯვნივ - ტატამზე მოვარჯიშეები შეიკრიბნენ. დარბაზი კალათბურთელებით აივსო. სტუმრის მოლოდინში საგანგებოდ მოემზადნენო, ვერ ვიტყვით. ჩვენ არავინ მოგველოდა.





"ყოველდღე ასეა, ბავშვები სოფლებიდანაც დადიან" - გვეუბნება დირექტორი. ბლოკნოტში უკვე ჩაწერილი მქონდა: სკოლაში მუშაობს ჯგუფები კალათბურთში - 4, ძიუდოში - 3, ბერძნულ-პრომაულ ჭიდაობაში - 2, ფეხბურთში - 3, რაგბში, ფრენბურთში, კრივში, ველოსპორტში და ჭადრაკში - თითო. მწვრთნელ-მასწავლებლები კი აქ, არათუ შეუმცირებიათ ან ხელფასი დაუკლიათ, პირიქით, ადრე თუ 21,5 შტატი იყო სკოლაში, ახლა ეს რაოდენობა 33-მდე გაიზარდა, ხელფასი კი გაორმაგდა. ჯონდო ჯანიაშვილის გარდა, მოზარდთა ფიზიკურ წრთობას და სპორტულ დაოსტატებას დღეს წარმატებით ემსახურებიან **თემურ ბარბაქაძე** (ბ/რ ჭიდაობა), **მალხაზ ჩაჩანიძე** (კრივი), **თემურ კამლაძე** (სამბო), **კობა სვანიძე** (ძიუდო), **მამუკა ფუტკარაძე** (ფეხბურთი) და სხვები.

მარტო წლეულს, სკოლის აღსაზრდელები საქართველოს მასშტაბით 54 სპორტულ შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ. მოპოვებული 21 - პირველი, 22 - მეორე და 28 - მესამე საპრიზო ადგილი. სკოლის ნორჩი ფეხბურთელები მწვრთნელ მ. ფუტკარაძის ხელმძღვანელობით 1994-95 წლიანებში გ. ნოდიას თასს დაეუფლნენ.

კოტე მახარაძის თასზე ტურნირის ფინალში, თბილისში, ზესტაფონელმა ჭაბუკებმა "ამერს" აჯობეს. იმ "ამერს", რომლის უფროსების გუნდმა - შარშან და წლეულს ორჯერ აჯობეს ზესტაფონის მთავარ გუნდს. სამბოში მესამე ადგილზე გავიდა **თემურ ნასყიდაშვილი** საქართველოს ჩემპიონატში, **ლევან ჩუბინიძე** და **ჯუმბერ ხუსკივაძე** კი მეორე პრიზიორები გახდნენ. ლევანი საქართველოს ნაკრებში ჩარიცხეს და ევროპის თასზე მეხუთე იყო თანატოლებში. ჭაბუკებში საქართველოს პირველობის ვერცხლის მედალს დაეუფლა ქართულ ჭიდაობაში **გაგა ნიკაჭაძე.** ახალგაზრდების საერთაშორისო ტურნირიდან (თურქეთი) შინ ვერცხლის მედლით დაბრუნდა **ზურაბ ჩიხლაძე.** ჭაბუკების და ახალგაზრდების საქართველოს პირველობებში თავი გამოიჩინეს მოკრივეებმა **გენადი კვანტრიშვილმა, გიორგი ჩაჩანიძემ, ბაჩუკი ტოროშელიძემ, ბაჩუკი ყაზაიშვილმა...**

სპორტსკოლა მაშინ აღწევს წარმატებებს, როცა სისტემატიური ქცეული ნიჭიერთა შერჩევა, როცა სკოლა სპეციალისტის, სპორტული ბაზის და ტრადიციის გათვალისწინებით ჯგუფებს სოფლებშიც ხსნის სპორტის ცალკეულ სახეობებში. ზესტაფონელები ამასაც ითვალისწინებენ. ახლა რაგბი განსაკუთრებით პოპულარული გახდა და სოფ. ქვედა საქარაში გაიხსნა ჯგუფი. იქ მოედანიც კარგი ყოფილა და დარბაზიც, მწვრთნელი **ზურაბ კუპატაძე** კი ამავე სოფელში ცხოვრობს. სოფ. არგვეთაში წარმატებით მუშაობს ბერძნულ-რომაული ჭიდაობის სექცია სკოლის დირექტორის ხელშეწყობით.

ვგრძნობ, მკითხველს გაუჩნდა კითხვა: საიდან, როგორ, რას მივაწეროთ სპორტსკოლისადმი ასეთი ყურადღება, ბავშვთა სპორტსკოლების ლამის საყოველთაოდ გაუდაბნოებულ ყოფაში ოაზისის გამოჩენა?

რაიონებში სპორტული საქმიანობა, რომ ადგილობრივ ხელმძღვანელებზე იყო დამოკიდებული, დიდი ხანია ვიცოდით, მაგრამ ჩვენს დროშიც თუ შეინარჩუნა აქტუალობა, ნაკლებად გვჯეროდა. არანაირი კანონი ოფიციალურად არ კრძალავს ადგილებზე ბავშვთა სპორტის განვითარებას, მაგრამ ათასი მიზეზია საიმისოდ თუ მოისურვებ ზურგი აქციო ბავშვთა სპორტს და, მაშასადამე, ქართული სპორტის მომავალს, საერთოდ. ზესტაფონელი თავკაცები კი გამორჩეულები არიან - მათ, პირიქით, დაიწყეს ბავშვთა სპორტის მხარდაჭერის გზების ძიება და მიზანსაც მიაღწიეს. თაოსანი კი რაიონის საკრებულო და მისი თავმჯდომარე **დავით ფერაძეა.** სპორტსკოლის შენობა შარშან გარემონტდა. შეიძინეს 28 ათასი ლარის სპორტული ინვენტარი და ფორმა, ტატამში კი 6,400 ევრო გადაიხადეს. როგორც ზემოთ ითქვა, გაიზარდა მწვრთნელ-მოსწავლებელთა შტატები და მათი ხელფასი. ფინანსდება სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობა. ასე რომ, ადგილობრივი მმართველობა თუ მოისურვებს, ბავშვთა სპორტის გადარჩენა ყველგანაა შესაძლებელი. ზესტაფონი ამის ცოცხალი მაგალითია...

**თენგიზ გაჩეჩილაძე**
ზესტაფონი-თბილისი

ოლიმპიური დღე

# 6 ოქტომბრის შესახვედრად

ქვეყნის პრეზიდენტის განკარგულებით, საქართველოში, 2002 წლიდან ტრადიციულად აღინიშნება "ოლიმპიური დღე" ყოველი წლის 6 ოქტომბერს. როგორც იცით, ჩვენი ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი სწორედ 6 ოქტომბერს დაფუძნდა 1989 წელს. ხსენებული თარიღი მთელ ქვეყანაში ამ დღისადმი მიძღვნილი მასობრივი სპორტული ღონისძიებებით აღინიშნება. ახლაც, 6 ოქტომბერს, უამრავი სპორტული ღონისძიება გაიმართება საქართველოს რეგიონებში - ქალაქებსა და რაიონებში, სოფლებში. წლევანდელი ზეიმურობა განსაკუთრებულ მასშტაბს შეიძენს, რადგან ქვეყანას მრავლად შეემატა სპორტული ობიექტები. ახლა ყველაფერი დამოკიდებულია სეოკ-ის რეგიონული ორგანიზაციებისა და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების კოორდინირებულ მუშაობაზე. იმედია, ურთიერთთანადგომით ყველაფერი გაკეთდება "ოლიმპიური დღის" ღირსეულად შესახვედრად და მასობრივი სპორტული ღონისძიებების მაღალ დონეზე ჩასატარებლად.

თარიღი



**ვიქტორ სანეევი.** დაიბადა 03.10.1945, სოხუმი. მძლეოსნობა, სამხტომი. სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი (1968, მეხიკო - 17,39 მ; 1972, მიუნხენი - 17,35 მ; 1976, მონრეალი - 17,29 მ) და მეორე პრიზიორი (1980, მოსკოვი - 17,24 მ), ევროპის ზამთრისა და ზაფხულის ჩემპიონატებში რვაგზის გამარჯვებული (1969-72, 74-77) და ორგზის მეორე პრიზიორი (1971, 78), სსრკ ექსგზის ჩემპიონი (1968-71, 73-74, 78) და მეორე პრიზიორი (1967), სსრკ ხალხთა V (1971) და VI (1975) სპარტაკიადების ჩემპიონი, ევროპის თასის ოთხგზის მფლობელი (1970, 73-75), მსოფლიოს უნივერსიადის ჩემპიონი (1971), სამგზის მსოფლიო რეკორდსმენი (1968 - 17,23 და 17,39 მ; 1972 - 17,44 მ). საუკეთესო პირადი შედეგი - 17,44 მ. საქართველოს სამგზის წლის საუკეთესო სპორტსმენი (1968, 72, 76). საქართველოს XX საუკუნის საუკეთესო სპორტსმენი (ოქროს პრიზი). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი. სოკის, ღირსების, ვახტანგ გორგასლის I და II ხარისხის ორდენების კავალერი. 1992 წლიდან ცხოვრობს ავსტრალიაში და არის ამ ქვეყნის მოქალაქე. სიდნეის ოლიმპიადაზე (2000) იყო საქართველოს ოლიმპიური ატაშე.

სამბო

საქართველოს ჩემპიონატი

# 13 ახალი ჩემპიონი

ლევან თედიაშვილის სახელობის დილმის საჭიდაო კომპლექსში დასრულდა საქართველოს პირველობა 1992-94 წლებში დაბადებულ სამბისტთა შორის. მიუხედავად იმისა, რომ სამბოს ფედერაციამ შეჯიბრების დებულება კარგა ხნით ადრე დაურიგა ყველა რეგიონს, უცნობი მიზეზების გამო, რამდენიმე წამყვანი რეგიონის წარმომადგენლები მაინც არ ჩამოსულან თბილისში. მაგალითად, საქართველოს პირველობამ ისეთი რაიონების გარეშე ჩაიარა, როგორებიცაა გორი, ხაშური, ქარელი, რუსთავი, ახმეტა, გურჯაანი, საგარეჯო და დედოფლისწყარო. შესაბამისად, ჩემპიონატზე ნავარაუდევი 350-ის ნაცვლად, მხოლოდ ასამდე მონაწილემ მოიყარა თავი.

წონითი კატეგორიის მიხედვით, ქვეყნის ჩემპიონები გახდნენ: **ოთარ გაბუნია** (38 კგ, ვანი), **ბექა დიაკონიძე** (40, ვანი), **ლაშა კვირიკაშვილი** (42, წყალტუბო), **ალეკო გოგლიჩიძე** (45, ქუთაისი), **ირაკლი მახაშვილი** (48, ვანი), **დათო კანკაძე** (51, ვანი), **ბექა ტულუში** (55, ფოთი), **ბექა ჟამურელი** (59, მცხეთა), **დავით კვაშილავა** (63, ზუგდიდი), **გურამ არახამია** (68, ზუგდიდი), **გიორგი გულიაშვილი** (73, კასპი), **ბექა ბენიძე** (79, ქუთაისი) და **კობა ეგუტიძე** (+79, ქუთაისი)

**კობა ხატისაშვილი**

## დღეს, სანეევის პრიზზე

დღეს, 3 ოქტომბერს, ვიქტორ სანეევის დაბადების დღესთან დაკავშირებით, ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე გაიმართება მძლეოსანთა ტრადიციული შეჯიბრება, "სანეევის პრიზზე".

დასაწყისი 11 საათზე.

## მილოცვა

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი და საქართველოს ოლიმპიელთა დიდი ოჯახი, დაბადების დღეს ულოცავენ ლეგენდარულ მძლეოსანს, სამხტომში სამგზის (1968, 1972, 1976) ოლიმპიურ ჩემპიონს და ვერცხლის პრიზიორს (1980), საქართველოს XX საუკუნის საუკეთესო სპორტსმენს, სეოკ-ის, ვახტანგ გორგასლის I და II ხარისხისა და ღირსების ორდენების კავალერს ვიქტორ სანეევს. უსურვებენ მას მტკიცე ჯანმრთელობას, კეთილდღეობას და ხანგრძლივ სიცოცხლეს.

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ბიბლიოთეკა

**რაგბი** — ინტერვიუ მალხაზ ჭეიშვილთან

# ირლანდიასთან ვერ ვირწმუნეთ, ფრანგებთან არ გავრისკეთ

საქართველოს ნაკრების ერთი ნაწილი - მწვრთნელები და რამდენიმე მორაგბე გუშინ დაბრუნდა სამშობლოში. ცხადია, ჩვენი გუნდის თამაშის შეფასება უწინარესად ნაკრების მწვრთნელისგან, მალხაზ ჭეიშვილისგან გვაინტერესებდა.




- მსოფლიო თასის გათამაშება უდიდესი სარაგბო ფორუმია, რომელსაც ძალიან სპეციფიკური ფსიქოლოგიური დატვირთვა აქვს. პირველ შეხვედრაში არგენტინის ნაკრებთან შესანიშნავი იყო პირველი ტაიმი. თამაშის წინ ანრი ბრონკანთან ერთად საფრანგეთისა და არგენტინის თამაშის ვიდეოანალიზი გავაკეთეთ. ძალიან კარგად ჩანდა, რომ არგენტინელები ყველა ღონეს ხმარობდნენ, რათა თამაში მიწაზე, რაკში გადაეტანათ. ისინი თითქმის ჯარიმის ზღვარზე თამაშობდნენ. პირველ ტაიმში ჩვენ შევძელით მათი თამაშის ამ მანერის განეიტრალება. მეორე ნახევარში კი, ისევე როგორც მერე, ირლანდიასთან მატჩში, ბოლომდე არ გვჯეროდა რომ წარმატების მიღწევა შესაძლებელი იყო, თითქმის ყველა კომპონენტში დავთმეთ თამაში.

**- მეორე ნახევარში დავით ზერაქაშვილის მოედნიდან გასვლის შემდეგ ჩვენმა შერკინებამ მეტოქესთან ვერაფერი გააწყო...**

- ამას გარდა, არგენტინელებმა დერეფანშიც საკმაოდ შეგვიშალეს ხელი. თანაც, ისინი ბევრად უფრო გამოცდილი და კლასიანი მოთამაშეები არიან. 10 ნომერი ხუან მარტინ ერნანდესი, შუამარბი ფელიპე კონტეპომი და ფულბეკი იგნასიო კორლეტო მსოფლიო რანგის მორაგბეები არიან და ნებისმიერ გუნდთან შეუძლიათ თამაშის ბედის გადაწყვეტა.

**- შემდეგი თამაში ირლანდიასთან. საუკეთესო მსოფლიო თასზე...**

- არგენტინასთან მატჩის შემდეგ მოსამზადებლად ოთხი დღე გვქონდა დარჩენილი, თუმცა ამ შეხვედრაში, გუნდის შემადგენლობა წინასწარვე იყო ცნობილი. მორაგბეებს ადრევე გამოვუცხადეთ, რა შემადგენლობით ვითამაშებდით არგენტინასთან და რა შემადგენლობით - ირლანდიასთან.

ეს იყო ძალიან ემოციური თამაში. მთელი სტადიონი ჩვენ გვქომაგობდა. ბიჭებმა ბრწყინვალედ გაართვეს თავი ამოცანას. თამაშის მიმდინარეობით თუ ვიმსჯელებთ, გამარჯვებაც შეიძლებოდა. ამას ძალიან გვიან მივხვდით და უბრალოდ დრო აღარ გვეყო. საბედისწერო შეცდომები დავუშვით დერეფანში თამაშისას, დაირღვა კომუნიკაცია, კვაჭმა ვერ გააგებინა, ვისზე უნდა აეგდო ბურთი.

სხვა მხრივ მორაგბეებს ვერაფერს ვუსაყვედურებ. სხვა თამაშში ვერ ვიხსენებ, ირლანდია თავისი ნახევრიდან 15 წუთის მანძილზე ვერ გამოსულიყოს. ასეთი რამ ზელანდიის წინააღმდეგაც არ მოსდით. არადა, ჩვენ წინააღმდეგ სათამაშოდ უძლიერესი შემადგენლობით გამოვიდნენ, რაც ჩვენთვის ძალიან დიდი პატივია.

რაც თამაშის შემდეგ ხდებოდა, ამის ენით აღწერა შეუძლებელია. ეს თავად უნდა გეხილათ და განგეცადათ. გამარჯვებული გუნდი მოედნიდან გავიდა და მაყურებელი ოვაციას დამარცხებულს უმართავდა. რა თქმა უნდა, ეს ჩვენი საუკეთესო თამაში იყო ამ მსოფლიო თასზე.

**- რატომ ვერ აჩვენა თამაშის იგივე ხარისხი ჩვენმა გუნდმა ნამიბიასთან მოგებულ მატჩში?**

- ნამიბიასთან თამაში ისეთი იყო, ვისაც უფრო მტკიცე ნერვები ჰქონდა, ის მოიგებდა. წინა ორი თამაშის შემდეგ ჩვენ ვირწმუნეთ ჩვენი ძალები და ნამიბიასთან გამარჯვება სრულიად ლოგიკური იყო. თავად განსაჯეთ, ჩვენი დონის გუნდების შეხვედრებში 30-ქულიანი სხვაობა არ დაფიქსირებულა. ნამიბიელებს შანსიც კი არ მივეცით, გამარჯვებაზე რომ ეფიქრათ. შერკინებაში სპეციალურად დავაყენეთ ხუთი მხტომელი. ფეხით ბურთი მუდმივად მათ მოედანში გადაგვქონდა და ბრძოლას იქ ვუმართავდით. შედეგად, შეცდომები დავაშვებინეთ, რაც მაქსიმალურად გამოვიყენეთ კიდეც. სრულიად კონკრეტული ამოცანა გვქონდა და შევასრულეთ კიდეც.

**- ბოლო შეხვედრაში საფრანგეთის ნაკრებთან თამაში ჩვენი გუნდის აქტივში ვერაფრით ჩაიწერება.**

- ფრანგებთან თამაშის წინ ბევრი ტრავმირებული გვყავდა. ლაბაძე ავად იყო, გორგოძეს მუხლი აწუხებდა, მაჩხანელს კუნთი ჰქონდა დაჭიმული. ყველა მათგანს ცალცალკე ვესაუბრე, გარისკვად ნამდვილად არ ღირდა . საფრანგეთთან თამაშს ნამდვილად არ ჰქონდა ისეთი მნიშვნელობა, რომ ამ მოთამაშეების ჯანმრთელობა გაგვერისკა. თანაც რაგბის მსოფლიო თასის გათამაშება ზეიმია და ჩვენი პრინციპი იყო, ამ ზეიმში ყველას მიეღო მონაწილეობა. პრაგმატული თვალსაზრისით შესაძლოა ეს სწორი არაა, წესით, ყოველთვის იმან უნდა ითამაშოს, ვინც უფრო ძლიერია, მაგრამ მიგვაჩნია, რომ ადამიანურად ეს გამართლებულია.

**- რა წვლილი მიუძღვით ჩვენი გუნდის ასეთ წარმატებულ თამაშში ფრანგებს, კონსულტანტ ანრი ბრონკანს და ფიზმომზადების მწვრთნელ ნიკოლა ფულკიეს?**

- ანრი ბრონკანი საფრანგეთში ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელია. ის უნიკალური ადამიანია. თავმდაბალი, ფუსფუსა მწვრთნელი, მოთამაშეებთან მამაშვილური დამოკიდებულება აქვს. მისი ეს აურა ძალიან კარგად მოქმედებდა ჩვენს ბიჭებზე. მისგან ძალიან ბევრი რამ ვისწავლეთ და ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ ის მსოფლიოს თასზე ჩვენი გუნდის კონსულტანტი იყო.

ნიკოლა ფულკიე კი ცალკე საუბრის თემაა. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ გუნდი ფიზიკურად ბრწყინვალედ იყო მომზადებული და ეს რაგბის არაერთმა სპეციალისტმა თუ მედიაგამოცემამ აღნიშნა. მან ძალიან ნაყოფიერად იმუშავა და ცხადია, მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის.

**- ცხადია, ჩვენი გუნდის თამაშში ნაკლოვანებებიც საკმარისი იყო. ახლა როცა მსოფლიოს თასის ჩვენი გუნდისთვის განვლილი ეტაპია, როგორ გესახებათ მომავალი?**

- შეცდომები რა თქმა უნდა იყო. ისინი სამომავლოდ აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ. ამ დღეებში გვექნება შეხვედრა რაგბის კავშირის ხელმძღვანელებთან, ვნახოთ როგორი გადაწყვეტილებას მიიღებენ. მე ჩემი ხედვა მაქვს ნაკრების შემდეგ წინსვლაზე. ვფიქრობ, აუცილებელია საკონტრაქტო სისტემის შემოღება, სადაც მარტო ფინანსური პირობები არ იქნება მთავარი, არამედ პასუხისმგებლობაც, რომელსაც მორაგბეებიც და მწვრთნელებიც გაიზიარებენ. საჭიროა, შედგეს ოთხწლიანი სამოქმედო გეგმა და ეს გეგმა უნდა შესრულდეს კიდეც.

საფრანგეთში ჩვენი რაგბისთვის ძალიან კარგი რამ მოხდა. მსოფლიო თასის გათამაშება სულ სხვა სამყაროა. 600 მამაკაცი ერთმანეთს ეჯიბრება, ვის უფრო უყვარს რაგბი, ვინ უფრო მეტადაა თავდადებული. მარტო ის რად ღირს, ეროვნულ ჰიმნზე რომ დგანან და თვალზე ცრემლი მოსდით. უდიდესი, უბრწყინვალესი ემოციაა. ნეტავ, ეს შეჯიბრება ყოველ წელიწადს იმართებოდეს.

იმას რაც ჩვენ საფრანგეთში მივაღწიეთ, მხარდაჭერა, განვითარება სჭირდება. როგორც ჩემთვის ცნობილია, სახელმწიფოც დაგვეხმარება რაგბის განვითარების საქმეში. საჭიროა ამ გეგმების ბოლომდე მიყვანა.

**ბესიკ ჯანგავაძე**



# ელოშვილი მკაცრად დასაჯეს

საქართველოს ნაკრების მორაგბე **ოთარ ელოშვილი** IRB-ს პარიზის სადისციპლინო პანელმა მკაცრად დასაჯა - საფრანგეთის ნაკრებთან უხეშობისთვის. მარსელში, მატჩის მიწურულს, როდესაც მსაჯს უკვე შეჩერებული ჰქონდა თამაში, ელოშვილმა ფრანგთა ფლანკერი **რემი მარტინი** აიტაცა და თავით დაახეთქა მიწაზე. ელოშვილი გამოტოვებს ერთა თასის მატჩს პორტუგალიის ნაკრების წინააღმდეგ, აგრეთვე ხუთ საკლუბო შეხვედრას. სადისციპლინო პანელის წევრმა **ჟანი ლუბმა** განაცხადა, რომ ელოშვილს 10-კვირიანი სასჯელი იმიტომ არ მისცეს, რომ ის ადრე მსგავს საქციელში არ ყოფილა შემჩნეული და მატჩის შემდეგ მან დაზარალებულს მოუბოდიშა, ჩადენილიც ინანა. ელოშვილი ფრანგულ კლუბ "არასში" თამაშობს.


## გეპატიჟებით!

შაბათს და კვირას, 6 და 7 ოქტომბერს, 21.00 საათზე, LIVE BAR-ი გთავაზობთ RUGBY SHOW-ს დონ ედოსთან ერთად. გელით სპორტის სხვადასხვა სახეობის პირდაპირი რეპორტაჟები, უახლესი ინფორმაციები, ვიქტორინა, პრიზები და უამრავი სიურპრიზი ენერგიული მუსიკის ფონზე. აქვე იგემეთ ქართული და ევროპული სამზარეულო.

*მისამართი: კოსტავას ქ. №23*

**საინფორმაციო მხარდამჭერი გაზეთი ლელო**

ფორმულა 1

## რალფი ტოიოტადან მიდის

გერმანელმა პილოტმა **რალფ შუმახერმა**, ამ სეზონის შემდეგ "ტოიოტას" რიგების დატოვება გადაწყვიტა. შეგახსენებთ, რომ ავტომრბოლი იაპონურ საჯინიბოში 2005 წელს "უილიამსიდან" გადავიდა და სამი სეზონის განმავლობაში, მხოლოდ სამჯერ მოახერხა პოდიუმზე ასვლა.

*"ტოიოტაში" დიდი იმედებით მოვედი. თავის დროზე, ეს კონტრაქტი ჩემთვის გამოწვევასავით იყო, რადგან ახალ მანქანასთან მუშაობის შესაძლებლობა მომეცა. გარდა ამისა, ძალიან მომწონდა იაპონური ცხოვრების წესი. მაგრამ ახლა სხვა გზა არ მაქვს - გუნდიდან უნდა წავიდე, რადგან ეს წლები, ამაოდ ველოდი კონკურენტუნარიანი ბოლიდის მიღებას",* - აცხადებს უმცროსი შუმახერი.

*"უახლოესი რამდენიმე კვირის განმავლობაში ინტენსიური შეხვედრები და მოლაპარაკებები მელის. ახალი გუნდის ძიებისას, ნაკლებ მნიშვნელობას მივანიჭებ ფინანსურ მხარეს. ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანი მომავალი წარმატებებია",* - დაამატა რალფმა.

ჰოკეი

## ახალი სეზონი პრაღაში დაიწყება?

როგორც ცნობილია, ჰოკეის ეროვნული ლიგის წლევანდელი სეზონი ბრიტანეთის დედაქალაქ ლონდონში დაიწყო, სადაც ორი მატჩი გამართეს სტენლის თასის მფლობელმა "ანაჰაიმ დაქსმა" და "ლოს ანჯელეს კინგზმა" (4:1, 1:4).

სააგენტო "როიტერის" ცნობით, რეგულარული ჩემპიონატის ევროპაში დაწყება, შესაძლოა ტრადიციად იქცეს. ცნობილი ხდება, რომ გაისად სეზონი ჩეხეთის დედაქალაქ პრაღაში გაიხსნება, სადაც ასევე ორ მატჩს ჩაატარებენ "პიტსბურგ პინგვინზი" და "ტამპა ბეი ლაითნიგი".

თუმცა ჯერ ეს ინფორმაცია არც NHL-სა და არც ზემოთაღნიშნულ კლუბებს არ დაუდასტურებიათ.

## ედმონტონმა მომავალი ვარსკვლავი გაიფორმა

რუსეთისა და კანადის ახალგაზრდულ ნაკრებებს შორის, ცოტა ხნის წინათ დასრულებული 8-მატჩიანი სუპერსერიის საუკეთესო მოთამაშემ, 18 წლის კანადელმა ფორვარდმა **სემ განიემ** "ედმონტონ ოილერზთან" სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

სუპერსერიის რვა მატჩში, ამ ჰოკეისტმა ექვსი შაიბა გაიტანა და ცხრა შედეგიანი გადაცემა შეასრულა.

"ედმონტონმა" განიე 2007 წლის დრაფტის მეშვიდე ნომრად აირჩია.

*"ეს უდიდესი ბედნიერებაა, რადგან მსოფლიოს საუკეთესო ლიგაში თამაშის საშუალება მომეცა. კონტრაქტის გაფორმება ჩემთვის განსაკუთრებული მოვლენაა, რადგან თავის დროზე, NHL-ში მამაჩემი თამაშობდა",* - განაცხადა განიემ.

კალათბურთი

## გოლდენ სტეიტმა პიეტრუსი დაიტოვა

"გოლდენ სტეიტ უორიორზმა" კონტრაქტი გაახანგრძლივა ფრანგ ლეგიონერ **მიკაელ პიეტრუსთან**.

გასულ სეზონში, 25 წლის ფორვარდმა 72-ჯერ დაიცვა "მეომრების" ღირსება და საშუალოდ მატჩში 11.1 ქულას აგროვებდა.

## ამარეს ოპერაცია გაიკეთა

არცთუ ისე სასიამოვნო ინფორმაცია შეიტყვეს "ფინიქს სანზის" გულშემატკივრებმა. გუშინ, ამ გუნდის ერთ-ერთმა ლიდერმა, **ამარე სტაუდმაიერმა** მუხლის ოპერაცია გაიკეთა, რის გამოც, დაახლოებით 3 კვირა ვერ შეძლებს ვარჯიშს.

კლუბის ექიმები იმედოვნებენ, რომ ცენტრალური თავდამსხმელი რეგულარული ჩემპიონატის სტარტისთვის მწყობრში იქნება.

## მუტომბო ერთი წლით რჩება

"ჰიუსტონ როკეტსის" უბერებელმა ცენტრმა **დიკემბე მუტომბომ** კალათბურთიდან წასვლა გადაიფიქრა და ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში კიდევ ერთ სეზონს ჩაატარებს.

ნიგერიელმა კალათბურთელმა უკვე გააფორმა კონტრაქტი "როკეტსთან" და მისთვის დამდეგი სეზონი მე-16 იქნება NBA-ში.

*"მინდა მოედანზე გატარებული ყოველი წამის გამო სიამოვნება მივიღო, რადგან ეს NBA-ში ჩემი ბოლო სეზონი იქნება",* - განაცხადა მუტომბომ.

## ბულგარეთს გერშონი გაწვრთნის

ბულგარეთის ნაკრები სერიოზულად ემზადება ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირისთვის. ამ გუნდს სათავეში ჩაუდგა ცნობილი სპეციალისტი **პინი გერშონი**, რომელსაც საკლუბო დონეზე დიდი მიღწევები გააჩნია.

გარდა ამისა, ირკვევა, რომ საბერძნეთის "ოლიმპიაკოსის" ამერიკელი ლეგიონერებიდან ერთ-ერთი - **კინტელ ვუდსი ან ლინ გრირი,** სულ მალე ბულგარეთის მოქალაქეობას მიიღებს და ამ ქვეყნის ნაკრების ღირსებას დაიცავს. შეგახსენებთ, რომ გრირი ამ ზაფხულს "მილუოკი ბაქსიდან" გადავიდა ბერძნულ კლუბში.

ჭადრაკი

## ანანდი რეიტინგის ლიდერია

მექსიკაში გამართული მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ, ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციამ ვაჟ დიდოსტატთა მორიგი რეიტინგი გამოაქვეყნა, რომლის მიხედვითაც, ახალმა მსოფლიო ჩემპიონმა, ინდოელმა **ვიშვანათან ანანდმა** თავის კარიერაში პირველად გადააბიჯა 2800-იან ზღვარს.

1 ოქტომბრისთვის, ვაჟ მოჭადრაკეთა საუკეთესო ათეული ასე გამოიყურება:

1. ანანდი (ინდოეთი) - 2801; 2. **ივანჩუკი** (უკრაინა) - 2787; 3. **კრამნიკი** (რუსეთი) - 2785; 4. **ტოპალოვი** (ბულგარეთი) - 2769; 5. **ლეკო** (უნგრეთი) - 2755; 6. **მოროზევიჩი** (რუსეთი) - 2755; 7. **მამედიაროვი** (აზერბაიჯანი) - 2752; 8. **რაჯაბოვი** (აზერბაიჯანი) - 2742; 9. **არონიანი** (სომხეთი) - 2741; 10. **შიროვი** (ესპანეთი) - 2739.

მძლეოსნობა

## ლეგენდა გარდაიცვალა

ორშაბათს, 71 წლის ასაკში გარდაიცვალა მძლეოსნობის ისტორიაში ერთ-ერთი გამორჩეული ათლეტი, ამერიკელი **ელ ორტერი**. ბადროს ტყორცნაში მან ზედიზედ ოთხ ოლიმპიადაზე (1956, 1960, 1964, 1968) შეძლო ოქროს მედლის მოპოვება. მსგავსი შედეგი, მოგვიანებით კიდევ ერთ ლეგენდარულ ამერიკელს, **კარლ ლუისს** ჰქონდა, მაგრამ ორტერის მიღწევა უფრო შთამბეჭდავია, ვინაიდან მან ოთხივე ოლიმპიადა მსოფლიო რეკორდით მოიგო.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ ორტერი იშვიათად გამოდიოდა საერთაშორისო ტურნირებზე, მაგრამ ოლიმპიადაზე გააღწევდა და იქ აუცილებლად გამარჯვებული რჩებოდა. სპეციალისტებს დღემდე ვერ აუხსნიათ ამ მძლეოსნის ფენომენი, რომელიც საჭირო მომენტში ახერხებდა ყველას დაჯაბვნას.



ფორმულა 1. ინტერვიუ ფერნანდო ალონსოსთან

# ბოლომდე ვიბრძოლებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ესპანელი ფერნანდო ალონსოს ოცნება, ზედიზედ მესამედ მოეპოვებინა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული, იაპონიის გრან-პრის 42-ე წრეზე დაიმსხვრა. თუმცა "მაკლარენის" პილოტი თანაგუნდელ ლუის ჰემილტონთან 12-ქულიანი ჩამორჩენის მიუხედავად, იმედს არ კარგავს და სასწაულის მოლოდინშია. "გაიხსენეთ, შარშანაც ანალოგიური სიტუაცია იყო, მაგრამ მაინც შევძელი მიხაელ შუმახერის უკან ჩამოტოვება", - ამბობს ესპანელი.**

**აქ მოყვანილი ინტერვიუ ორნაწილიანია - ის იაპონიის გრან-პრის წინ და რბოლის შემდეგ არის აღებული.**

### რბოლამდე

**- რა განწყობით ჩამოხვედით იაპონიაში?**

- აქაური ტრასა ჩემთვის უცხოა, მაგრამ მსგავს მდგომარეობაში მარტო მე არ ვიმყოფები. 2006 წელს, "ფუძის" ტრასაზე რამდენიმე სადემონსტრაციო წრე გავიარე და ძალიან მომეწონა. ოთხშაბათს, მთელი დისტანცია ფეხით დავფარე. როგორც წესი, ეს მეხმარება უკეთ გავიგო, რა მელის ასპარეზობის დროს.

**- ყველა იმ პრობლემის გათვალისწინებით, რაც ბოლო პერიოდში შეგემთხვათ, როგორ ახერხებთ სათანადო დონეზე კონცენტრირებას?**

- ფორმულა 1-ში ყველანი პროფესიონალები ვართ და მსგავს პრობლემებს მუდმივად ვაწყდებით. მაგრამ, როცა ჩაფხუტს ვიხურავ, მოსალოდნელი ბრძოლის შეგრძნებისგან იმდენად დიდ სიამოვნებას ვიღებ, რომ ყველა პრობლემა უკანა პლანზე გადადის.

**- რა ელის ფერნანდო ალონსოს 2008 წელს? თქვენს გარშემო უამრავი ჭორი დადის: თითქოს "რენოში" აპირებთ დაბრუნებას, სხვები "ფერარიში" გადასვლას გიწინასწარმეტყველებენ... იმასაც ამბობენ, რომ პაუზის აღებას აპირებთ, რადგან "ფერარიში" ადგილები დაკავებულია, ხოლო "რენოს" კი, კონკურენტუნარიანი ბოლიდი არ ჰყავს. თავად რა შეგიძლიათ ამასთან დაკავშირებით უთხრათ გულშემატკივრებს?**

- ვიცი, რომ ასეთი ჭორები მართლაც არსებობს, ჩემი გუნდის წევრებიც კი მარჩიელობენ ჩემს მომავალზე. მე კი, დანამდვილებით მხოლოდ ის შემიძლია გითხრათ, რომ "მაკლარენთან" მოქმედი კონტრაქტი მაკავშირებს და მომავალ წელს ჩემპიონატში აუცილებლად მივიღებ მონაწილეობას.

**- ამდენი მითქმა-მოთქმა ჩემპიონობისთვის ბრძოლაში ხელს არ გიშლით?**

- მთელი ჩემი ყურადღება მსოფლიო ჩემპიონატისკენ არის მიპყრობილი და არ ვაპირებ ყოველ ხუთ წუთში მომავალ გეგმებზე საუბარს.

**- როცა დილით სარკეში იყურებით, იქ 2007 წლის ტრიუმფატორს ხედავთ?**

- რა თქმა უნდა, ჩემპიონობაზე ხშირად ვფიქრობ, მაგრამ ტიტულის შენარჩუნება ძალიან ძნელი იქნება. წინ ურთულესი ბრძოლა მელის. ვფიქრობ, ამ ეტაპზე ოთხ პილოტს აქვს ჩემპიონატის მოგების შანსი და ბოლო მომენტამდე, ბედის სასწორი ხან ერთ, ხან მეორე მხარეს გადაიხრება.

**- შეგიძლიათ აგვიხსნათ, რაში გამოიხატება ლუის ჰემილტონზე თქვენი უპირატესობა?**

- ეს ძალიან რთული კითხვაა. ამაზე ვერ გიპასუხებთ. თუ ყველა დარჩენილ რბოლას პრიზიორებს შორის დავასრულებ, ჩემპიონატის მოგების შესაძლებლობა მექნება. მთავარია, ავარიები და ტექნიკური წუნი ავიცილო თავიდან. თუ ეს მოხდა, მაშინ, საუბედუროდ, ტიტულზე ოცნებას უნდა გამოვეთხოვო.

**- მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ "ფერარი" ვადაზე ადრე გამოცხადდა კონსტრუქტორთა თასის მფლობელად, თქვენ ჰემილტონთან ალარაფერი გაკავშირებთ. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ თქვენი დაპირისპირება კიდევ უფრო გამძაფრდება?**

- ყველაფერი ისევე დარჩა, როგორც ადრე იყო.

**- ჰემილტონი იმაში გადანაშაულებთ, რომ ბელგიის "სპაზე" ის კინაღამ ავარიაში ჩაითრიეთ. თანაც, ბრიტანელი იქვე ამატებს, რომ შურისძიებას არ აპირებს...**

- დღეს ეს ყველაფერი არც ისე მნიშვნელოვანია. "სპა" უკვე წარსულს ჩაბარდა და უმჯობესია, მომავალ უიქ ენდზე ვისაუბროთ.

**- ნიკი ლაუდა აცხადებს, რომ ჰემილტონი პირველივე ხელსაყრელ მომენტში ეცდება "სპას" ეპიზოდი გაგახსენოთ. რას ფიქრობთ ამაზე?**

- ჩვენ ხომ მაშინ არ შევჯახებივართ ერთმანეთს. საერთოდ არ მჯერა, რომ მომავალ ეტაპებზე ერთმანეთში ურთიერთობის გარკვევით ვიქნებით დაკავებულნი. ჩვენ ხომ ინტელიგენტი ადამიანები ვართ. იმ სიტუაციაში ვცდილობდი, მასთან შეჯახებისთვის თავი ამერიდებინა.

**- მაგრამ მოახლოებულ ჰემილტონსაც ხომ კარგად ხედავდით?**

- დიახ, მაგრამ მეგონა, რომ ის სიჩქარეს მოუკლებდა. თუმცა ჩემმა თანაგუნდელმა გადაწყვიტა, ტრასის მიღმა ასფალტი გამოეყენებინა და სიჩქარეს უმატა. მეგონა, რომ ადრე თუ გვიან ის შეანელებდა სვლას და მოსახვევში წინ გამიშვებდა. ამიტომაც არ დავაგდე სიჩქარე. ვიცი, რომ ტელევიზორში ყველაფერი სხვაგვარად მოჩანდა, მაგრამ როცა კოკპიტში ზიხარ, იქ სავსებით განსხვავებული სამყაროა.

**- რისკით აღსავსე სამყარო?**

- მე ლოგიკის მიხედვით ვმოქმედებდი. ჰემილტონის ადგილზე, ნებისმიერი პილოტი აუცილებლად შეანელებდა სვლას.

**- რა უფრო რთულია, თანაგუნდელთან თუ სხვა გუნდის წევრთან ბრძოლა?**

- ეს სრულიად განსხვავებული ცნებებია. ადრე, როცა ტიტულისთვის მარტო ვიბრძოდი, ყოველთვის ვიგონებდი რაღაც ტრიუკებს, რომელსაც შემდეგ ტრასაზე ვიყენებდი. ახლა კი, იძულებული ვარ, ჩემი მიგნებები სხვასაც გავუზიარო, რაც ჩემს მდგომარეობას ართულებს.

**- "ფერარის" პილოტებიდან ვინ უფრო სახიფათოა - რაიკონენი თუ მასა?**

- ორივე სწრაფები არიან და ორივეს დამარცხება ძალიან რთულია. მაგრამ მაინც ვეცდები ამის გაკეთებას, სხვანაირად ტიტულს ვერ შევინარჩუნებ.

**- არ გეჩვენებათ, რომ სწრაფ ტრასებზე "მაკლარენს" "ფერარიზე" უპირატესობა გააჩნია?**

- რა თქმა უნდა, მეც ამის იმედი მაქვს, მაგრამ ამაში ბოლომდე დარწმუნებული არ ვარ. ბევრი რამ ბალანსსა და ტრასის სიგრძეზეა დამოკიდებული.

**- ლაუდა თვლის, რომ "ფუძიზე" თქვენ ჰემილტონზე სწრაფი იქნებით, რადგან მონცადან დაწყებული, სულ უფრო და უფრო უმატებთ სისწრაფეს. ეთანხმებით ამას?**

- მართლაც, ყოველ ეტაპზე უფრო უკეთესად გამოვდივარ. ყველაზე დიდი ნაბიჯი წინ საფრანგეთისა და ამერიკის ეტაპების შემდეგ გადავდგი.

**- არსებობს ჭორები იმის შესახებ, რომ თქვენ და ჰემილტონი ერთმანეთს არ ელაპარაკებით...**

- არასწორი ინფორმაცია გაქვთ. რბოლების წინ, მართლა არ გვაქვს ურთიერთობა, რადგან ვერ ვხედავთ ერთმანეთს. რაც შეეხება სხვა პერიოდებს, მერწმუნეთ, ჩვენს შორის კონტაქტი არსებობს.

**- ჰემილტონი აცხადებს, რომ არაფრად აგდებთ იმ გუნდის ინტერესებს, რომელმაც შეგიკედლათ. ბრიტანელის სიტყვებით, მას უბრძანეს ყველაფერი ისე გაეკეთებინა, რომ ალონსოს მაქსიმალურად კომფორტულად ეგრძნო თავი. თქვენ კი, პარიზში ჯაშუშური სკანდალის განხილვაზეც კი არ ჩახვედით, თუმცა გუნდის ბოსებმა ამის შესახებ გთხოვეს.**

- ჩემთვის მთავარი რბოლების მოგებაა. დანარჩენი არ მაინტერესებს.

**- ჯაშუშობასთან დაკავშირებულ ისტორიაზე რას გვეტყვით?**

- ვერაფერს. ვცდილობ, ამ თემას არ შევეხო. ტრასაზე ძრავისა და საბურავების მდგომარეობას ვსწავლობ, ანუ ჩემს სამუშაოს ვასრულებ. ამ უსიამოვნო ისტორიაზე ბევრი ითქვა, მაგრამ განცხადებების უმეტესობა ტყუილი იყო. არ მინდა ყოველდღე ერთი და იგივეს მოყოლით დროის ხარჯვა.

### რბოლის შემდეგ

**- პირველად ამ სეზონში რბოლის დასრულება ვერ შეძელით. რა მოხდა "ფუძიზე"?**

- ვაღიარებ, რომ რბოლა ძალიან რთული გამოდგა. ბოქსებიდან გამოსვლის შემდეგ, უამრავი მანქანის გარემოცვაში აღმოვჩნდი. ყოველი მხრიდან წამოსული წყლის შხეფების გამო, ძნელი იყო რაიმეს გარჩევა. განსაკუთრებით სწორი მონაკვეთების გავლისას.

**- და ამ დროს, ახალგაზრდა ფეტელს დაეჯახეთ...**

- მე ის უკანა ხედვის სარკეში ვერ დავინახე და ამიტომაც გამიკვირდა, როცა ჩვენი ბოლიდები ერთმანეთს შეეჯახნენ. მივხვდი, რომ ჩემი მანქანა დაზიანებული იყო, მაგრამ მიხაროდა, რომ ბრძოლის გაგრძელება შემეძლო. მაგრამ, როცა მეხუთე ვირაჟზე დამუხრუჭება მომინია, წყლის გამო მოვცურდი.

**- და ეს მაშინ, როცა თქვენი ბოლიდის სიჩქარე საათში 240 კილომეტრი იყო...**

- საუბედუროდ, სწორედ იმ ადგილას იყო ბარიერი ტრასასთან ყველაზე ახლოს და ამიტომაც შეჯახება თავიდან ვერ ავიცილე.

**- თვლით, რომ ზედიზედ მესამედ ტიტულის მოპოვებაზე ოცნება წარსულს ჩაბარდა?**

- გასაგებია, რომ ჩემი სიტუაცია უკიდურესად დამძიმდა, მაგრამ ბოლომდე ვიბრძოლებ. ჩემმა წარსულმა კარიერამ არაერთხელ მიჩვენა - ცხოვრებაში ყველაფერია მოსალოდნელი.



რბოლის შემდეგ ალონსო ცუდ ხასიათზე იყო

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნიკლას ლიდსტრიომი

## NHL. სეზონის წინ. ცენტრალური დივიზიონი

# კანონზომიერება

### დეტროიტი

**2006-07-ის შედეგი:** 50 მოგება, 19 წაგება, 13 ფრე, I ადგილი აღმოსავლეთში

**თამაშის სტილი:** იდეალურად დაბალანსებული შემადგენლობით "დეტროიტი" უპრობლემოდ ცვლის ტაქტიკას და გამოკვეთილი თამაშის სტილი არ გააჩნია

**ძლიერი მხარე:** სპეცბრიგადები, გამოცდილება, ნიკლას ლიდსტრიომი

**სუსტი მხარე:** ლიდსტრიომის გარდა, დანარჩენი მცველები ინდივიდუალური მეურვეობისას ხშირად ცდებიან

**MVP:** ნიკლას ლიდსტრიომი

**ვერ გაამართლებს:** ტომას ჰოლმსტრიომი

**იმედი:** ნიკლას კრონვალი

საოცარია, მაგრამ თაობათა ცვლისა და არანორმალური სატრანსფერო მიდი-მოდის მიუხედავად, "დეტროიტი" ლიგაში ჯერაც ყველაზე სტაბილურ გუნდად რჩება. "რედ უინგზმა" უმტკივნეულოდ გადაიტანა **სტივ აიზერმანისა** და კიდევ რამდენიმე მეგავარსკვლავის წასვლა და დღესაც ჩემპიონობის ურეალურესი კანდიდატია. 37 წლის **ნიკლას ლიდსტრიომი** კი ფენომენალურ კარიერას აგრძელებს. ბევრის აზრით, უკვე **პოლ კოფისა** და **რეი ბურკზე** ძლიერი მცველი ასაკის მატებასთან ერთად, თავის პროდუქტიულობასაც ზრდის. ლიდსტრიომი წლეულსაც საუკეთესო მცველის პრიზისთვის იბრძოლებს, **ნიკლას კრონვალს** კი, ბევრი გუნდის მომავალ ვარსკვლავად მიიჩნევს.

### სენტ ლუისი

**2006-07-ის შედეგი:** 34 მოგება, 35 წაგება, 13 ფრე, X ადგილი აღმოსავლეთში

**თამაშის სტილი:** ნეიტრალურ ზონაში უამრავი "ხაფანგით" შეტევაში მასიური გადასვლა

**ძლიერი მხარე:** კონფერენციაში ერთ-ერთი უძლიერესი დაცვა, მენი ლეგასი და ჯეი მაკკი

**სუსტი მხარე:** პირველი სამეულის გარდა, შეტევაში თითქმის ვერავის გამოარჩევთ

**MVP:** მენი ლეგასი

**ვერ გაამართლებს:** დაგ უეიტი

**იმედი:** ერიკ ჯონსონი

მეკარე **მენი ლეგასმა** "დეტროიტსა" და "სენტ ლუისში", ბოლო ორ სეზონში ჯამში 60 თამაში მოიგო. მართალია, არასტაბილურია და ყვანჯით შაიბას თითქმის ვერ აკონტროლებს, მაგრამ აღმოსავლეთში ლეგასი მაინც ერთ-ერთ საუკეთესო მეკარედ რჩება. "სენტ ლუისმა" დაიმატა **პოლ კარია** და დაიბრუნა **კიტ ტკაჩუკი**. ახალგაზრდა **ლი სტემპნიაკთან** და მის კბილა **დევიდ ბეიქსთან** ერთად, ამ სამეულმა ბლომად ქულა უნდა დააგროვოს, თუმცა გუნდის ერთადერთი ხეირიანი ფლეიმეიქერი **დაგ უეიტი** (36 წლის) საკუთარი თავის აჩრდილიღაა და ამან "სენტ ლუისს" სერიოზული პრობლემები უნდა შეუქმნას. პლეიოფი თითქმის არარეალურია.

### ნეშვილი

**2006-07-ის შედეგი:** 51 მოგება, 23 წაგება, 4 ფრე, IV ადგილი აღმოსავლეთში

**თამაშის სტილი:** ერთი პასით შეტევაში გადასვლა და ამავე დროს მცველების მხრიდან საკუთარი დაცვითი რედუტების გადაკეტვა

**ძლიერი მხარე:** უსწრაფესი შეტევა (რომელიც წელს შარშანდელივით სწრაფი აღარ იქნება)

**სუსტი მხარე:** ვერავინ შეცვლის "ფილადელფიაში" წასულ კიმო ტიმონენს

**MVP:** ალექსანდრ რადულოვი

**ვერ გაამართლებს:** მარტინ გელინა

**იმედი:** ში უებერი

**კიმო ტიმონენი** "ფილადელფიაშია", რითაც გუნდს ყველაზე ქარიზმატული ფიგურა და ულაპარაკო ლიდერი მოაკლდა. ფანების საყვარელ მოთამაშედ ქცეული **მარეკ ჟიდლიცკი** რეგულარულს ზურგის მიკროტრავმით ხვდება და თუ იგი და 22 წლის **ში უებერი** სტაბილურად ვერ ითამაშებენ, "ნეშვილს" პლეიოფში გასვლა გაუჭირდება. დიდი კითხვის ნიშანი უნდა დავსვათ **მარტინ გელინასის** გასწვრივაც. ჩეკერების სამეულში გამოცდილ გელინასს **სტივ სალივანის** დამტვრევის მერე სოლიდური დრო მიეცემა, რაც 37 წლის მოთამაშისთვის გაუსაძლისი უნდა გახდეს. გუნდის მთავარი იმედი 21 წლის რუსი **ალექსანდრ რადულოვია**.

### ჩიკაგო

**2006-07-ის შედეგი:** 31 მოგება, 42 წაგება, 9 ფრე, XII ადგილი აღმოსავლეთში

**თამაშის სტილი:** პრესინგი პირველივე წუთიდან და სახიფათო კონტრშეტევები

**ძლიერი მხარე:** დაიწყოს ჩემპიონატი და ვნახოთ

**სუსტი მხარე:** ფიზიკურად გუნდი მთელს ლიგაში უსუსტესია. კარგი ჩეკერის არყოლა

**MVP:** მარტინ ჰავლატი

**ვერ გაამართლებს:** რობერტ ლანგი

**იმედი:** ჯონათან თოუზი

მიუხედავად იმისა, რომ მარტინ ჰავლატმა შარშანდელ რეგულარულში 26 შეხვედრა გამოტოვა, 25 გატანილი შაიბითა და 56 ქულით, იგი მაინც გუნდის საუკეთესო მოთამაშე იყო. ლიგის ყველაზე ახალგაზრდა გუნდი თავისი ლიდერის მაქსიმალურად დატვირთვას ეცდება, თუმცა გამოუცდელი "ჩიკაგო" პლეიოფისგან ჯერაც შორს იქნება. დიდი პრობლემაა დაცვა, სადაც **დანკან კიტისა** და **ბრენტ სიბრუკის** გარდა, ხეირიანი არავინაა. სასწრაფოდ უნდა მოუმატონ **ჯონათან თოუზმა** და **პატრიკ კეინმა**. ამ გუნდზე სხვას ვერაფერს გეტყვით.

### კოლამბუსი

**2006-07-ის შედეგი:** 33 მოგება, 42 წაგება, 7 ფრე, XI ადგილი აღმოსავლეთში

**თამაშის სტილი:** მაქსიმალური ყურადღება დაცვაზე და მინიმალური დანახარჯითა და ენერგიის დახარჯვით შეტევა

**ძლიერი მხარე:** მთავარი მწვრთნელი კენ ჰიჩკოკი

**სუსტი მხარე:** მეკარე, ცენტრფორვარდი (სერგეი ფიოდოროვი დაბერდა, მაიკლ პეკა ვარსკვლავი არასოდეს ყოფილა)

**MVP:** რიკ ნეში

**ვერ გაამართლებს:** სერგეი ფიოდოროვი

**იმედი:** ჟილბერ ბრიული

გუნდი მოუთმენლად ელის გამოჯანმრთელებული **ჟილბერ ბრიულის** ყინულზე გასვლას. შარშანდელი რეგულარული იმ მოთამაშისთვის, რომელიც ბევრმა წინასწარვე სუპერვარსკვლავად მონათლა, კოშმარად იქცა - 78 შეხვედრაში ჟილბერმა მხოლოდ 19 ქულა დააგროვა. წლეულს ამპლუაშეცვლილი ბრიული **რიკ ნეშთან** ერთად სამეულში დადგება, ხოლო უმრავლესობაში მის ბოლომდე დატვირთვას **კენ ჰიჩკოკი** ჯერ ვერ გარისკავს. სერგეი ფიოდოროვს ბოლო ორ სეზონში ჯამში ოდენ 30 ზუსტი გასროლა დაუგროვდა, თუმცა რუსი ვეტერანის თქმით, ამ სეზონში იგი "დეტროიტიდან" წამოსვლის შემდეგ, თავის საუკეთესო ჰოკეის აჩვენებს. საეჭვოა...

**ზურაბ თალაკვაძე**

# TV სპორტი

## 3 ოქტომბერი. ოთხშაბათი

### რუსთავი 2

22:40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. სელტიკი-მილანი (LIVE).
01:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტურის მიმოხილვა.
02:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ლივერპული-მარსელი.

### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. მანჩესტერი-რომა.
14:15 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ინტერი-ეინდჰოვენი.
16:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:25 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. დინამო-სპორტინგი.
18:20 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. შტუტგარტი-ბარსელონა.
20:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:30 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ცსკა-ფენერბაჰჩე.
22:25 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ON-LINE. ყველა მატჩის საუკეთესო მომენტები (LIVE).
00:45 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ლივერპული-მარსელი.
02:40 ზუსტი გათვლა.

### SPORT 1 (უკრაინა)

07:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-ფულჰემი.
08:50 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტურის მიმოხილვა.
10:15 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. დინამო-სპორტინგი.
12:02 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. შტუტგარტი-ბარსელონა.
13:52 ფეხბურთი. Barca TV.
13:59 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ლიონი-რეინჯერსი.
15:59 სპორტდოსიე. ბეისბოლი.
16:15 სპორტული ისტორია.
16:26 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. სტიაუა-არსენალი.
18:16 ფეხბურთი. Barca TV.
18:22 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. სევილია-სლავია.
20:12 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტურის მიმოხილვა.
21:35 სპორტკლუბი. ჩემპიონთა ლიგა.
22:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ვალენსია-ჩელსი (LIVE).
00:35 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ლივერპული-მარსელი.
02:25 სპორტდოსიე. ბეისბოლი.
03:00 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. კაროლინა-მონრეალი (LIVE).
05:35 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ლივორნო-ფიორენტინა.

### EUROSPORT

10:30 ექსტრემალური სპორტი.
11:00 მძლეოსნობა. ოქროს გრან-პრი. შანხაი. ჩინეთი.
12:00 ველოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. შტუტგარტი. გერმანია.
13:00 სპიდვეი. სლოვენიის გრან-პრი.
14:00 ფეხბურთი. უეფას თასი. I რაუნდი. პირველი მატჩები.
15:15 მულტისპორტი.
16:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. III დღე. შტუტგარტი. გერმანია (LIVE).
20:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
20:15 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. III დღე. შტუტგარტი. გერმანია (LIVE).
21:15 მულტისპორტი.
21:20 ცხენოსნობა. იტალია.
22:20 ცხენოსნობა. ახალი ამბები.
22:25 მულტისპორტი.
22:30 გოლფი. US PGA-ის ტური. Viking Classic. აშშ.
23:30 გოლფი. ევროტური. Seve Trophy.
00:00 გოლფი. ჩელენჯტური.
00:30 გოლფ-კლუბი.
00:35 აფროსნობა. როლექსის რეგატა. კოპენჰაგენი. დანია.
01:05 აფროსნობა. Trophee Clairefontaine. საფრანგეთი.
01:35 აფროსნობა. იახტ-კლუბი.
01:40 მულტისპორტი.
01:45 აფროსნობა. ესპანეთის ტური.
02:15 ფეხბურთი. უეფას თასი. I რაუნდი. პირველი მატჩები.

### EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
12:00 ფეხბურთი. უეფას თასი. I რაუნდი. I მატჩი. ლევერკუზენი-ლეირია.
12:45 ფეხბურთი. უეფას თასი. I რაუნდი. I მატჩი. ნიურნბერგი-რაპიდი (ბუქარესტი).
13:30 ფეხბურთი. უეფას თასი. I რაუნდი. I მატჩი. ანდერლეხტი-რაპიდი (ვენა).
14:15 ახალი ამბები.
16:00 გოლფი. ევროპის ჩემპიონატი. ამსტერდამი. ჰოლანდია.
17:00 ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული სეზონი.
18:30 ფეხბურთი. უეფას თასი. I რაუნდი. I მატჩი. ნიურნბერგი-რაპიდი (ბუქარესტი).
19:15 ფეხბურთი. უეფას თასი. I რაუნდი. I მატჩი. ლევერკუზენი-ლეირია.
20:00 ახალი ამბები.
20:30 ექსტრემალური სპორტი.
21:30 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. III დღე. შტუტგარტი. გერმანია (LIVE).
23:15 მულტისპორტი.
23:45 რესტლინგი.
01:15 ახალი ამბები.
01:30 მულტისპორტი.
02:00 ახალი ამბები.

# ცხელი ხაზი

## ფეხბურთი

### უეფას თასი

#### I რაუნდი. II მატჩი

| | |
|---|---|
| პანათინაიკოსი-არტმედია | 3:0 (2:1) |

### ინგლისი

#### ჩემპიონატი

| | |
|---|---|
| ბარნსლი-ბრისტოლი | 3:0 |
| ბერნლი-იფსვიჩი | 2:2 |
| ქოვენთრი-ბლეკპული | 3:1 |
| ჰალი-ჩარლტონი | 1:2 |
| ლესტერი-ვულვზი | 0:0 |
| ნორვიჩი-სკანთორპი | 0:0 |
| პლიმუტი-კრ. პალასი | 1:0 |
| პრესტონი-საუთჰემპტონი | 5:1 |
| შეფილდი-კარდიფი | 3:3 |
| უოტფორდი-უესლი | 2:1 |

#### I ლიგა

| | |
|---|---|
| ბორნმუთი-ბრაიტონი | 0:2 |
| როვერსი-საუთენდი | 1:1 |
| დონკასტერი-უოლსოლი | 2:3 |
| ჯილინგემი-ლეიტონი | 3:1 |
| ჰარტლპული-კარლაილი | 2:2 |
| ჰადერსფილდი-ნოტინგემი | 1:1 |
| მილუოლი-ნორთჰემპტონი | 2:0 |
| ოლდჰემი-ლიდსი | 0:1 |
| პორტ ვეილი-ჩელტენემი | 3:0 |
| სუონსი-სუინდონი | 2:1 |
| ტრანმერი-კრიუ | 1:1 |
| იეოვილი-ლუტონი | 0:0 |

#### II ლიგა

| | |
|---|---|
| დარლინგტონი-როჩდეილი | 1:1 |
| ბარნეტი-უიკომბი | 2:1 |
| ბრედფორდი-აკრინგტონი | 0:3 |
| ბრენტფორდი-დაგენჰემი | 2:3 |
| ბერი-ლინკოლნი | 1:1 |
| გრიმსბი-ჩესტერი | 1:2 |
| მაკლსფილდი-როტერჰემი | 1:1 |
| მენსფილდი-მილტონი | 1:2 |
| მორეკამბი-სტოკპორტი | 2:0 |
| ნოტსი-ჰერეფორდი | 2:3 |
| შრიუსბერი-პიტერბრო | 0:2 |
| რექსემი-ჩესტერფილდი | 0:4 |

#### კონფერენსი

| | |
|---|---|
| ალდერშოტი-ექსეტერი | 2:0 |
| ჰალიფაქსი-ბარტონი | 2:2 |
| ნორთვიჩი-კიდერმინსტერი | 1:1 |

### საფრანგეთი

#### II დივიზიონი

| | |
|---|---|
| ამიენი-მონპელიე | 1:1 |
| ბასტია-დიჟონი | 0:0 |
| ბრესტი-ტრუა | 0:0 |
| შატორუ-აიაჩო | 0:0 |
| კლერმონი-ბულონი | 0:0 |
| ჰავრი-ნიორი | 1:1 |
| რეიმსი-გინგამი | 3:2 |
| სედანი-ანჟერი | 2:2 |

### შოტლანდია

#### ლიგის თასი

| | |
|---|---|
| დანფერმლაინი-აირი | 1:0 |
| მორტონი-სტ. ჯონსტონი | 1:3 |

### შვედეთი

#### II დივიზიონი

| | |
|---|---|
| ნიკიოპინგი- ბუნკეფლო | 1:2 |
| იორგრიტე-ლანდსკრონა | 2:4 |

### ირლანდია

| | |
|---|---|
| ბრეი-შემროკი | 3:0 |

### პოლონეთი

#### ლიგის თასი

| | |
|---|---|
| ოდრა-პოლონია | 6:1 |
| ზაგლებე-ლეხი | 2:1 |
| კრაკოვია-ვიძევი | 3:2 |

## კალათბურთი

### მსოფლიო ჩემპიონატი

#### ქალები

| | |
|---|---|
| ლიტვა-თურქეთი | 67:61 |
| ჩეხეთი-ბელგია | 72:70 |
| ლატვია-გერმანია | 60:47 |

## ჰოკეი

### რუსეთი

| | |
|---|---|
| მეტალურგი (ნ)-მეტალურგი (მ) | 4:4 |
| ავანგარდი-ლადა | 4:1 |
| სიბირი-ტრაქტორი | 5:4 |
| სევერსტალი-აკ ბარსი | 3:0 |
| ვიტიაზი-ტორპედო | 6:1 |
| ლოკომოტივი-ნეფტეხიმიკი | 5:2 |
| სპარტაკი-ს. იულაევი | 0:4 |
| ამური-ცსკა | 1:3 |

### გერმანია

| | |
|---|---|
| მანჰაიმი-ინგოლშტადტი | 3:2 |

### სლოვაკეთი

| | |
|---|---|
| სლოვაკეთი (ახ)-პოპრადი | 3:5 |

### ფინეთი

| | |
|---|---|
| ჰპკ-იუვიასკიულა | 5:2 |

### ჩეხეთი

| | |
|---|---|
| ვიტკოვიცე-ტრშინეცი | 2:2 |

### შვეიცარია

| | |
|---|---|
| ბაზელი-დავოსი | 0:3 |

### შვედეთი

| | |
|---|---|
| ლულეა-სიოდერტალიე | 2:0 |
| ფროლუნდა-ლინჩოპინგი | 4:1 |
| იურგორდენი-აიკ | 4:0 |

## ჩოგბურთი

### ATP. ტოკიო

| | |
|---|---|
| დელიჩი-**სპეიდი** | 3:6, 1:6 |
| **გიმელსტობი**-კუბოტი | 6:4, 7:5 |
| შერერი-**პაშანსკი** | 6:7, 6:1, 5:7 |
| **გრეგორცი**-ტერაჩი | 6:4, 6:4 |
| ნამი-**კენდრიკი** | 6:7, 7:6, 3:6 |
| **ჩილიჩი**-იუნი | 6:2, 6:2 |
| ივაბუჩი-**ვანეკი** | 4:6, 4:6 |
| სტადლერი-**სელა** | 4:6, 5:7 |
| **ბეკერი**-სუძუკი | 7:5, 3:6, 6:4 |
| **ნავარო პასტორი**-კერი | 7:5, 6:3 |
| სოედა-**შუტლერი** | 3:6, 6:1, 2:6 |

### ATP. მეცი

| | |
|---|---|
| სტარაჩე-**კოროლიოვი** | 3:6, 3:6 |
| მატიო-**ბენეტო** | 4:6, 1:6 |
| **ცონგა**-ვავრინკა | 6:7, 6:4, 6:4 |
| სიმონი-**კუბეკი** | 2:6, 1:6 |
| **მარეი**-ტიპსარევიჩი | 6:4, 1:6, 6:2 |

### WTA. ტოკიო

| | |
|---|---|
| **პენეტა**-როული | 7:5, 6:1 |
| სუგიამა-**იუანი** | 3:6, 3:6 |
| დომინგეს ლინო-**კოსტანიჩი** | 4:6, 4:6 |
| **ვ. უილიამსი**-კრეიბასი | 6:3, 6:1 |
| გალოვიტცი-**კინგი** | 2:6, 7:5, 5:7 |
| **პინი**-კირილენკო | 6:3, 4:6, 6:3 |
| ფედოსოვა-**ვოზნიაკი** | 5:7, 7:6, 1:6 |
| **მოლიკი**-მორიგამი | 6:1, 6:2 |
| **რაზანო**-ტანასუგარნი | 6:3, 6:1 |
| **სპირსი**-იონემურა | 6:4, 6:1 |
| იანი-**ბალტაჩა** | 6:2, 2:6, 4:6 |

### WTA. შტუტგარტი

| | |
|---|---|
| ბარტოლი-**ა. რადვანსკა** | 6:0, 2:6, 1:6 |
| **პეერი**-სკიავონე | 6:1, 7:6 |
| **პეტროვა**-მალეკი | 2:6, 6:1, 6:1 |
| მორესმო-**დემენტიევა** | 2:6, 5:7 |
| **ს. უილიამსი**-ონდრაშკოვა | 6:0, 6:0 |

### WTA. ტაშკენტი

| | |
|---|---|
| **კორიტცევა**-საიდხოდიაევა | 6:1, 6:2 |
| ფედაკი-**კრემერი** | 0:6, 3:6 |
| **მანასიევა**-ვოსკობოევა | 6:2, 4:6, 6:1 |
| შრუფი-**ო'ბრაიენი** | 6:3, 3:6, 2:6 |
| **პუტჩკოვა**-ტულიაგანოვა | 7:5, 6:3 |
| **პუტჩეკი**-იოჰანსონი | 6:0, 6:2 |
| **ვესნინა**-ბრიანტი | 6:3, 6:4 |
| ჟანგი-**როდინა** | 3:6, 6:7 |
| ვორაკოვა-**გოვორცოვა** | 3:6, 3:6 |

CHAMPIONS LEAGUE



მანჩესტერი-რომა. ამჯერად, ინგლისელები მინიმალურ გამარჯვებას დასჯერდნენ

# ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური

## E ჯგუფი

### შტუტგარტი-ბარსელონა 0:2

შტუტგარტი: შეფერი, ოსორიო (63. მარიკა), ტასკი, ფერნანდო მეირა, ბოკა, ჰილბერტი, პარდო, ფარნერუდი (76. მანინი), ხედირა (76. მაისნერი), კაკაუ, მარიო გომესი.

ბარსელონა: ვალდესი, ოლეგერი, ტურამი, მარკესი (7. პუიოლი/64. სილვინიო), აბიდალი, ჩავი, ინიესტა, დეკუ, რონალდინიო (82. კრკიჩი), მესი, ანრი.

გოლები: 0:1 პუიოლი (53), 0:2 მესი (67)

მაყურებელი: 51 300

არბიტრი: მარტინ ჰანსონი (შვედეთი)

სტატისტიკა

მატჩი დაიწყო: შტუტგარტი
პირველი ჯარიმა: შტუტგარტი
პირველი კუთხური: ბარსელონა
პირველი გაფრთხილება: ბარსელონა

| | | |
|---|---|---|
| 17 (7) | დარტყმა | 12 (9) |
| 11 | ჯარიმა | 8 |
| 4 | კუთხური | 8 |
| 0 | გაფრთხილება | 1 |
| 41% | ბურთის ფლობა | 59% |

### ლიონი-რეინჯერსი 0:3

ლიონი: ვერკუტრი, რევეიერი (81. კლერკი), სკილაჩი, კლებერი, გროსო, ბოდმერი (60. ბენ აფრა), ჟუნინიო, კალსტრიომი, გოვუ, ბაროში (60. აბდულ კეიტა), ბენზემა.

რეინჯერსი: მაკგრეგორი, ჰატონი, კუელიარი, უეირი, პაპაჩი, ემდანი, ბიზლი (90. ადამი), ფერგიუსონი, ტომსონი, მაკკალოხი (81. ნოვო), კუზენი (66. უიტეკერი).

გოლები: 0:1 მაკკალოხი (23), 0:2 კუზენი (48), 0:3 ბიზლი (53)

მაყურებელი: 38 056

არბიტრი: ტომ ჰენინგ ოვრებო (ნორვეგია)

სტატისტიკა

მატჩი დაიწყო: რეინჯერსი
პირველი ჯარიმა: ლიონი
პირველი კუთხური: ლიონი
პირველი გაფრთხილება: ლიონი

| | | |
|---|---|---|
| 28 (10) | დარტყმა | 8 (3) |
| 13 | ჯარიმა | 10 |
| 14 | კუთხური | 2 |
| 2 | გაფრთხილება | 3 |
| 63% | ბურთის ფლობა | 37% |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 2 | 2 | 0 | 0 | 5-0 | 6 |
| 2. რეინჯერსი | 2 | 2 | 0 | 0 | 5-1 | 6 |
| 3. შტუტგარტი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-4 | 0 |
| 4. ლიონი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-6 | 0 |

## F ჯგუფი

### მანჩესტერი-რომა 1:0

მანჩესტერი: კუშჩაკი, ო'ში, ვიდიჩი, ფერდინანდი, ევრა, კრისტიანო რონალდო, ქერიკი, სქოულზი, ნანი (80. გიგზი), საა (66. ტევესი), რუნი (85. ანდერსონი).

რომა: კურჩი, სისინიო, ჟუანი, მექსე, ტონეტო, დე როსი, აკვილანი (62. პისარო), ჟიული (80. ესპოზიტო), პეროტა, მანსინი (74. ვუჩინიჩი), ტოტი.

გოლი: 1:0 რუნი (70)

მაყურებელი: 73 652

არბიტრი: მანუელ მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)

სტატისტიკა

მატჩი დაიწყო: რომა
პირველი ჯარიმა: მანჩესტერი
პირველი კუთხური: მანჩესტერი
პირველი გაფრთხილება: რომა

| | | |
|---|---|---|
| 12 (3) | დარტყმა | 16 (4) |
| 16 | ჯარიმა | 12 |
| 6 | კუთხური | 2 |
| 0 | გაფრთხილება | 1 |
| 53% | ბურთის ფლობა | 47% |

### დინამო-სპორტინგი 1:2

დინამო: შოვკოვსკი, ვაშჩუკი, გიოანე (56. გუსევი), მიხალიკი, გავრანჩიჩი, ელ ხადური, იუსუფი, კორეა, რინკონი, შაცკიხი, მილევსკი (58. კლებერი).

სპორტინგი: სტოიკოვიჩი, აბელი, ტონელი, ანდერსონ პოლგა, რონი,ველოზო, ვუკჩევიჩი (68. იზმაილოვი), ჟოაო მუტინიო, რომანიოლი (77. პარედესი), დიალო (90. პერეირა), ლიდსონი.

გოლები: 0:1 ტონელი (14), 1:1 ვაშჩუკი (28), 1:2 ანდერსონ პოლგა (38)

მაყურებელი: 40 000

არბიტრი: ბერტრან ლაიეკი (საფრანგეთი)

სტატისტიკა

მატჩი დაიწყო: სპორტინგი
პირველი ჯარიმა: დინამო
პირველი კუთხური: დინამო
პირველი გაფრთხილება: სპორტინგი

| | | |
|---|---|---|
| 19 (11) | დარტყმა | 12 (6) |
| 18 | ჯარიმა | 24 |
| 7 | კუთხური | 7 |
| 3 | გაფრთხილება | 2 |
| 54% | ბურთის ფლობა | 46% |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერი | 2 | 2 | 0 | 0 | 2-0 | 6 |
| 2. რომა | 2 | 1 | 0 | 1 | 2-1 | 3 |
| 3. სპორტინგი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 4. დინამო | 2 | 0 | 0 | 2 | 1-4 | 0 |

## G ჯგუფი

### ცსკა-ფენერბაჰჩე 2:2

ცსკა: მანდრიკინი, ა. ბერეზუცკი, ვ. ბერეზუცკი, იგნაშევიჩი, შემბერასი, კრაშიჩი, რაჰიმიჩი, დუდუ (90. ალდონინი), ჟირკოვი, ჟო, ვაგნერ ლავი.

ფენერბაჰჩე: ვოლქან დემირელი, დენიზ ბარიში (72. ქაზიმი), რობერტო კარლოსი, ედუ (72. იასინი), ლუგანო (77. გიოქანი), ვედერსონი, ონდერი, ალექსი, მეჰმეთი, დეივიდი, კეჟმანი.

გოლები: 0:1 ალექსი (9), 1:1 კრაშიჩი (49), 2:1 ვაგნერ ლავი (53-პენ), 2:2 დეივიდი (85)

მაყურებელი: 25 000

არბიტრი: კნუტ კირხერი (გერმანია)

სტატისტიკა

მატჩი დაიწყო: ცსკა
პირველი ჯარიმა: ცსკა
პირველი კუთხური: ცსკა
პირველი გაფრთხილება: ფენერბაჰჩე

| | | |
|---|---|---|
| 14 (4) | დარტყმა | 23 (8) |
| 22 | ჯარიმა | 17 |
| 9 | კუთხური | 9 |
| 2 | გაფრთხილება | 2 |
| 55% | ბურთის ფლობა | 45% |

### ინტერი-ეინდჰოვენი 2:0

ინტერი: ჟულიო სეზარი, ძანეტი, კივუ, სამუელი, მაქსველი, ფიგუ, სოლარი (70. ბოლცონი), კამბიასო, სტანკოვიჩი, კრესპო (61. სუასო), იბრაჰიმოვიჩი.

ეინდჰოვენი: გომეში, კრომკამპი (69. ბაკალი), ადო, ალსიდესი, სალსიდო, მენდესი (56. კუვერმანსი), პერესი, კულინა, სიმონსი, ფარფანი (75. აისატი), ლაზოვიჩი.

გოლები: 1:0 იბრაჰიმოვიჩი (15-პენ), 2:0 იბრაჰიმოვიჩი (31)

გაძევება: კივუ (65. ინტერი), სუასო (90. ინტერი)

მაყურებელი: 32 455

არბიტრი: კიროს ვასარასი (საბერძნეთი)

სტატისტიკა

მატჩი დაიწყო: ეინდჰოვენი
პირველი ჯარიმა: ეინდჰოვენი
პირველი კუთხური: ინტერი
პირველი გაფრთხილება: ეინდჰოვენი

| | | |
|---|---|---|
| 8 (3) | დარტყმა | 14 (3) |
| 18 | ჯარიმა | 22 |
| 3 | კუთხური | 5 |
| 3 | გაფრთხილება | 2 |
| 46% | ბურთის ფლობა | 54% |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ფენერბაჰჩე | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 2. ინტერი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-1 | 3 |
| 3. ეინდჰოვენი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-3 | 3 |
| 4. ცსკა | 2 | 0 | 1 | 1 | 3-4 | 1 |

## H ჯგუფი

### სტიაუა-არსენალი 0:1

სტიაუა: საპატა, ბაჩუ, რადა, მარინი, ემეგარა, პეტრე, ნიკოლიცა, ნეაგა (77. ზახარია), სურდუ (84. ბადოი), ბადეა (60. იაკობი), დიკა.

არსენალი: ალმუნია, სანია, კოლო ტურე, სენდეროსი, კლიში, გლები, ფაბრეგასი, ფლამინი, ებუე (73. ჟილბერტო), ვან პერსი, ადებაიორი.

გოლი: 0:1 ვან პერსი (76)

მაყურებელი: 14 000

არბიტრი: ტერიე ჰაუგე (ნორვეგია)

სტატისტიკა

მატჩი დაიწყო: არსენალი
პირველი ჯარიმა: სტიაუა
პირველი კუთხური: არსენალი
პირველი გაფრთხილება: არსენალი

| | | |
|---|---|---|
| 9 (2) | დარტყმა | 21 (5) |
| 16 | ჯარიმა | 7 |
| 0 | კუთხური | 5 |
| 2 | გაფრთხილება | 1 |
| 67% | ბურთის ფლობა | 33% |

### სევილია-სლავია 4:2

სევილია: პალოპი, დანიელ ალვეში, ესკუდე, ბულარუზი, დრაგუტინოვიჩი, ნავასი (75. დუდა), პოულსენი, სეიდუ კეიტა, ადრიანო კორეია (81. ჰინკელი), ლუიშ ფაბიანო (64. კონე), კანუტე.

სლავია: ვანიაკი, დირჟდალი (46. ივანა), სუჩი, სურეკი, ჰუბაჩეკი, კრაიჩიკი, ბელაიდი (70. ვოლეშაკი), შვეცი, იანდა (63. კალივოდა), პუდილი, ვლჩეკი.

გოლები: 1:0 კანუტე (8), 1:1 პუდილი (19), 2:1 ლუიშ ფაბიანო (27), 3:1 ესკუდე (58), 4:1 კონე (69), 4:2 კალივოდა (92)

მაყურებელი: 33 000

არბიტრი: იური ბასკაკოვი (რუსეთი)

სტატისტიკა

მატჩი დაიწყო: სლავია
პირველი ჯარიმა: სლავია
პირველი კუთხური: სევილია
პირველი გაფრთხილება: სლავია

| | | |
|---|---|---|
| 11 (7) | დარტყმა | 10 (4) |
| 8 | ჯარიმა | 11 |
| 4 | კუთხური | 6 |
| 0 | გაფრთხილება | 2 |
| 60% | ბურთის ფლობა | 40% |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. არსენალი | 2 | 2 | 0 | 0 | 4-0 | 6 |
| 2. სევილია | 2 | 1 | 0 | 1 | 4-5 | 3 |
| 3. სლავია | 2 | 1 | 0 | 1 | 4-5 | 3 |
| 4. სტიაუა | 2 | 0 | 0 | 2 | 1-3 | 0 |

სპორტული გაზეთი
განახლებულია ბადრი პატარკაციშვილის ხელშეწყობით

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელწოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი
გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართი
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ტელეფონი: 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი). 53-39-11
ფაქსი: +995 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა